140/
1972/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯიორგანელი

8
1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობიდან დაბრუნებულ მოსწავლეთა ჭრიამული ეფინება გარემოს.

შეჯიბრება სირბილში — ვინ მოვა პირველი?

მირონ
ხარგიანი

როგ იყვავილს საგოჯლის ზვრეჯგა

თამაში „სუფთა ჰაერზე“...

შუადღის მზე დასდგომოდა მუხრანის ველ-მინდვრებს.

სიცხის ბული ასდიოდა მწვანედ გადაბიბინებულ სანახებს.

ხშირი წვიმებისაგან დაბუჟბუჟებული მიწა სულს ითქვამდა, მკერდს იშრობდა. როგორც იქნა, დაუდგათ კოლმეურნეებს ნანატრი დღე — ახლა შეიძლებოდა ყანაში გასვლა, ნვართქლამოდებული, სარეველა ბალახებისაგან შეწუხებული, ნათესების მიხედვა, მოვლა-მიპატრონება. ალბათ ამიტომაც იყო მთელი სოფელი დაცარიელებული. მუხრანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელი მეურნეობის ბაზაზე არსებული შრომისა და დასვენების ბანაკშიც არავინ დაგვხვედრია, სადაც თბილისელ ბავშვებს, ქალაქის 22-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს უნდა შევხვედროდით...

ჟურნალი

8

აგვისტო

1972

საქართველოს ალაკა ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორკა კომუნისტთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

11844

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბანაკელები გნებავთ? აი, ამ გზას გაჰყვებით, მეურნეობის მინდვრებზე იქნებიან... — მიგვასწავლა საერთო საცხოვრებლის დარაჯმა.

ირგვლივ სანახებია: სიმინდის, ჭარხლის, ხორბლის, შვრიისა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნაკვეთები ჭრელ-ჭრელ პეიზაჟს ქმნის. იქით კი ბალები და ვენახებია. ირგვლივ დამათრობელი სურნელება დგას. ხალისიანი სიჩუმე სუფევს... სიჩუმე, რომელსაც მალე ბავშვების ჟრიამული და მხიარული სიმღერა არღვევს — ჭარხლის ნათესებს აქაურ კოლმეურნეთა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტების მხარდამხარ თბილისელი მოსწავლეებიც შესევიან. მთელი ნაკვეთის სიგანეზე გაშლილან ისინი და სხვათა თანაბრად გააქვთ თავთავიანთი სვე-ნამხარი... გულწვნად მოქნეული თოხის პირები მზის სხივებზე გაიელვებენ, გაილაპლაპებენ, გაჰკვესავენ...

ჩვენ შორიახლოდან შევცქერეროდით მიწასთან მათს ბრძოლას. რაოდენი მონდომება იგრძნობოდა ბავშვების მოძრაობაში, მათს სწრაფვაში, უფროსებს არ ჩამორჩებოდნენ. გვაოცებდა მათი სიმარჯვე. განა ადვილია მიწასთან შებრძოლება, ჯერ კიდევ გაუვარჯიშებელი, შეუბამელი მკლავ-მუხლით გაჯიბრება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცდილ უფროსებთან?

და რომ მათი ხნოვანება და პიონერული სიმღერა არა, ალბათ ვერც შეატყობდა კაცი, ვინ იყო აქ ქალაქელი და ვინ ადგილობრივი — აქაურ ბარაქიან ზვრებში შრომასა და გარჯაში გამოწრთობილი, რომელი იყო კოლმეურნე, რომელი — სტუდენტი და მოსწავლე...

მალე ნაკვეთს მეურნეობის ახალგაზრდა თავკაცი — როდენ მემარნიშვილი, ოცდამეორე საშუალო სკოლის დირექტორი სესილ გველესიანი და მისი მოადგილე აღმზრდელობით დარგში ლამარა ჭანტურია ეწვივნენ. მათ აინტერესებდათ თუ როგორ მიდიოდა საქმე — რა პირი უჩანდა სამუშაოს, რა გუნება-განწყობილება სუფევდა ნორჩ კოლმეურნეებში".

აქ ბავშვები, უპირველესად, მიწის სიყვარულს სწავლობენ, — ამბობს როდენ მემარნიშვილი, რომელსაც ბავშვების ნაღვაწით კმაყოფილება სახეზე ეტყობა. — ამ გრძნობის გაღვივება კი ისევე საჭიროა ახალგაზრდობაში, როგორც სწავლისადმი სიყვარულის ჩანერგვა. ქართველი კაცისთვის მიწასთან მეგობრობა ყოველთვის იყო დედა ყოველი სიკეთისა, სწორედ ამიტომაც უწოდა მას დედამიწა. ალბათ არც რა აკეთილშობილებს ადამიანს ისე, როგორც მიწასთან ჭიდილი. რამდენ რამეს სწავლობენ აქ ბავშვები? რამდენ საიდუმლოებას სწვდება მათი ცნობისმოყვარე გონება? ჰკითხეთ რამე რომელიც გნებავთ ქალაქელ ბავშვს, სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე, მცენარეებზე, ბალახებზე... ბევრი მათგანი ჭვავსა და ხორბალს ვერ გამოარჩევს ერთმანეთისაგან. ოცდამეორე საშუალო სკოლის მოსწავლეები კი, შეუცდომლად დაგიხასიათებენ, აღგიწერენ თითოეულ მათგანს... ბავშვები სწავლობენ აგრეთვე მშრომელი ადამიანის პატივისცემას, დაფასებას, ერთმანეთისა და ბუნების სიყვარულს...

— არ გეგონოთ, რომ ისინი აქ მხოლოდ მუშაობით იყვნენ დასაქმებულნი, — ჩაერია ჩვენს საუბარში ლამარა ჭანტურია — ნაშუადღევს, ყანებიდან დაბრუნების შემდეგ ბავშვები სადილობენ, ისვენებენ, მერე კი ემზადებიან მხატვრული საღამოკონცერტებისათვის. ყოფილი მუხრან-ბატონის სასახლეში კვირაში ერთხელ იმართება შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან, ასევე მათს თანატოლებთან. ამაღამ, მაგალითად, გვინდა მოვაწყოთ მხატვრული კითხვის საღამო. ბავშვებმა თავისი თაოსნობით შინმოუსვლელ პოეტთა შემოქმედება აირჩიეს თემად.

გვეწვიეთ შეხვედრაზე, საკუთარი თვალით ნახეთ ყოველივე, მგონი ნასიამოვნები დარჩებით — მინდორში ტრიალი ერთია, ახლა გამოვცადოთ ისინი სცენაზე...

ბავშვები მრავალფეროვანი ცხოვ-

ზემოდან ქვემოთ:

1. მეოთხე კლასელი მოსწავლეები მიშა ჯანჯღავა და ზაზა კაკაბაძე. სიყვარულითა და საქმის ცოდნით ადგენენ მინდვრის მცენარეთა ჰერბარიუმებს.

2. ვაზის აკვრასაც ცოდნა უნდა.

3. ბარხლის ნაკვეთზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგბით ცხოვრობენ. მათ დაათვალიერეს მუხრან ბატონის ყოფილი პარკი, რომელიც ახლა ნაკრძალად არის გამოცხადებული. მოისმინეს ლეგენდა სასახლის ეზოში გაშენებულ შადრევანზე, სადაც ერთ დროს თურმე ოქროსფრად ამოჩქეფდა ცნობილი მუხრანული ღვინო, რომელიც სასახლის მარნიდან მილებით ყოფილა გამოყვანილი.

ბავშვები გულდასმით ეცნობიან ადგილმდებარეობას, სწავლობენ ხალხურ გადმოცემებსა და ზეპირსიტყვიერებას. თამაშობენ ფეხბურთს, ფრენბურთს, ეჯიბრებიან ერთმანეთს სირბილსა და ხტომაში... საამისოდ მშვენიერი მოედანიც გააჩნიათ და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხარდაჭერაც არ აკლიათ...

— როდის დაიწყო თქვენი მეგობრობა? — ვეკითხებით ოცდამეორე საშუალო სკოლის დირექტორს, სესილი გველესიანს.

— ოთხი წლის წინათ, — გვპასუხობს იგი. — მაშინ საწარმოო პრაქტიკა ბავშვებს ფაბრიკა-ქარხნებში ანდა სკოლის სახელოსნოებში უნდა გაევლოთ, სადაც ძირითადად ჭრაკერვა და სადურგლო საქმე უნდა შეესწავლათ, როგორც ეს უმეტეს სკოლებში ხდება. ჩვენ გვინდოდა, როგორმე ორიგინალურად გადაგვეწყვიტა ეს საკითხი — მართლაც რა აუცილებელი იყო მაინცდამაინც ბავშვების ფაბრიკა-ქარხნებთან მიმაგრება, ანდა ჯერ კიდევ მოუწყობელ სკოლის სახელოსნოში ტყუილ-უბრალო ფუსფუსი? ჩვენ ვცდილობდით, რომ მოსწავლეთა შრომა როგორმე მათს დასვენებასთან შეგვეხამებინა. ერთი სიტყვით საწარმოო პრაქტიკის ახალ ფორმას ვეძებდით და მივაგენით კიდეც.

შემოდგომისპირზე კი, როცა წითლად შეირუჟღება აქაურობა, როცა სიმინდს ტარო დაუმძიმდება და ვაზს მტევანი დაუშაქრდება, ბავშვები კვლავ მოაკითხავენ თავიანთ ნაჯაფ-ნაამაგარს, ჰოდა, ერთი მაშინ ნახეთ ისინი — ყველას კმაყოფილებისა და სიამოვნების ღიმილი რომ უკრთის სახეზე!

ჩვენ ზევით მივყვებით მინდორს. ნაკვეთები... ნაკვეთები.. ჭრელ-ჭრელა ნაკვეთები. ბავშვები... მოფუსფუსე, მოჟრიამულე ბავშვები... სულ ოთხმოცამდე თბილისელი იკაჟებს აქ კუნთებს, ხმიანობს და ჩოჩქოლობს... ასფალტის მერე რარიგ რბილია მიწა, რბილი და მშობლიური...

სულ მაღლა, იქ, სადაც ფერდობი იწყება, „მევენახეთა“ რგოლია, ასე უწოდებენ გია გაგნიძის ბრიგადას, რომელმაც ვენახის მოვლა-პატრონობა ითავა, ბავშვებს სტუდენტები ასწავლიან ვაზის აკვრას, თითოეულ მათგანს ასაკვრელი კანაფის ძაფებით აქვს ჯიბე გამოტენილი, ჩამდგარან ზვარში და ახლად შეწამლულ ვაზის ყლორტებს მავთულზე აკრავენ...

აქეთ კიტრის ნაკვეთში ნანა გოლეთიანისა და ნოშრევან გელიტაშვილის რგოლი ფუსფუსებს, იქით— ოთარ გოჩიტაშვილი, მანანა აჯიაშვილი და მათი ამხანაგები შესევიან მინდორს... სულ ბოლოში ლეილა ხორგუაშვილის რგოლი საქმიანობს...

დიდებული სამზერია ყოფილი მუხრანბატონის კუთვნილი მინდვრები, სადაც ახლა თავისუფალი შრომა სუფევს, სიმღერა გაისმის... ეს არის სიცოცხლის, გამარჯვების სიმღერა, ნათელი მერმისის საგალობელი, ლოცვა და აჯა მზესთან აღვლენილი, თხოვნა და ღაღადისი, რათა უკუნისამდე მოუვლინოს მწვანედ მოხასხასე დედამიწას თავისი მწველი და მაცოცხლებელი, ყოვლისმოქმედი, ნათელი სხივები, რათა განაპოს და გაფანტოს საავდრო ღრუბელი.

ეს არის სიმღერა მყუდროებაზე, შრომაზე, სიმღერა მზეზე...

მალე ავტობუსი ჩამოუვლის ნაკვეთებს. დაღლილ-დაქანცული, მაგრამ მხნეობითა და ძალ-ღონით აღსავსე ბავშვები ბანაკისაკენ გასწევენ. მამაპაპურად, ძალაჩამდგარი ხელებით მადლიანად წაილუკმებენ, დაისვენებენ, და მერე მხატვრული საღამოსათვის სამზადისს შეუდგებიან... ისინი გაიხსენებენ სამშობლოსთვის დაღუპულ მგოსნებს, რომელთაც არ დასცალდათ ამ მამულის პატრონობა, მაგრამ რომელთაც მშვიდობა დაუმკვიდრეს ბაღ-ვენახებს, მინდვრებს და მთა-ველებს...

მოვლენ მუხრანელები, ძველი ამბების მომსწრენი, მოვა ახალგაზრდობა...

და კიდევ ერთხელ გაიმეორებენ გულში: „არასოდეს... არასოდეს... არასოდეს“.

მეორე დილით კი კვლავ აჟრიამულდება ბანაკის ეზო-კარი. თოხებითა და ბარებით შეიარაღებული ბავშვები კვლავ გასწევენ ყანებისაკენ და ნათკარალზე მაცოცხლებელი წვიმის თქოშივით გადაევლებიან მშობლიურ ველ-მინდვრებს, რათა უფრო იყვავილოს და ინაყოფოს ნორჩების გულით გამთბარმა სამშობლოს ზვრებმა.

ფოტო ბ. კამენსკისა.

თ ე ო დ ო ბ ე ქ ი მ ვ ი ლ ი

მივალ გადაბურულ ტყეში,
ვეცემი, ვიკაწრები, ვდგები.
სავსე ათასნაირ ხმებით
ტყე ჩემს ნაბიჯებს ითავისებს.
თავისებურად შრიალებს მუხა,
თავისებურად შრიალებს თელა,
თავისებურად შრიალებს ვერხვი,
თავისებურად შრიალებს რცხილა.
მივალ...
აურაცხელ ხმით ავივსე.
მუხა არ ბაძავს რცხილას,
რცხილა არ ბაძავს თელას;
აქ არავინ არავის არ ბაძავს,
აქ თავის ხმა აქვს ყველას.
სადღაც ფოთლებში ჩიტუნა
გულამომჯდარი სტვენს;
სად ნახე ხმები ამდენი,
ნეტავი შენა, ტყევ?!



(ფრაგმენტი)

ნახირი.
გრილო.
მუხლებზე წიგნი.
დიდი,
ცისხელა,
ბებერი იფნა.
წყარო.
წყაროსთან უფრო მაღალი
ბალახი,
ლორთქო, ახალთახალი.
მაძღარ ნახირის მშვიდი ზმუილი,
კუდების ქნევა, კოღოს ბზუილი.

იქვე ბებერი ლოდები — ნიში,
შეუცნობელი შუქი თუ შიში...

ვინ მეტყვის ახლა, იგივ შუადღე
მოვაღა ისევ იმ იფნის ჩრდილში?!

უკვლავეულის წყალობა

მოთხრობა

ვახტანგ გოგოლაშვილი

მხატვარი **ჯემალ ლიდუა.**

17 ივლისი, შაბათი

ღმერთო, რა კვირა გათენდება ხვალ სოფელში!

თუმცა სჯობს ყველაფერი დაწვრილებით მოვყვე, თორემ ვერაფერს გაიგებთ.

დღეს სისხამ დილაზე შევუყევით დოხორას ტყეებს, წინ ნაომი მიგვიძღოდა. მართალია, კახაბერის კომპასი მე მეკეთა მაჯაზე, მაგრამ წინ მაინც არ გამიშვეს. რაც არ უნდა იყოს, ქალი ხარო.

— ხომ იცი, ტყეა, — მამშვიდებდა კახაბერი, — ეშმაკმა იცის, რა გამოტყვრება. მართალია, ამ ტყეში ტურაც არასოდეს უნახავთ. მაგრამ ვინ იცის, იქნება მგელიც კი გამოვარდეს საიდანმე.

— მგელი, თორემ ნაომმა შავი დღე არ აყაროს ერთბაშად! — წავიბურღღუნე მე.

— ნაომი, გოგო, უცებ დაიოთხებს. მგელი მის ბომბორა თავს რომ დაინახავს, დათვი ეგონება და შეშინებული მოკურცხლავს. — ამბობს ვანიკო.

— შენ, ეი, ცოტა ჭკუით იყავი, თორემ მაგ ენას ამოგაძრობ, — უჯავრდება ნაომი, მაგრამ თვითონაც ვერ იკავებს ღიმილს ვანიკოს ხუმრობაზე.

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, ცხრა მთა და ერთი ზღვა გადავიარეთ...

არა, მართლა ბევრი ვიარეთ. ნაომი მიდიოდა და მიბუზღუნებდა: მოვკვდი შიმშილით, ეს ორი სახედრის ტვირთი რომ ამკიდეთ, ბებიაჩემ პასიკოს გამომცხვარ ცივ მჭადს მაინც მომატეხინეთ ერთი ლუკმაო. ვანიკო შიმშილს მაინცდამაინც არ უჩიოდა, ზურგჩანთიდან ამოშვერილ დოქის ტუჩს კი ხშირ-ხშირად ალერსით მოუსვამდა ხელს და თავისთვის წუწუნებდა — დავიხრჩვი კაცი წყურვილითო. მაგრამ კახაბერზე არაფერმა გასჭრა. თქვა, — კტისძირამდე ჭადს ფინჩხა არ მოაკლდება და წყალს წვეთიო. თქვა და მორჩა. ღმერთთან სწორი სჯობს, ისიც თქვა — ნანი ახალი ნაავადმყოფარია, მაგას ნება აქვს, რამდენიც უნდა, ჭამოს და სვასო. მაგრამ ახლა მე გავჯიუტდი. სიკვდილი ვირჩიე და ლუკმა არ ავიღე. რომ გამოგიტყუდეთ, მაინცდამაინც არ მინდოდა. ასე ვიარეთ კტისძირამდე. საინტერესო არაფერი შეგვმთხვევია. ანდა რა უნდა შეგვმთხვეოდა, ჩვენს ტყეში მგელი არ არის და ტურა. უკანასკნელი კურდღელი სამი წლის უკან მოკლა კოტოია მონადირემ.

ავედით კტისძირას. უზარმაზარი კლდეა ცამდე აღმართული. მას საყორნიას კლდეს ეძახიან. კლდის ძირში პატარა მინდორია. გადავწყვიტეთ იმ მინდორზე გვესადილა. შუადღე უკვე გადასული იყო და მზე საშინლად აჭერდა. საყორნიას კლდესთან კი წამლად ერთი ხეც არსად დგას. კახაბერმა თქვა — მოდით, სადმე ჩრდილიანი მოვძებნოთ, თორემ ამ სიცხეში ლუკმა არ გადავა ყელშირ.

— რას ამბობ, ჩრდილი თუ გნებავდათ, ნახევარი კილომეტრით დაბლა უნდა შევჩერებულიყავით, დოხორას ტყეში, — დაიღრინა ნაომმა, რომელსაც შიმშილმა სულ წაუხდინა გუნება. — საყორნიას კლდესთან ამან ახლა ცაცხვის კორომები. ბაბა მინდომა.

— უნდა მოვძებნოთ. თუ წყაროს ვიპოვნით, მაშინ ჩრდილის პოვნაც შეიძლება. ფიცი დაგავიწყდა? — გაწყრა კახაბერი.

— ვიპოვნოთ, ბატონო, — მორჩილად ჩაიქნია ხელი ნაომმა, ზურგჩანთა მოიხსნა, ძირს დააგდო და თვითონაც იქვე მოიკალათა.

— ბიჭებო, აქეთ, აქეთ, — მოგვესმა ვანიკოს ძახილი.

ვანიკო როცა აღელვებულია, მუდამ ავიწყდება, რომ მე ბიჭი არ ვარ. ისე, ამას არცა აქვს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა.

ყველანი მოვგროვდით, ვანიკოს კლდეში პატარა ნახვრეტი აღმოეჩინა, სწორედ იმოდენა, მისი მუშტისტოლა თავი რომ შეეტეოდა შიგ.

— რა მოხდა, ჩვეულებრივი ტურის სოროა, რას დაგვაფეთე.

— არა, ნაომ, შიგნით დიდია. მე თავი შევყავი. აი ნახე, — ვანიკომ თავი მოაბრუნა და კარგა დიდი ჩამოფხაჭნილი დაგვანახა. — ეს ოხერი, თავი გამეჭედა. ყურები ვეღარაფრით ვეღარ გამოვატიე. ტყუილად კი არ მეძახის დედაჩემი ყურპანტურას.

— ვთქვათ, დიდიც იყოს, რა ეშმაკად გვჭირდება?

— შევიდეთ შიგ და გამოქვაბულში ვისადილოთ. ჩრდილიცაა და სიგრილეც.

— შენი მუშტისტოლა თავი ძლივს შეეტია შიგ და ნაომის გოდორივით მუცელი როგორღა გინდა შეათრიო? — დავინტერესდი მე.

— გავაგანიერრთ, ბარი აგერ არ გვაქვს?

ნაომი კინაღამ გადაირია: შიმშილით ვკვდები, არაფრად მჭირდება თქვენი ჩრდილი, მართლა დათვი ხომ არ ვარ, ბუნაგში ვიძრომიალოო...

არაფერმა გასჭრა. კახამ და ვანიკომ წამოუსვეს ხელი ბარსა და ცულს და დასცხეს გამოქვაბულის პირს. ვანიკოს წყურვილიც კი გადაავიწყდა. ნაომმა ერთხანს მზისგულზე წამოკოტრიალებულმა უცქირა მეგობრების ტანჯვა-წამებას, მაგრამ გულმა აღარ გაუძლო. ვანიკოს ბარი ხელიდან გამოსტაცა, კახაბერი თავის ნაჯახიანად მხრის ერთი გაკვრით მისწია კუთხეში და დასცხო, მაგრამ რა დასცხო! ნახევარი საათიც არ დასჭირვებია ალბათ. საყორნიას კლდის ძირში პატარა გამოქვაბულმა იმოდენა პირი დააღო, რომ მუცელზე გაწოლილები შევხოდით ოთხივენი. გაბერილი ზურგ-

* დასასრული. იხ. პიონერი № 7

ჩანთაც ისე შევათრიეთ, თავის მოხსნაც არ დაგვჭირვებია.

გამოქვაბული მოზრდილი იყო, მაგრამ შიგ ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ბიჭები გარეთ გახოხდნენ კვარის მოსაძებნად, მე კი ზურგჩანთა გავხსენი და ხელსაწმენდ ტილოზე ხელის ცეცებით დავიწყე სუფრის გაშლა. მალე ბიჭებიც დაბრუნდნენ, ანთებული კვარი კლდის ნაპობში ჩაარჭვეს და სუფრას შემოუსხდნენ.

ერთხანს გამგელებულები ვამდნენ. გამოქვაბულის სიმყუდროვეში ისეთი ხრაშუნი გაისმოდა, კაცს ეგონებოდა, ასი ცხენი ერთად ახრამუნებს ბაგაში ჩაყრილ შვრიასო. ვინ იცის, სანამდე გაგრძელდებოდა ეს ჩუმი ტრაპეზი, ვანიკოს გატანჯული კაცის ხმით რომ არ ამოეკვნესა:

— ბიჭებო, მგონი შარვალი დამისველდა.

— ხომ არაფრის შეგეშინდა? შიშის დროს იცის ხოლმე კაცმა შარვლის ჩასველება, — ისე გულუბრყვილოდ შეეკითხა ნაომი, რომ სიცილი ამიტყდა.

— შეშინებამაც იცის და გაცივებამაც, — კვერი დაუკრა კახაბერმა.

— კარგი ერთი, ნუ მასხრობთ, — გაბრაზდა ვანიკო.—ის კი არა, მგონი წუმპეში ჩავმჯდარვარ, წელს ქვევით სულ დასველებული ვარ.

— რას ამბობ, ბიჭო, წუმპეს აქ რა უნდა! — ფეხზე წამოვვარდი მე.

ხელად გარს შემოვეხვიეთ ვანიკოს და სველი შარვლის სინჯვა დავუწყეთ. სველი იყო და თანაც როგორი სველი!

— ბიჭებო, წყალი! — იყვირა კახაბერმა და ვანიკოს ნაჯდომ ადგილს მივარდა.

წუთის შემდეგ ოთხივენი გიჟებივით დავხტოდით გამოქვაბულში და გავკიჟინებდით:

„წყალი... წყალი... წყალი... წყალი...“

გამოქვაბულის კედლები კვარის შუქზე თითქმის კიდევ უფრო გაფართოვდა და ამაღლდა. ჭერი ეკლესიის თაღივით ჰორიალებდა და მთელს გამოქვაბულს ექოს ხმით გაჰქონდა ნანატრი გუგუნი:

„წყალი... წყალი... წყალი... წყალი...“

კიდევ იტყვიან, სასწაულები არა ხდება ქვეყანაზეო?

იმ ადგილას, სადაც სადილობისას ვანიკო იჯდა, ჩამავალ წყალს პატარა ღრმული გაეჩინა. წყალი ამოდიოდა და იქვე იკარგებოდა მიწაში. ჯერ ძალიან ცოტა გვეგონა, მაგრამ როცა ნაომმა ბარით თავი მოსწმინდა. წყარომ ახალი ძალით იჩქეფა, ძაბრში დონემ ცოტათი ამოიწია და ისევ ღრმულში ჩაიკარგა. სიხარულისაგან ყველამ ისეთი დაღლილობა ვიგრძენით, რომ მუხლები ერთბაშად მოგვეკვეთა. გალახულებივით პირდაპირ მიწაზე დავეყარენით. კვარი ჩაქრა, მაგრამ ჩვენ არც შეგვიმჩნევია, ხელები ცივ წყაროში გვქონდა ჩაყოფილი, სიგრილე საოცრად გვსიამოვნებდა და ვბჭობდით.

— როგორ ჩავიყვანოთ სოფლამდე წყალი?

— ჯერ ღრმული უნდა ჩავკეტოთ, რომ წყალი მიწაში არ მიიპარებოდეს. — მიპასუხა კახაბერმა. — წყარო ნელ-ნელა მოიყრის თავს, ორსამ საათში ამ გამოქვაბულს აავსებს და წყალი ჩვენი გამოჭრილი გასასვლელიდან დაეშვება სოფლისაკენ.

— არა, გზის გაკვლევა მაინც დასჭირდება, ნაურმალი ჩავუსწოროთ ბარის პირით, ახლავე შეგვიძლია გავყვეთ, — თქვა ნაომმა.

— მაინც რა ილბალი აქვთ ამ აბესაძეებს, — ამოიოხრა ვანიკომ, — თავი არც ერთს არ შეუწეხებია და წყალმა პირველად მაგათ ეზოებზე უნდა ჩაიაროს.

— ვანიკო, შენს მსჯელობაში რაღაც კერძომესაკუთრული ელემენტები იჩენს თავს. თუ ჩვენი პიონერული რგოლისა და სამხედრო საბჭოს წევრობა არ მოგბეზრებია, ასეთი ლაპარაკი მეორედ არ გამაგონო, — გაჯავრდა კახაბერი.

— რა მოხდა, ბიჭო, ვიხუმრე.

ვანიკო შემეცოდა და გამოვექომაგე:

— ახლა ნამეტანს ნუ იზამ, კახაბერ, არ დაგავიწყდეს, რომ წყლის აღმოჩენას ვანიკოს ძველ შარვალს უნდა ვუმადლოდეთ.

მერე ღრმული ქვებით ამოვავსეთ და ზევიდან აყალო მიწით მოვლესეთ. ჩვენს თვალწინ ზღაპრული მზეჭაბუკივით ივსებოდა წყაროსთვალი. მერე ნაომმა თქვა: გამოქვაბულის პირამდე მოყრას ეს წყარო ალბათ მთელი ღამე მოუნდებაო. ამიტომ გადავწყვიტეთ მეტი აღარ გვეცადა. გამოქვაბულის ალაგას წყლის გამოსასვლელად ფართო სატუჩე გავუკეთეთ და ღარი ნაურმალზე მივაგდეთ. დავეშვით სოფლისაკენ და გზა-გზა ნაურმალს ვასუფთავებდით. კარგა შეღამებული იყო, როცა ნახშირაში შემოვედით. ერთმანეთს პირობა მივეცით, შინ არაფერი გვეთქვა. დაე ხვალ დილით თვითონ ნახონ და გაიგონ. ხომ თქმულა, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო.

ახლა შუაღამე გადასულია. ვერ დავიძინე და დღიურს ჩავუჯექი. რა ბედნიერი შაბათი იყო დღევანდელი შაბათი!

ღმერთო, რა კვირა გათენდება ხვალ ნახშირაში!

კარგი ბიჭია კახაბერი.

თავი მესამე

ასალო აბესაძეს წყალმა მიაკითხა. სოფელ ნახშირას ეროვნული გმირები. საჩინო ბახტაძე არაყს ხდის. რამ დააშრო წყარო?

ასალო აბესაძე ძმისშვილს ელოდა ქალაქიდან. გასულ კვირას ასალოს ნაგვიანები ალუბალი ჰქონდა ჩატანილი ქუთაისში გასაყიდად. კაი ბარაქიანად გაიცალა ხელი, ქალათები ავტოსადგურში მიაბარა შესანახად და თვითონ მალაზიებს ჩამოუარა ბაღის კიდეზე. არ გეგონოთ, რაიმეს ყიდვას აპირებდა. ასალოს ფულის შოვნა უყვარს, თორემ ხარჯვაში ნამეტანი ხელმოჭერილი გახლავთ. ისე, თვალს წყალი დაალევინა, ნაირ-ნაირი საქონლის ყურებით გული გაიხალისა. ის იყო უკან გამობრუნებას და სადგურისაკენ ფეხით წაჩანჩალებას აპირებდა, რომ ამ დროს ელგუჯა შემოხვდა.

ელგუჯა ასალო აბესაძის ერთადერთი ძმისშვილია. მამამისი, ასალოს ძმა, ომში დაიღუპა. ელგუჯა სიღარიბესა და გაჭირვებაში გაიზარდა. ბიძამისის ხელი მაინცდამაინც არაფერში წაშველებია. არ ეგონა, ასეთი კაცური კაცი თუ დადგებოდა. ახლა ძმაო, კარგი ორსართულიანი ქვის სახლი აქვს წამოჭიმული. სასმელი არ აკლია და საჭმელი. ასალოსაც ცალი ხელი მისკენ აქვს გაწვდილი. ელგუჯას ბიძა არაფერში სჭირდება, მაგრამ თვითონ ასალოს ეამაყება მოსწრებული ძმისშვილი.

მოიკითხეს ერთმანეთი. ასალომ მაგარ-მაგარი საყვედურებიც ჰკადრა, — დაგვიგვიწყეო; ორ ნაბიჯზე გადასარეკი აგარაკი გაქვს და ცოლშვილს ბაკურიანში გზავნიო; ბიცოლაშენი ხაჭაპურების ცხობას გადაეჩვიაო. მთელს ნახშირაში ჩვენი ოჯახი ერთადერთია, სადაც ქათამი სიბერით კვდებაო. ერთი სიტყვით, გაბრუებული ელგუჯა დაჰპირდა, — მომავალ კვირას უეჭველად ცოლშვილით გესტუმრებიო.

კვირადილიდანვე აფორიაქდა ასალო აბესაძის ოჯახი. ასალო უთენია აპირებდა ქვევრის მოხდას, მაგრამ მაიკო ბიცოლამ ყურებზე გადაწყობილი ულვაშები კინალამ დააგლიჯა — ჭურისთავზე არ გაბედო ფეხის დადგმა, ჩემს ელგუჯას ვენაცვალე, თვითონ უყვარს ქვევრის მოხდა და გრძელი ორშიმოთი ქარვისფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინის ამოღებაო. მერე მაიკომ მეზობელ დარჩიებს გადასძახა და რომან დარჩიას უმცროს ბიჭს სთხოვა ინდაურის დაკვლა. ასალო არ მეაკარა, ხელი აგიკანკალდება და გამიწვალებ ფრინველსო. შეშის დაჩეხვა რა არის, ისიც კი არ ანდო ქმარს: ნაპობი თვალში რომ მოგხვდეს, ხომ ჩამწარდება მთელი დღევანდელი პურმარილი ელგუჯასო. ასალო დაჭრილი დათვივით დაბუზღუნებდა ეზო-გარემოში, ბოლოს, თავმობეზრებულმა მაიკომ საქმე გაუჩინა: ეზოს თავში კიდემოტეხილი ქვის ძირას ფარდაგი გაუფინა, ფარდაგზე კაკალ-კაკალ დარჩეული კროლა ხორბლის მარცვალი გაუშალა, ხელში სახრე მისცა და გვერდით მიუსვა. თან გააფრთხილა, თვალი მაგრად გეჭიროს, ქათმები არ მიაკაროო. ასალოს უნდოდა ეთქვა, რა გეჩქარება ქალო, ამ ხორბლის გაშრობა, სახაჭაპურე ფქვილი გუშინ არ ამოვიტანეო? მაგრამ კარგად იცოდა, ცოლთან ლაპარაკი არ გაჭრიდა. ხელი ჩაიქნია, თხილის გრძელი სახრე ერთი-ორჯერ მათრახივით ააწუილა და ფარდაგის კუთხეში მოკალათდა. იმ სისხამ დილით ალბათ ქათმებიც არ იყვნენ ჭამის მადაზე და უსაქმო ასალოს ის იყო თვლემა ერეოდა, მაგრამ ღმერთმა უშველოს ლევან გოშხეთელიანს, მისმა მოსვლამ ცოტა გამოასწორა მდგომარეობა.

ლევანს ურმის ზედადგარი გასტეხოდა და სათხოვნელად მოვიდა. ლევანისთანა მეზობელს უარს ვინ ეტყოდა, მაგრამ ასე ადრიანად მოსული კაცი უარყოდ როგორ გაიშვებოდა ეზოდან. ასალო აბესაძე მოკვდეს მაშინ! ბევრი კი არაფერი, მაგრამ ორი კაცის საყოფი ყველაფერი გაჩნდა კიდემოტეხილ ქვაზე: ჯერ გუშინდელი გამომცხვარი ცივი მჭადები შეუფიცხებლად დაყარეს ნეშოზე, მერე მარილწყალში ახალი ჩადებული ჭყინტი ყველი შემოაშველეს. მოხარშული კვერცხები პირდაპირ ნიორწყალში იყო ჩაყრილი. ზამთრიდან შემორჩენილი ცოტა შაშხიც მოაყოლეს ხელს. ჩამოსხდნენ და შეყვნენ ნელ-ნელა. პატარა სირჩებით სვამდნენ. სადღეგრძელო სადღეგრძელოს სცვლიდა.

— გაგიმარჯოს, ჩემო ასალო. მაპატიე, რომ გაგხარჯე ამ უთენია, — ბოდიშობდა ლევანი.

— მორჩი, თუ კაცი ხარ. გამხარჯე, თორემ მეც ქათმები დაგიკალი.

კარგა შეჭიკჭიკებულები იყვნენ, ლევანი რომ თავის გზას გაუდგა. ის იყო ლევანი გავიდა ჭიშკარში, რომ კანფეტიას ჯაგლაგმა გადმოყო კისერი ქაცვის ღობეზე. ასალომ ჭიშკართან მიარბენინა არყის ბოთლი და ერთი ნატეხი მჭადი.

— ასალო, ე შენი ერთი ჩაფი წყალი წაიღე, თუ კაცი ხარ, რა მეარყება ამ ალიონზე.

— შენი ტალახიანი ფეხი დამკარი თავზე, თუ დოულოცავი გაგიშვა სახლიდან.

— რაღაცა გაგჭირვებია, ასალო, თორემ როდის იყო... — მეთულუხჩემ აზრი არ დაამთავრა.

— მასე მიცნობ, ხომ? გაჭირვება რას მიქვია. თუმცა ერთი სათხოვარი კი მაქვს. — ასალო წელში მოიხარა და ტუჩები ლამის ყურთან მიუტანა კანფეტიას. — ხომ იცი, დღეს ელგუჯა უნდა მეწვიოს... რვა ცალი იმისთანა ტაბიკი მაქვს დათლილი, შენ რომ მოგეწონა ამას წინათ... ელგუჯას ცოლშვილიც მოყვება... ახლავე გამოგირბენინებ იმ ტაბიკებს... ერთი ჩაფი წყლით ამდენ სტუმართან ბანი ვთქვა თუ მოძახილი?

— მე რა უნდა გიშველო, ჩემო ასალო, — ვერ მიხვდა კანფეტია.

— ი ტაბიკები კოპიტისა არ გეგონოს, ნამდვილი წითელი შინდია. ახლავე მოგიტან. დამიტოვე ერთი ათი ჩაფი წყალი. მაგხელა კასრს მაინც არ დაეტყობა.

კანფეტია ჯერ გაწითლდა, მერე გალურჯდა. ტუჩებთან მიტანილი არყიანი სირჩა ისევ თეფშზე დადგა და ასალოს თვალები გადაუბრიალა.

— უფროსი არ იყო!.. ასალო აბესაძე არ იყო!.. ქრთამს მაძლევ ხო? ღმერთმა შენი არაყიც შეარცხვინოს და შენი ტაბიკებიც! ელგუჯას ვენაცვალე, მისთვის მხრით ამოვიტან ბაზოულადან წყალს, მარა შენ ვინ ყოფილხარ, კაცო, სოფელს ვუღალატო? რა სიკვდილად უნდა მოვიხმარო მერე ქრთამად აღებული ტაბიკები! ფუი, ასალო აბესაძევ, შეგარცხვინა ღმერთმა.

კანფეტია შეტრიალდა და ქვარნის დაღმართში სულ ძუნძულით ჩაუძღვა ცხენს. ბოღმამორეულმა ასალომ ჯერ თავისი ჭიქა გადაჰკრა, მერე კანფეტიასი, ამღვრეული თვალი გააყოლა თავდაღმართში დაქანებულ კასრს, გულიანად გადააფურთხა და სახრით ხელში ისევ ხორბალს მიუჯდა.

მზემ ნაქერალაზე ამოიწია, როცა ჩაეძინა.

თვალი რომ გაახილა, მის წინ მოტირალივით მუხლმოყრილი მაიკო დაინახა. ცოლს თალხი კაბა ეცვა, გაშლილ თეთრ თმას იწეწავდა და ხმამაღლა მოთქვამდა. ასალომ ჯერ იფიქრა, ალბათ მოვკვდი და მეუღლე დამტირისო, მაგრამ, როდესაც მოთქმას დააყურადა, მიხვდა, მისი ცოლის წყევლა-კრულვა სულაც არ ჰგავდა ქმრის სიკვდილით გამწარებული, გულდამწვარი ქალის მოთქმას.

— დიდუ, დიდუ, ღმერთო, შენ მანახე ასალო აბესაძის ტვინი ასე დამპალი და დაოხრებული! — მოთქვამდა მაიკო და ფარდაგზე გაფენილ ხორბალში გაფაციცებით ურევდა ხელს.

— რა იყო, ქალო, რა მოგივიდა, თუ რაცხა ორი კაკალა ქათამი გამოძღა... — წამოჯდა ასალო, მაგრამ წამოდგომა ველარ მოახერხა, სიტყვაც გაუწყდა და გულიც კინაღამ გაუჩერდა.

— დიდუ, დიდუ, კიდევ რა იყოო, ამდენი ხორბალი მოგისპია, თვითონ წუმპეში დაგძინებია... ეს კიდე რაა, წყალი გომურში შევარდნილა და სახლის გასაახლებლად ცემენტი რომ გვქონდა შენახული, სულ ერთიანად გაუოხრებია. ახლა ის გაქვავებული ცემენტი ვენახის ჩაჭაობებული გზის მოსაკირწყლად თუ გამოგადგება, თორემ სხვა აღარაფერი მოსახმარია.

ერთი კი იფიქრა ასალო აბესაძემ, ნამდვილად იმ წყეულმა კანფეტიამ იძია შურიო, მაგრამ ამ ფიქრზე თვითონვე დაცინვით გაეღიმა. ასალო ამდენ ღვინოს უფრო გაიმეტებდა, ვიდრე ხელგაშლილი კანფეტია ამდენ წყალს. მერე ჭიშკარს გახედა. ნაკადული სიმღერით შემორბოდა, თითქოს ყელწვრილი ჭინჭილიდან გადმოლიკლიკებსო. წყალი ხორბალს გარს შემოდგომოდა, წამომჯდარი ასალო ძილვამდე ჩაელბო და გამწარებით მიიმღეროდა გომურისაკენ. ამის დამნახავ ასალო აბესაძეს გული კინაღამ გაუსკდა. ისე გადაუბრიალა თვალები მაიკოს, რომ შეშინებულმა ქალმა ხმასთან ერთად კინაღამ ენაც გადაყლაპა.

— ნათქვამია, ქალის ჭკუა თხამ ბარდებზე მიაჭამაო. რო ბღავი, რა გაბღავლებს. შენი ცრემლებით მაშინებ თუ რა! ცრემლი მაშინაა ცრემლი, სანამ თვალში ტრიალებს, თორემ რო მოწყდება, მერე წყალია.

— წყალი... წყალია... — ენა დაება მაიკოს.

— ჰო, ქალო, ჰო... ვერა ხედავ? წყალი მოსულა ნახშირაში. თანაც პირდაპირ ჩვენს ეზოში. ნახე რა კანკალაა, რა ცივია, რა ლამაზია! — ასალო პირდაპირ ხორბალს დაემხო და წყალს ფარდაგიდან დაუწყო ხვრეპა. — იფ, იფ, რა გემრიელია! რისი ბაზოულა, რისი თავგატეხილა!

— დიდუ, გამომაშტეროს უფალმა, ეს რა ბედნიერებაა! სულ არ გამხსენებია! ეს რა სასწაულია! არიქა, გავიქეცი, სოფელს შევყრი.

— მოიცა, ქალო, — საულვაშე მოიქექა ასალომ. — ავზომ-ჩავზომოთ, ავწონ-დავწონოთ... სოფლის შეყრას დაფიქრება უნდა. იქნება ეს წყალი ჩვენც არ გვყოფნის, კარგად გავსინჯოთ.

— დიდუ, დიდუ, — ხელახლა აკივლდა მაიკო. — სულ "გაგიჟდი, კაცო? სულ გადაირიე? ხალხს წყალი გინდა დაუმალო? მაინც სად აპირებ დამალო: გომურში, საბძელში თუ ქვევრში?

ასალოს ულვაშებში ჩაეღიმა.

— მართლა გამოვსულელდი, ხომ იცი შენ! ამისთანა სასწაული ვის არ გადარევს... ისე, სოფლის შეყრა რა შენი საქმეა! გასძახე მაგერ სიკოია გეგელაშვილს და ათ წუთში ჩვენს სოფელს კი არა, თუ გინდა მთელ საქართველოს შეყრის...

ახლობელ მეზობლებზე ადრე კანფეტიამ მოირბინა. თავისი ჯაგლაგი სადღაც კოსტა რიჟამაძის ბაღის ბოლოზე მიეტოვებინა დანჯღრეულ კასრიანად. ქაქანით შემოირბინა ეზოში და ასალოს პირდაპირ გაშლილ ხელებში ჩაუვარდა.

— ჩემო ასალო, ძმა ხარ და მაპატიე! რა ვიცოდი, თუ მეხუმრებოდი, ჩემი აყროლებული კასრის წყალი თუ აღარ გჭირდებოდა. ისე გიშველა ღმერთმა, როგორც მე შენ მიშველე, გადამარჩინე ამ აღმართ-დაღმართში ჩლახუნს, — მოთქვამდა ასალოს ფართო მხარზე თავმიდებული კანფეტია და აცრემლებულ თვალებს შავი სატინის ხალათის კალთით იწმენდდა.

მალე მთელი სოფელი შეიყარა. სერგო ახალაძე კიდემოტეხილ ქვაზე შედგა და სახელდახელო მიტინგი გახსნა.

— მაინც ხაიდან გაჩნდა ეს წყალი? იკითხა ვიღაცამ.

ასალომ მხრები აიჩეჩა. ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე ვიცი საიდანაც გაჩნდა!

ეს ნანიმ თქვა. ვიღაცამ ხელი შეაშველა და გოგონა კიდემოტეხილ ქვაზე შეახტუნა, გამარჯვებული ჯარის სარდალივით გამოჭიმული სერგო თავმჯდომარის გვერდით. მთელი სოფელი სულგანაბული უსმენდა გოგონას. მისი ლაპარაკი გლეხების სმენას ბულბულის ჭიკჭიკივით ატკბობდა. ნანიმ ისე მოხდენილად აღწერა თავიანთი ლაშქრობა კტისძირში წყაროს აღმოსაჩენად, რომ გაოცებული კახაბერი, ნაომი და ვანიკო პირდაღებული მისჩერებოდნენ ერთმანეთს. უკვირდათ ბიჭებს, ნუთუ ჩვენა ვართ ამ საოცარი გმირობის ჩამდენნიო?!

ნანიმ თხრობა რომ დაამთავრა, ხალხში ისეთი ერიამული ატყდა, ყურთასმენა აღარ იყო. თავმჯდომარემ ძლივს მოახერხა აზრიალებული ხალხის დაწყნარება და ხმამაღლა შესძახა:

— მეგობრებო! თანასოფლელებო! ამხანაგო კოლმეურნეებო! გაუმარჯოს სოფელ ნახშირას ეროვნულ გმირებს — კახაბერს, ნაომს, ნანის და ვანიკოს!

ბიჭებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, ისე მისწვდათ გლეხების ძარღვიანი, დაშაშრული ხელები და იგრძნეს, რომ მიწა ფეხქვეშ გამოეცალათ. კახაბერის მიერ თბილისიდან ჩამოტანილი ბურთივით აფრინდნენ ლურჯ ცაში და ისევ რბილად, ნაზად დაეშვნენ თბილ, მშობლიურ ხელისგულებზე. კარგა ხანს გაგრძელდა „ნახშირას ეროვნული გმირების“ ამგვარი ბურთაობა. ხალხი, როგორც იქნა, დაწყნარდა და მიტინგიც კალაპოტში ჩადგა. ვინ რა თქვა და ვინ რა, ბოლოს გერასიმე მეწისქვილემ აიღო სიტყვა:

— ხალხო, ახლა ამ წყალს მიხედვა უნდა. ავაშენოთ დობიროში კაი ეკლარის ქვით თავდახურული წყარო და ზედ მათი აღმომჩენების სახელები დავაწეროთ. არ ეკუთვნით თუ? დაე, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმაც დაიმახსოვრონ ამ კარგი ბავშვების სახელები.

წინააღმდეგი ვინ იქნებოდა, კახაბერს რომ არ ეთქვა:

— ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება, თუ წყაროს „უკვდავების წყაროსთვალს“ დავარქმევთ. ჯობდა ეკლარის ქვაზეც ასე წაგვეწერა.

აბა ასეთ წინადადებაზე უარს ვინ იტყოდა! მიტინგიც ამით დამთავრდა. წყალი ბავშვებს დაუტოვეს სასმელად. ასალომ შემოდგომის აქეთ გადაგლესილ 15-ფუთიანს გაუტეხა თავი და მთელი სოფელი გარშემო მიუჯდა.

მიხო ტურაბელიძემ მრგვალად მოხარშული ვარიები ამოარბენინა. კახეთიდან ჩამოსიძებულ მირიან ქიბროწაშვილის ცოლს სწორედ იმ დღეს ჩაეცხო ერთი თონე პური და ტომრით ამოიტანეს ქვემო უბნიდან. რომანა დარჩიას ერთი მაკვარანცხი თხა ჰყავდა, წინა კვირას ორჯერ გაუოხრა აპოლონას სანერგე. არც დანანებია, ისე გადმოათრია რქით ღობეზე და ათ წუთში ჩამოატყავეს წამოქცეული რცხილის ტოტზე. კანფეტიამ ორი კვირის მეცამეტე გოჭი შესწირა არიფანას. მწვადები აკლდათ და თავმჯდომარემ ივაუკაცა — ერთი ფეხმოტეხილი დეკეული გადმოაყვანინა ფერმის გამგეს. მწვადიც გაჩნდა და მოხარშული ბეჭიც. მაიკო ბიცოლამ სულ გააოხრა ბოსტანი: ხახვი და პრასი, ჭლაკვი და წიწმატი, ქინძი, ოხრახუში, ნიახური,

ეროვნული

ეორფა ტარხუნა, სურნელოვანი პიტნა და ომბალო სულ ბღუჯა-ბღუჯა დაყარა სუფრაზე. არც ვენახი გახსენებიათ იმ დღეს, არც ჩაი და არც ყანა. სუფრის თავში „ეროვნული გმირები“ დასხეს — ნანი, კახაბერი, ნაომი და ვანიკო. ბავშვებმა ერთხანს ისმინეს რიხიანი სადღეგრძელოები, არც გემრიელი საჭმელი დაუკლიათ, მერე კი ჩუმად გაიპარნენ ახმაურებული სუფრიდან. რა დასამალია და, კარგად შეზარხოშებულ სოფლელებს აღარც გაუგიათ მათი გაქრობა.

ბედნიერმა ბავშვებმა ყიყინით ჩაირბინეს დობიროში. წყალს უკვე ჩაეკვალა ასალოს ვენახი, რომანეს ყანა, კოლმეურნეობის ჩაის პატარა ნაკვეთი და დობიროს ქვაბულში გროვდებოდა. მთელი სოფლის ბავშვებს იქ მოეყარათ თავი. კახაბერმა, ნაომმა და ვანიკომაც სასწრაფოდ გაიძვრეს ფეხსაცმელები და წყალში ჩატყაპუნდნენ. ნანი ახალი ნაავადმყოფარი იყო და წყალში ჩასვლას მოერიდა. თამაშში და ჭყუმპალაობაში კიდეც დაღამდა. ივლისის ხვატიანი დღის სიცხე არც უგრძვნიათ. შემდეგ ოთხივემ ნანის აივანზე მოიკალათა. სამი დიდი ლეიბი გაშალეს, ზეწრები გადაიფარეს და ერთმანეთზე თავმიდებულებმა ჩაიძინეს. არც ალიოშა ბიძია გამწყრალა, არც კახაბერის ბიცოლა. აბა, „ნახშირას ეროვნულ გმირებს“ ვინ რას გაუბუდავდა! გვიან ღამით ჩაძინებულებს ნანასავით ჩაესმოდათ ორღობეებში მიმავალი შემთვრალი სოფლელების არხალალო.

ასე ბედნიერი დაღამდა ის კვირა ნახშირაში.

სულ სხვანაირი კვირადღე გაუთენდათ კურსებლებს.

ერთხელ უკვე ვახსენე კურსები, თუ გახსოვთ. ბევრი კი არაფერია, ერთი პატარა სოფელია, მაგრამ, რა დასამალია, ტყიბულის რაიონში და მგონი მთელ ქვემო იმერეთშიც უფრო ლამაზ სოფელს ვერ წააწყდებით. ზედ შუაზე ყოფს მდინარე წყალწითელა. ამიტომაც სოფლის ერთ ნახევარს გაღმა კურსები ჰქვია, მეორეს — გამოღმა. ოღონდ დღემდე ვერავინ გაიგო, ამ ორი ნახევრიდან რომელია გაღმა და რომელი — გამოღმა. მდინარის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებლები მარცხენა ნაპირზე მცხოვრებლებს ეძახიან გაღმელებს და პირიქით. თუმცა ეს ჩვენთვის მაინცდამაინც საინტერესო არ არის. მთავარი ისაა, რომ საჩინო ბახტაძე, რომლის თავზეც წისქვილის ქვასავით დატრიალდა იმ კვირა დილით მოულოდნელი ამბების კორიანტელი, მდინარის მარცხენა ნაპირზე ცხოვრობს, ბაქნიდან კარგა მოშორებით. საჩინოს ეზოსთან სოფელი მთავრდება და ბერისციხის ტყე იწყება. მეზობელი რაა, ახლომახლო მეზობელიც არ უჩერდება საჩინოს — მაგ ტყეში ქათამს მელა შეგვიჭამს და ღორს მგელი. მიზეზს რა ვუთხრა, თორემ მგელი ვის უნახავს კურსების ტყეებში!

ზედ საჩინოს ეზოს თავთან, ქვარნის ბილიკის ბოლოში ამოჩუხჩუხებს ბაზოულას წყარო. დღემდე არავინ იცის, რატომ ჰქვია იმ წყაროს ბაზოულა. ეს კია, ბაზოულამ ისეთი ცივი, კრიალა და შუშხუნა წყალი იცის, რომ ქვემოუბნელებსაც არ ეზარებათ ხოლმე სოფლის თავში ამორბენა და სადილისათვის ერთი თუნგულა წყლის წაღება. ჰოდა, ბაზოულას წყაროს წყალი პირდაპირ საჩინოს ეზოს ჩაურბის გვერდით.

იმ კვირას საჩინომ არყის გამოხდა გადაწყვიტა. გასული შემოდგომის აქეთ ჰქონდა ოცფუთიან ქვევრში ჭაჭა ჩაყრილი. ყოველდღე ეჯუჯღუნებოდა ცოლი: კაცო, ან გამოხადე ის არაყი, ან ჭაჭა გადაყარე, ჭურს მაინც ნუ აოხრებო. საჩინომაც იცოდა, რომ ნამეტანი გვიანდებოდა არყის გამოხდა, მაგრამ რა ექნა, — ეს ჩაიო, ეს ვენახიო, ეს სიმინდიო... კოლმეურნეობას ხომ არ უღალატებდა. დღეს მაინც გადაწყვიტა, ყველაფერზე ხელი ჩაექნია და ერთი კვირადღე საკუთარი საქმისათვის შეეწირა.

საჩინოს ეზოს გადაღმა საურმე გზა ჩადის. გზას ცალი კიდე ჩაქცეული აქვს, სწორედ იმ ჩანაქცევში მიუგდო საჩინომ წყალი. ის იყო სველი თოხი ღობის სარზე მიაყუდა და აკაპიწებული შარვალი დაიფერთხა, რომ აქოშინებულმა დათიკო ბახტაძემაც მოირბინა. მაინც საოცარი ვინმეა დათიკო. მთელ გამოღმა უბანში კაცი ვერ მოახერხებს ან საარყე ქვაბი შემოდგას ცეცხლზე და ან ქვევრს სარქველი მოხადოს ისე, რომ დათიკოს სუნი არ ეცეს. თვალის დახამხამებაში იქვე გაჩნდება. კაცზე ცოდვა არ ითქმის და, მოხმარებაც ძალიან იცის. შენთან ერთად იშრომებს, იწვალებს, მერე შენთან ერთად დაჯდება და კარგ დროსაც გაატარებს.

საჩინოს მისი დანახვა არც გაკვირვებია. ის კი არა, კინაღამ საყვედური უთხრა, აქამდე სად იყავი, შე კაცოო.

— აბა, ჰე, დათიკო, მოდი ერთი, ქვაბზე წამომიკარი ხელი!

— მე მეგონა „ზაოდი“ დადგმული გექნებოდა, თვარა ფეხი როგორ წამომცდებოდა აქეთ, — ამბობს დათიკომ და საჩინოს უკან გაჰყვა.

ბოკონებზე დადგმული სახლის ქვეშიდან უზარმაზარი ქვაბი გამოათრიეს და ძლივსძლივობით წააგორეს გზისკენ, ჩანაქცევში წინასწარ მომზადებულ ბრტყელ ქვებზე შემოდგეს და ოფლით დაცვარული სახეები შეიმშრალეს. შემდეგ ქვაბის გრძელცხვირიანი თავსახური და როფი მოიტანეს, ყველაფერი ერთმანეთს მჭიდროდ მოარგეს და გაამზადეს.

— აბა, წამო ახლა, ქვევრი მოვხადოთ და ჭაჭა მოვიტანოთ.

— აქამდე ქვევრიც არ მოგიხდია?

— რას ამბობ, დათიკო, — გაწყრა საჩინო, — ქვევრი რომ წინასწარ მოხადო, ხომ გაგალდება მთელი ჭაჭა! არაყი არ გამოვა და, წყალი აგერ ბაზოულაშიც მოდის.

ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო და, ქვევრიც მოხადეს, ჭაჭაც მოიტანეს, ქვაბ-სახურავი წითელი აყალოთი შემოლესეს, ხიდის ტუჩს მოზრდილი ჩაფი მიუგდეს, ქვაბქვეშ შარშანდელი ხარდნები შეუკეთეს და ცეცხლი ააბრიალეს. მთავარი საქმე ამით მოათავეს. შემდეგ ცეცხლთან ისე ახლოს მიიდგეს ჯორკოები, კაცს ეგონებოდა, შესცივნიათო. საჩინომ ხალათის ჯიბიდან „უაზბეგი“ ამოიღო, ასანთი გაჭკრა და გააბოლა; დათიკომ ჩიბუხი მოიმზადა, მერე საიდანღაც ორი ღერი „პრიმა“ ამოაძვრინა, ჩიბუხში ჩაფშვნა, ქვაბქვეშიდან მუგუზალი გამოიღო, მოუკიდა და მადიანად ააფუილა.

წინწანაქარს ჯერ კიდევ არ დაეწყო წვეთა, როცა გზაზე კოტოია მონადირემ ამოიარა. მერე არსენა და კოწია აბესაძეები მოვიდნენ. ბოლოს ოტია ალფაიძეც გამოჩნდა. გამარჯობა თქვეს და ბოდიშიც არ მოუხდიათ, ისე მოიკალათეს საარყე ქვაბის გარშემო.

— ისიც მიკვირს, ან აქამდე როგორ დაგაგვიანდათ, — კეთილად აბუზღუნდა საჩინო და აივნისაკენ გასძახა: — მარიამ-ქალო, რამე დასაყოლებელი მოგვართვი.

დასაყოლებელიც მალე გაჩნდა. ბევრი კი არაფერი — კიტრი და პამიდორი, მჟავე პრასი, ჭოთნით ლობიო, ცივი მჭადი, ყველი პური და კეთილი გული.

ცხელი არყით ღვინის ჭიქებს ავსებდნენ, მერე იქვე ჩამომდინარე ბაზოულაში დგამდნენ და შეგრილებას აცლიდნენ.

მზე უკვე შუბისტარზე იყო, პირველად რომ ჩამოილოცეს.

— არ გელოდით და ასე მცირე

მასპინძლობა უნდა მაპატიოთ, ეროვნული ხუმრობანარევი კილოთი ბოდიშობ-ლიოთეკა და საჩინო.

— ახლა, ქეიფს და ჭერის ახდას ჩვენც არ ვაპირებთ; ისე, საუზმე საბოდიშო კი არა, ნეფის საკადრისია, ჩემო ბატონო, — სერიოზულად დაამშვიდა კოწია აბესაძემ.

— ეე, მე რომ ცეცხლი და მდუღარე მცვიოდა თავზე, ამისთანა საუზმე მქონებოდა, თვარა... — ეს დათიკო ბახტაძემ თქვა და მსმენელებში ხმადაბლა სიცილმა გადაიარა. არა, კი არაფერი იფიქროთ, უბრალოდ, დათიკოს მეტისმეტად უყვარს არაჩვეულებრივი თავგადასავლების მოყოლა, ომის დროს რომ შემთხვევია, „გერმანიის ფრონტზე“.

— რა გეცინებათ, თქვე დაღლარებო, რა! თქვენ, ბიძია, აქანე კაკლის ჩეროში დანასობიას თამაშობდით, მე რომ იქ ქვეყნიერებას ვანგრევდი. — გაწყრა დათიკო.

— მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვინ გითხრა, არაო. — აღელდა ოტია ალფაიძე. — პირიქით, შენ ხარ ჩემი ბატონი, შენი მონათხრობი ამბავი გვესიამოვნება. აქეთურს იტყვი თუ იქეთურს იტყვი, ყველაფერს გადასარევად ამბობ. ის კი არა, თუ რამეს მოგვიყვები, ამ ცხელ არაყზე მისაყოლებელივით იქნება, შენ ხარ ჩემი ბატონი.

— მორჩი ერთი, ციგნები ხართ და მეტი არაფერი, ნახევაოს არ მიჯერებთ ამ ნაომარ და ნახიშტარ კაცს.

კოტოია მონადირემ ვეებერთელა ლუკმა გადაყლაპა, არსენას თვალი ჩაუკრა, ხის საკეცე მუგუზლებს შეუჩუჩხუნა და წასაქეზებლად თქვა:

— რატომ კადრულობ, დათიკო! დაჯერებით როგორ არ გვჯერა, მაგრამ ხანდახან მაინც გვეპარება ეჭვი. ა, გახსოვს, სტალინგრადთან რომ ვოლგა გადალახე? ის ამბავი, არ ვიცი, კარგად ვერ მოვისმინე, ან — მთლად ფხიზელი არ ვიყავი, თუ რა მომივიდა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მჯერა, რომ იცოდე. მომკალი თუ გინდა, ძმაო, ვერ დავიჯერე და რა ვქნა.

— ჩემი სისხლი და ხორცი ხართ, და მაინც შეგეპარათ ეჭვი ჩემს სიმართლეში? თუ ვტყუოდე... რა დაგიფიცოთ, რა... თვალში შუქი ჩამიქრეს, ეს ღვინო და არაყი გამიწყდეს, ეს წმინდა წყარო დამიშრეს!

„ეს წმინდა წყარო დამიშრესო“...

ყველა შეშინებული წამოვარდა ფეხზე. თვალები ბუს ბახალებივით გაუფართოვდათ. კოტოია მონადირემ კი, თავის სიცოცხლეში პირველად, პირჯვარიც გადაიწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყარო მართლა დამშრალიყო!

წინწანაქარს წვეთა შეეწყვიტა და ხიდის მიღიდან ორთქლი ბოლქვა-ბოლქვა გამოდიოდა.

— არიქა, გამოუნელეთ! — გაახსენდა კოწიას და მუგუზლები გარეთ გამოყარა.

ცეცხლი ჩაქრა. ჭაჭამ დუღილი შეწყვიტა. წყაროს წკრიალი აღარ ისმოდა და გარშემო ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, საჩინომ უნებურად ყურზე ხელი მოისვა, ხომ არ დავყრუვდიო.

— ნარუალიდან ხომ არავინ გადააგდო, ნეტა? — იკითხა ოტიამ.

ეს უკანასკნელი იმედიც გაუწყდათ, როცა ტყრუშულს მარიამი მოადგა. საჩინოს მეუღლე ერთობ სასაცილო შესახედავი გახლდათ, მაგრამ არავის გასცინებია. გასაპნული თმა თეთრი იასამნისფერით აბუქოდა თავზე და გამწარებით ისრესდა საპნისაგან აწითლებულ თვალებს.

— არიქა, საჩინო, მიშველე, კაცო, ბაზოულაში წყალი დაწყდა.

ბაზოულაში წყალი დაწყდაო?! ერთი შეკივლება დასჭირდა და მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ესეც ითქვა, ისიც ითქვა, ბოლოს თოხები თოფებივით გაიდვეს მხარზე და კტისძირიხ გზას დაადგნენ.

კტისძირი კურსებიდან ბევრად უფრო შორია, ვიდრე ნახშირადან. მიდიოდნენ და მიქაქანობდნენ. სანამ ბაზოულას სათავემდე ააღწიეს, გზაზე კიდეც შემოალამდათ.

ასე საშინელი კვირა დაუღამდათ კურსებლებს.

ორშაბათი კი კურსებლებმაც და ნახშირელებმაც ერთად გაითენეს. როცა კურსებლებმა გაიგეს წყლის დაწყვეტის მიზეზი, კოტოია მონადირემ მეღამური მგელივით ჩაირბინა ნახშირაში და მთელი სოფელი კტისძირას ამორეკა. რა არ თქვეს, რა არ იქაქანეს და, ბოლოს, როგორც იქნა, მოილაპარაკეს.

ო, ეს ისეთი სანახაობა იყო, დაწვრილებით უნდა გიამბოთ.

თავი მეოთხე

კტისძირას ატეხილი ომი. ასალო აბესაძე აყრას აპირებს. კოლმეურნეობის კანტორაში შეკრული ზავი.

ვინ იცის, რითი დამთავრდებოდა კტისძირას ატეხილი დავა, რომ ასალო აბესაძეს უეცრად ცრემლი არ მორეოდა.

ვისაც თავისი თვალით არ უნახავს, ვერაფრით ვერ წარმოიდგენს, როგორ იმოქმედა ამ ამბავმა ხალხზე. ჯერ, აქა-იქ მუქარით მოღერილი თოხები დაყარეს მიწაზე, მერე ხმას დაუწიეს, დაუწიეს და სულ მიჩუმდნენ. ასალო კი, ეს ამოდენა კაცი, პირდაპირ ჯერ კიდევ სველ ნარუალში ჩამჯდარიყო, ცერისსიმსხო ცრემლები გრძელ ულვაშებზე უბრწყინავდა და ხმამაღლა, მაგრამ მაინც თავისთვის, ცრემლნარევი ხმით ამბობდა:

— რა ვქნათ, ახლა ჩვენ? ოჯახი გვაქვს, ცოლ-შვილი გვყავს, მტერმოყვარე გაგვაჩნია. ისევ კანფეტიას ჯაგლაგით უნდა ვზიდოთ აყროლებული წყალი გელათიდან? ამ კასრის წყლის გადამკიდეთ, ლამისაა ციებ-ცხელებაც შემოგვეჩვიოს. აღარაა საშველი, ბატონო. უნდა ავიყაროთ და გადავსახლდეთ აქედან. გადასარევი მეზობლები გვყავს — კურსებლებიც, გელათელებიც, მაგრამ რა ვქნათ, რა. უნდა მივატოვოთ ეს გაჭირვებით ნაპოვნი მოყვარეც, მეზობლებიც და გავწიოთ უგზო-უკვლოდ, მიწისა და წყლის საძებნელად.

კახაბერს გულმა ვეღარ გაუძლო. ასე ეგონა, თვითონ იყო ამ ხანდაზმული კაცის ბავშვივით ატირების მიზეზი. ასალოს გვერდით ჩაიჩოქა და თეთრ თმებზე მოზრდილი კაცივით გადაუსვა ხელი.

— კარგი, ახლა, ასალო ბიძია. სირცხვილია, ნუ ტირი, ასალო ბიძია.

მერე, როცა კახაბერი ამ ამბავს ყვებოდა, ამბობდა, — დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, ასალომ ულვაშზე ხელი რომ გადაისვა, ამით ღიმილმორეული თვალები და ტუჩები დამალაო. არა, ცრემლები ისევ ღაპაღუპით სცვიოდა დანაოჭებულ ღაწვებზე, მხრებიც უმიზეზოდ გალახული ბავშვივით უცახცახებდა, მაგრამ კახაბერს არასოდეს ტყუილი არ უთქვამს და ასეთი რაიმეს მოტყუილება რად დასჭირდებოდა. დედ-მამას იფიცებს, ნამდვილად დავინახე, ასალო ბიძიას ღიმილი მოერიაო.

ასალო კი ახლა უკვე კახაბერს ელაპარაკებოდა ცრემლიანი ხმით:

— ეხ, ჩემო კახაბერ, ბიჭო, რაც შენ გუშინ გამახარე, იმის სამაგიეროდ თეთრი ცხენი უნდა მეჩუქებინა. ახლა მაპატიე, მაგრამ იმ ცხენზე შევსვამ ჩემს ბებერს და გავუდგებით სახეტიალოდ გზას. საქართველოში როგორ არ აღმოჩნდება ისეთი სოფელი, სადაც წყალიც იქნება და კეთილი ხალხიც, რომ შეგვიკედლოს და მეზობლობა გაგვიწიოს. თუ გავძელით, ხომ გავძელით ამ ბებრებმა, თუარადა ამოგვძვრება გზაში სული და ის იქნება. მაგითი არც

კურსებს დააკლდება [illegible] გელათს.

კურსებლები მართლაც დამნაშავეებივით თავჩაღუნულები იდგნენ. ნახშირელები კი რაღაც საუჭვოდ ისრესდნენ თვალებს.

წამიერი სიჩუმე სერგო ახალაძემ დაარღვია:

— წავიდეთ, ხალხო, აწი, სახლებში. საცაა გათენდება. მაგათი წყალია და ძალით ხომ არ წავართმევთ!

ერთად თავმოყრილ კურსებლებს მათი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატ იაშვილი გამოეყო, მუჭში ჩაახველა და დინჯად დაიწყო:

— ახლა მთლად მასე კი არ არის საქმე. მაინც მეზობლები ვართ. აქამდეც უნდა მოგვეფიქრებინა რაიმე. მართალია, კურსებში სხვა წყაროებიცაა, მაგრამ ბაზოულას მთლად ვერ გავიმეტებთ. ზელობანი უმაგწყაროდ წყურვილით დაგვეხრჩობა. რა ვიცი, დავჯდეთ, მოვილაპარაკოთ. რაკი ასე იოლი გადასაგდებია სათავე, კვირაში რამდენიმე დღე — თქვენ და რამდენიმე — ჩვენ; თუ ჩემი ხალხი არ იქნება წინააღმდეგი.

რისი წინააღმდეგი! ხალხში ერთი ერიამული ატყდა. ეშმაკმა უწყის, ვინ ვის ეხვეოდა და კოცნიდა.

ხალხს თურმე ქეიფი უღვინოდაც შესძლებია. სანამ ზეცაზე რიბირაბომ არ გადაიარა, ისხდნენ კტისძირას ხელიხელგადახვეული კურსებლები და ნახშირელები გაიმღეროდნენ და ზოგჯერ თავგადადებული ცეკვავდნენ კიდეც.

მერე სერგო ახალაძემ და ბაგრატ იაშვილმა მოილაპარაკეს. ასეა თუ ისე, მაინც დაწერილი პირობა სჯობიაო, — თქვეს. ხალხში რამდენიმე კაცი გამოარჩიეს და რიჟრაჟამდე დაადგნენ კურსების გზას. სიმართლე გითხრათ, კახაბერი და ნაომი არავის მიუპატიჟებია, მაგრამ ასეთ ისტორიულ მომენტს თვითონ როგორ გამოტოვებდნენ. სერგო თავმჯდომარეც არ გაჯიუტებულა. მაგ ბიჭებზე ალალიაო, თქვა და თან გაიყოლია. მივიდნენ კურსების კოლმეურნეობის კანტორაში, შეადგინეს ხელშეკრულების ტექსტი ორ ცალად, თავმჯდომარეებმა და მოწმეებმაც ხელი მოაწერეს, დიდის ამბისა დაარტყეს ბეჭედი და ერთი ცალი რკინის საიდუმლო კარადაში ჩაკეტეს, მეორე კი სერგო ახალაძემ სათუთად დაკეცა და უბეში შეინახა, გულთან ახლოს.

აი, ეს ხელშეკრულებაც:

„ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი, ერთის მხრივ სოფელ კურსების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაგრატ იაშვილი, კოლმეურნეები —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათიკო ბახტაძე, ოტია ალფაიძე, ბუჭულია ბახტაძე და არსენ ბახტაძე, ხოლო მეორეს მხრივ სოფელ ნახშირას კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერგო ახალაძე, კოლმეურნეები — გრიგოლ გოგოლაძე, საჩინო აბესაძე, ლევან გოშხეთელიანი, ტრანსფორმატორების ქარხნის ოსტატი ასკალონ მაღლაფერიძე ვდებთ ამ ხელშეკრულებას მასზედ, რომ დღეიდან ბაზოულას წყარო ერთნაირ საკუთრებაში ჰქონდეთ ამ ორი სოფლის მცხოვრებლებს — კურსებლებსა და ნახშირელებს. კვირაში ოთხი დღე წყაროთი ისარგებლებენ ნახშირელები, რადგან მათ სხვა სასმელი წყალი სოფლად არა აქვთ, ხოლო დანარჩენი სამი დღე — კურსებლები. სამაგიეროდ, ნახშირელებს ევალებათ გამოჰყონ კაცი, რომელიც კვირაში ორჯერ შეუცვლის სათავეს ბაზოულას წყაროს.

ამ ხელშეკრულების სინამდვილეს ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ვადასტურებთ...“

ამას მისდევდა ხელმოწერა და თარიღი.

ყველა ამბის დასასრული

ახლა კახაბერი თბილისშია.

ხშირად, ძალიან ხშირად იგონებს თავის კარგ მეგობრებს — ნანის, ნაომს, ვანიკოს, მამუკას.

ამას წინათ ნანის წერილი მიიღო.

„მომავალ ზაფხულში რომ ჩამოხვალ, კიდევ მოვძებნოთ ერთი წყარო“.

კახაბერმაც გადაწყვიტა: ზიარი წყალი კარგია, მაგრამ საკუთარი ჯობიაო, და მომავალი ზაფხულისათვის სალაშქროდ ემზადება.

თუ მართლაც იპოვნიან ახალ წყაროს, სხვა დროს გიამბობთ.

კინაღამ დამავიწყდა მეთქვა:

ნახშირელებმა წყარო ამოაშენეს და თავი მოადგეს. ზედ წყალწითელაზე აკრეფილი ფერადი რიყის ქვებით წააწერეს: „უკვდავების წყაროსთვალი“.

მართალია, ჩვენი პატარა გმირების სახელები წყაროს თავზე არ ამოუკვეთავთ, მაგრამ ყველამ იცის, ნახშირაშიც და კურსებშიც, რომ ამ ორი სოფლის სამუდამოდ დამეგობრებას უნდა უმადლოდნენ სასმელი წყლის აღმომჩენთ:

ნანის,
ვანიკოს,
ნაომს,
კახაბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმაღლეების ჯაჭვი

აკაკი დოკვაძე,
საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მოზარდი თაობის ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას ჯერ კიდევ ძველ საუკუნეებში აქცევდნენ ყურადღებას: ტარდებოდა ასპარეზობა რბენაში, ხტომაში, ბირთვის კვრაში, ბადროს ტყორცნაში, ჭიდაობაში, კრივში, თამაშობაში... შემუშავებული იყო სხვადასხვა ძრავალჭიდი — ეგრეთ წოდებული პენტათლონი, პანკრატიონი და სხვ. შეჯიბრებების ჩასატარებლად იმ დროს საგანგებო შენობებსაც კი აშენებდნენ. მაგალითად, რომში, ძვ. წ. აღ. VI საუკუნეში, ააგეს უზარმაზარი ცირკი, რომელიც 190.000 მაყურებელს იტევდა.

ყოველმხრივი ფიზიკური განვითარება გულისხმობს ადამიანის სხეულის თითოეული ორგანოს თანაბარ, ჰარმონიულ განვითარებას, ესე იგი, სისწრაფე, ძალა, გამძლეობა, სიმარჯვე და სხეულის სხვა ფიზიკური თვისებები ერთნაირად უნდა განვითარდეს. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რადგან მხოლოდ ერთ-ერთი ამ თვისების განვითარებას შეიძლება მეორის დაკნინება მოჰყვეს. მაგალითად, შეიძლება ძალ-

ზე გამძლე იყო, დიდხანს დარბოდე და არ იღლებოდე, მაგრამ ამავე დროს, უღონო მკლავები გქონდეს და ღერძსა თუ ორძელზე მარტივი ვარჯიშიც ვერ შეასრულო; ან კიდევ, პირიქით — შესაძლოა ღონიერი იყო, მხარბეჭიანიც, მაგრამ 200 მეტრს გაირბენ თუ არა, გული ამოგივარდეს, პატარა მდინარეც კი ვერ გადასცურო...

ფიზიკური აღზრდის ჩვენი სისტემა სწორედ იმას ითვალისწინებს, რომ თითოეული საბჭოთა ადამიანი ფიზიკურად ყოველმხრივ განვითარებული, სრულყოფილი იყოს.

ამ სისტემის საფუძველი იყო საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" (მშთ), რომელიც, ლენინური კომკავშირის თაოსნობით, 1931 წელს შემოვიღეთ, ხოლო კომპლექსი ბავშვებისათვის — „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის" (იმშთ) — ცოტა მოგვიანებით დაწესდა. ორსავე კომპლექსში შეტანილი იყო ადამიანის ფიზიკური თვისებების განმავითარებელი და ცხოვრებაში გამოსაყენებელი ვარჯიშები. კომპლექსების სტრუქტურა და ნორმები რამდენჯერმე შეიცვალა, თანდათან უფრო გართულდა.

ყოფილი მშთ კომპლექსი, ბოლოს და ბოლოს, მოძველდა, ვეღარ ასრულებდა თავის დანიშნულებას. ამის გამო, წლეულს 1 მარტიდან ძალაში შევიდა ახალი კომპლექსი „იყავ მზად შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის". თუ ძველი კომპლექსი სამი საფეხურისაგან შედგებოდა, ახალი კომპლექსი ხუთ საფეხურს ითვლის.

ძველი კომპლექსის ნორმების ჩაბარება 13 წლის ასაკიდან იწყებოდა და 45 წლის ასაკში მთავრდებოდა, ახალში კი 10 წლიდან 60 წლის ასაკამდე აბარებენ, ესე იგი ჩაბარების ფარგლები 32 წლიდან 50 წლამდე გაიზარდა.

ამრიგად, 10-11 წლის მოზარდი პირველი საფეხურის ნორმებს რომ ჩააბარებს, მას, თავისი სიცოცხლის მანძილზე, რამდენჯერმე მოუწევს სხვა საფეხურთა ნორმების ჩაბარება, ხოლო 60 წლისა რომ გახდება, თითქმის იმავე სიძლიერის ნორმატივებს ჩააბარებს, რაც პირველი საფეხურით არის გათვალისწინებული.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლე, მისი ახალგაზრდული წლები სულ უფრო და უფრო ხანგრძლივი ხდება.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ დიდად ამაღლდა ჩასაბარებელი ნორმატივების დონე. თუ წინათ 14 წლის გოგონას 60 მეტრი 10,8 წამში უნდა გაერბინა, ახლა ვერცხლის ნიშანზე 10, ოქროსაზე კი 9,4 წამში უნდა დაფაროს ეს მანძილი. სიმაღლეზე ხტომაშიც შესაბამისად მომატებულია 15 სმ და 20 სმ, სიგრძეზე ხტომაში 40 სმ და 90 სმ. თუ 15 წლის ბიჭისთვის სიმაღლეზე ხტომის ნორმატივი 105 სმ-ით განისაზღვრებოდა, ახლა ეს სიმაღლე 10-11 წლის ყმაწვილმა უნდა გადალახოს, რომ ოქროს სამკერდე ნიშანი მიიღოს. 15 წლის ბიჭების ნორმატივი თუ

325 სმ იყო სიგრძეზე ხტომაში, ამჟამად 10-11 წლის ბიჭი 15 სმ-ით მეტზე — 340 სმ-ზე უნდა გადახტეს, 12 წლისა კი 380 სმ-ზე და ა. შ.

ასე რომ, პიონერთა ასაკის ნორმატივები (იხ. თანდართული ცხრილი) საკმაოდ გაზრდილია და მათი ჩაბარება საწვრთნელი მეცადინეობების გარეშე ძალზე ძნელია. საჭიროა სისტემატური წვრთნა, როგორც სკოლაში, ასევე სახლის ეზოში, პიონერთა ბანაკში და სხვ.

იმშთ-ს ახალი კომპლექსის დებულებით ყველამ უნდა ჩააბაროს ნორმატივები ცურვაში. ამიტომ, ვინც ჯერ კიდევ არ იცით ცურვა, აუცილებლად უნდა დაეუფლოთ სპორტის ამ სახეობას. ამ მხრივ კარგ დახმარებას გაგიწევთ ჟურნალ „პიონერის" 1970 წლის № 6-ში და 1971 წლის № 2-ში დაბეჭდილი რჩევა-დარიგებები.

«ᲔᲣᲗ» ᲙᲝᲛᲙᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲕᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲣᲠᲘ- «ᲛᲔᲛᲪᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲚᲣᲠᲘ»

ვარჯიშები და ნორმები

ვარჯიშთა სახეობანი	ბიჭები 10—11 წლის ვერცხლ. ნიშანზე	ბიჭები 10—11 წლის ოქროს ნიშანზე	ბიჭები 12—13 წლის ვერცხლ. ნიშანზე	ბიჭები 12—13 წლის ოქროს ნიშანზე	გოგონები 10—11 წლის ვერცხლ. ნიშანზე	გოგონები 10—11 წლის ოქროს ნიშანზე	გოგონები 12—13 წლის ვერცხლ. ნიშანზე	გოგონები 12—13 წლის ოქროს ნიშანზე
1	2	3	4	5	6	7	8	9
1. რბენა ა								
30 მ (წ მ ებში) . .	5,8	5,2	—	—	6,0	5,4	—	—
60 მ (წამებში) .	—	—	10,0	9,2	—	—	10,2	9,6
2. ხტომა სიგრძეზე (სმ)	310	340	340	380	260	300	300	350
3. ხტომა სიმაღლეზე (სმ)	95	105	105	115	85	95	100	110
4. ჩოგბურთის ბურთის ტყორცნა (მ) . .	30	35	35	40	20	23	23	26
5. ცურვა								
დროის ჩაუთვლელად (მ)	25	—	50	—	25	—	50	—
50 მ (წთ, წმ) . .	—	1.20	—	1,05	—	1.30	—	1.15
6. რბოლა თხილამურებით								
1 კმ (წთ, წმ)	8,00	7,30	—	—	8,30	8,00	—	—
2 კმ (წთ, წმ) .	—	—	14,00	13,00	—	—	16,30	15,30
უთოვლო რაიონებში: ველოსიპედით სიარული								
5 კმ (წთ)	16	15	15	14	19	18	18	17
ან								
კროსი დროის ჩაუთვლელად (მ)	500	1000	1000	1500	300	500	500	1000
7. ღერძზე მიზიდვა (რამდენჯერ)	3	5	5	7	—	—	—	—
ბაგირზე ცოცვა ფეხების დახმარებით (მ, სმ)	—	—	—	—	2 50	2.80	2.80	3,50

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ოქროს სამკერდე ნიშნის მისაღებად საჭიროა შესრულდეს სულ ცოტა 5 ნორმა ოქროს ნიშნის და 2 — ვერცხლის ნიშნის მოთხოვნების დონეზე.

ვარჯიშები ამორჩევით ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩამბარებელთათვის (10-11 წლის ასაკში აუცილებელია ორი, 12-13 წლის ასაკში კი 3 რომელიმე სახეობის ჩაბარება)

1	2	3	4	5	6	7	8	9
1. წინაღობათა ზოლი 80 მ	—	4 წინაღობა	—	5 წინადობა	—	3 წინაღობა	—	4 წინაღობა
2. ტანვარჯიშული მრავალჭიდი	—	სამჭიდი	—	ოთხჭიდი	—	ორჭიდი	—	სამჭიდი
3. ტურისტული ლაშქრობა ტურისტულ რჩევათა შემოწმებით	—	5—6 კმ	—	შესრულდეს „ნორჩი ტურისტის“ სამკერდე ნიშნის მოთხოვნები	—	5 - 6 კმ	—	შესრულდეს „ნორჩი ტურისტის“ სამკერდე ნიშნის მოთხოვნები
4. სროლა	—	—	—	შესრულდეს „ნორჩი მსროლელის“ სამკერდე ნიშნის მოთხოვნები	—	—	—	შესრულდეს „ნორჩი მსროლელის“ სამკერდე ნიშნის მოთხოვნები
5. რბოლა უბრალო ციგურებით 100 მ (წმ)	—	20	—	18	—	22	—	—
6. მონაწილეობა სპორტულ თამაშებში გამართულ შეჯიბრებებში (თამაშის ხაოდენობა)	—	5	—	8	-	5	—	—

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ

თხუნელა

ჩუმად მიწაში დაძვრები,
გაქვს მიწაშივე ბინა,
შენთვის არც მთვარე ანათებს,
არც მზე კაშკაშა ბრწყინავს.

დღემ თუ დაგხედა ხვრელიდან,
ხვრელს უმალ მიწით კეტავ...
ბნელში ცხოვრება, თხუნელავ,
რამ დაგაბედა ნეტავ!

ამბობენ: — ერთხელ ერთ ტყეში
უთქვამთ, რომ დავგმეთ ღმერთი,
ცა მიწას დაეცემაო,
არ გადავრჩებით ერთიც.

გაფითრებულხარ, შეგკვრია
შიშით კარგა ხანს სუნთქვა.
— იმ შავ დღეს, უბედურებას
ვერ ვუყურებო, — გითქვამს.

წასულხარ,
ჯერ დაგითხრია
თვალები ვაით, ვიშით,
მერე მიწაში ჩამძვრალხარ
ქვეყნის დაქცევის შიშით.

აშლილან, შეწუხებულან
სულდგმულნი ტყის და მინდვრის...
იმ ცოდვის დღიდან გამხდარხარ
ცივი სიბნელის მკვიდრი.

არ გაგიკვირდეს, თხუნელავ,
და მზე კვლავ ბრწყინავს ცაზე,
მთვარეც ხან ნამგლის მსგავსია,
ხან გაბადრული, სავსე.

ყვავილი ისევ ყვავილობს,
ისევ მწვანდება მიწა,
ბულბულის სტვენა კვლავ ესმის
ვარდს, სიყვარულის ფიცად.

კვლავ არ ითვლება ღირსებად
დაკარგვა გზის და კვალის,
შეშინდე, შიშმა ჩაგიკლას
ყველა იმედი ხვალის;

დათმო სიტურფე ქვეყნისა,
შუქი მზისა და მთვარის...
ო, რა ცუდია, ცხოვრობდე,
ცას ვერ მოავლო თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუგზარ აფხაზავა

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ლეო, ითმინე!

ფანტასტიკური მოთხრობა

1

პლანეტა მეირას მოსახლეობას თავისი სატკივარი სტკიოდა, სამყაროს სივრცეებზე ფიქრისთვის არ ეცალა და ამიტომ კოსმოსურ ხომალდ „ლუხუმის" გამოჩენა თითქმის შეუნიშნავი დარჩა. მხოლოდ ერთადერთი, ჩამქრალი ვულკანის კრატერში მოთავსებული ობსერვატორიის ფანატიკოსმა ასტრონომმა აღნიშნა, რომ მეირას ფანტასტიკური სისწრაფით მიმქროლავმა მომცრო ასტეროიდმა ჩაუქროლა და მყისვე უკვალოდ გაქრა.

თავის მხრივ, დიდი ინტერესი პლანეტა მეირას არც „ლუხუმის" ეკიპაჟში გამოუწვევია. ეკიპაჟი, ითქმის, თუმცა ხომალდის მრავალრიცხოვანი პერსონალიდან მხოლოდ ორიოდე კოსმონავტი ფიზიზლობდა — დანარჩენები ანაბიოზში ღრმა ძილს მისცემოდნენ. მორიგე შტურმანი საინტერესო წიგნის კითხვას ხმადაბალმა, წყვეტილმა სიგნალმა მოსწყვიტა. ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის ფირზე მწვანე ნათურა აინთო და იმავ წამს ლითონისებურად მჟღერმა ხმამ დარბაზი აავსო — მანქანა უკვე მახასიათებლებს გადმოსცემდა: „ჩავუარეთ S-77-K კლასის ბნელი ვარსკვლავის ცხრაპლანეტიან სისტემას, — მდორე და ერთფეროვან ხმას თითქოს თვითკმაყოფილების იერი დაჰკრავდა. — უახლოესი პლანეტიდან სისტემის ცენტრამდე მანძილი 400 ათასი კილომეტრია, უშორესიდან — ექვსი მილიარდი. მეხუთე პლანეტაზე რადიოაქტიური ფონი დასაშვებზე მეტია..."

მეხუთე პლანეტას მეირა ერქვა...

უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერებიდან

2

„...თუ ახლა, ამ მომენტში, მეირაზე არის ადამიანი, რომელიც დღევანდელმა ამბებმა არ ააფორიაქა და წონასწორობიდან არ გამოიყვანა, იგი ან სულით ავადმყოფი იქნება, ან სულაც უგულო და მეირას მწვერვალებივით ცივი და უსიცოცხლო. თუ ის, რაც **მეცნიერთა საბჭომ** დაადგინა და დღეს პლანეტის ყველა მთავარმა გაზეთმა გამოაქვეყნა, თუ ის უცნაური და გაუგონარი პროექტი შეიძლება განხორციელდეს, მაშინ ნურავინ ეცდება დამარწმუნოს, რომ სამყაროში სასწაულები არ ხდება!..

მე სულაც არ ვეკუთვნი იმ დონდლო და ზოზინა ადამიანთა რიცხვს, რომელთაც თავისი ერთხელვე დადგენილ-დაკანონებული ცხოვრების წესის შეცვლას სიკვდილი ურჩევნიათ. ბოლოსდაბოლოს, ამის უფლებას ჩემი მოუსვენარი პროფესიაც არ მაძლევს. მაგრამ მეც კი, ვისაც ერთფეროვნება სიცოცხლეს მიწამლავს, და ცხოვრების ნირის შეტრიალება არაფრად მიღირს, ხანდახან მგონია, რომ უმჯობესია პლანეტა მეირაზე ყველაფერი ძველებურად დარჩეს და იმ ფანტასტიკურ თეორიებსა და პროექტებს ტყუილუბრალოდ ნურავინ წაეპოტინება...

კაცმა რომ თქვას, ნუთუ ისე ცუდად ვცხოვრობთ, რომ ასე დიდი რისკის გაწევა აუცილებლად მივიჩნიოთ?..

მაინც რა უცნაურია ეს ჩვენი საუკუნე! ათობით ძველ, ათასწლობით განმტკიცებულ შეხედულებებს ბოლო მოელო და მათი ადგილი ახალმა, მწყობრმა თეორიებმა დაიკავა...

ხალხს დიდხანს სჯეროდა, რომ ჩვენი მეირა სამყაროს ერთადერთი დასახლებული კუნძულია, ხოლო ცაზე მოკიაფე მანათობელი წერტილები ვიწრო ნახვრეტებია, რომელთა მიღმაც მარადიული სინათლით სავსე უსასრულო სამეფოა გადაჭიმული! რელიგიის მსახურნი ამტკიცებდნენ, რომ ოდესღაც, უხსოვარ დროს, ადამიანთა დასასჯელად ღმერთმა ერთ ნახვრეტში წყლის წვერი ჩაჰკრა, გააფართოვა და იმ ნახვრეტიდან გადმოღვრილმა მარადიულმა სინათლემ მეირას ზედაპირზე ყოველივე ცოცხალი მოსპო და გადაბუგა. შემთხვევით თითქოს ერთი ტომი გადარჩენილა მხოლოდ, რომელსაც მოუსწრია და თავი ღრმა გამოქვაბულისათვის შეუფარებია. მერე ღმერთს გული მობრუნებია და ის დამღუპველი ნახვრეტი საგულდაგულოდ ამოუქოლავს.

შუა საუკუნეებში კოცონზე დასწვეს პოეტი, რომელიც მარადიულ სინათლეს უმღეროდა... კოცონზე დასწვეს მეცნიერიც, რომელიც ამტკიცებდა — ციური მოციმციმე წერტილები ჭუჭრუტანები კი არა, გიგანტური ვარსკვლავებია და ასე მომცრონი სიშორის გამო გვეჩვენებაო...

ჩვენი საუკუნის დასაწყისში დიდმა რენანიმ ჩამოაყალიბა ზუსტი კოსმოგონიური თეორია და უამრავ ბუნდოვან საკითხს ნათელი მოჰფინა.

რენანიმ ასტრონომიის უახლესი აღმოჩენები გამოიყენა და ცხადყო, რომ მეირა ერთი იმ ცხრა პლანეტათაგანია, რომლებიც თავბრუდამხვევი სისწრაფით ბრუნავენ საკუთარი ღერძისა და ბნელი ჯუჯა ვარსკვლავის გარშემო. რენანიმ ცხადყო, რომ სამყარო უსასრულოა და შორს მოკიაფე წერტილები ვარსკვლავებია, რომელთაც, ალბათ, საკუთარი პლანეტათა სისტემები გააჩნიათ.

იმავე რენანიმ პირველმა გამოთქვა აზრი, რომ ჩვენი სისტემის ცენტრი ოდესღაც იმ შორეული ვარსკვლავებივით ბრწყინვალე მნათობი იყო, მაგრამ შემდეგ, გამოუცნობი მიზეზების გამო, სინათლე და სითბო დაჰკარგვია და სქელი, ბნელი ქერქი გადაკვრია.

ეს ჰიპოთეზა წყალბადის ბომბის აფეთქებაზე მძლავრი აღმოჩნდა. რენანი მწვალებლად გამოაცხადეს, მაგრამ შუა საუკუნეები წარსულს სამუდამოდ ჩაბარდა და მეცნიერი კოცონზე დაწვას გადაურჩა. რამდენჯერმე ტყვიაც ესროლეს, მაგრამ რენანის, ჩანს, ბედი სწყალობდა და ყველა ტყვია ასცდა.

მერე ის იყო, მეირას ზედაპირზე გაჩაღებულმა არქეოლოგიურმა საძიებო ექსპედიციებმა რენანის თეორიის სისწორე საკვლევით დაამტკიცეს. სახელგანთქმული მეცნიერი თურმე სიხარულის ცრემლებით ატირდა, როცა ამის შესახებ მოახსენეს.

მეირას ზედაპირზე, სქელი ყინულოვანი საფარველის ქვეშ, მეცნიერებმა უძველეს ადამიანთა თავისქალები, მათი სადგომები, კერიისა და იარაღის ნაშთები, უცნაური, დღემდე გაუშიფრავი სოლისებური დამწერლობის ნიმუშები, მაღალი ხეების ნარჩენები, უზარმაზარ ოთხფეხა არსებათა გაყინული სხეულები აღმოაჩინეს. გამოირკვა, რომ თვალები არა მარტო ადამიანებს, არამედ იმ უცნაურ ცხოველებსაც ჰქონდათ. ამ აღმოჩენებიდან რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა გამოიტანეს...

ახლა საეჭვოდ არავის მიაჩნია, რომ მეირაზე სიცოცხლე ჯერ კიდევ იმ დროს ჩაისახა და განვითარდა, როცა მის ცას ჩახჩახა მზე ანათებდა და დღე და ღამე მორიგეობით ცვლიდნენ ერთმანეთს. მართლაც, ასე რომ არ ყოფილიყო, ადამიანთა მოდგმას (და იმ გადაშენებულ ოთხფეხა არსებებს) თვალებიც არ ექნებოდათ — ხომ არა აქვთ თვალები თხუნელებსა და ღამურებს, რომლებიც თავისი გაჩენის დღიდან ბნელში ცხოვრობენ და სინათლე არ სჭირდებათ...

მეირას ზედაპირზე ოდესღაც ზღვები და ოკეანეები ღელავდნენ, ღრმა ხევებში და ტყეებიან დაბლობებზე მდინარეები მიედინებოდნენ. ზღვებსა და მდინარეებში ისეთივე თევზები ცხოვრობდნენ, ახლა ჩვენს მიწისქვეშა წყალსატევებში რომ ბინადრობენ. ტყეებში ფრთოსანი ხვლიკები ბუდობდნენ, რომელთაც, აგრეთვე, თვალები ჰქონიათ...

მერე მზეს თანდათან დააკლდა სითბო და სინათლე, მეირაზე ნელ-ნელა ბინდი და სიცივე წვებოდა. ადამიანმა ღრმა გამოქვაბულებს მიაშურა, სადაც, მართალია, ბნელოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, არ ციოდა. ცეცხლს განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა მიენიჭა. გამოქვაბული ყველას როდი ყოფნიდა და ბინისათვის დაუნდობელი ბრძოლები გაჩაღდა. მთელი ტომები დედაბუდიანად ნადგურდებოდნენ. უფრო ძლიერები იმარჯვებდნენ და გამოქვაბულებსაც ისინი აფარებდნენ თავს.

ზედაპირზე უფრო და უფრო აცივდა. ზღვები და მდინარეები ნელ-ნელა გაიყინა... მთებიდან ყინულის გიგანტური ნაკადები დაიძრა. განუწყვეტლივ თოვდა. თოვლმა და ყინულმა მთლიანად დაფარა მთები და მინდვრები, ტყეები. ოთხფეხა და ფრთოსანი არსებები შეცვლილ კლიმატს ვერ შეეგუვნენ და გადაშენდნენ...

ეს პროცესი თითქმის ათი ათასი წლის მანძილზე გრძელდებოდა. ცხოვრების პირობების გართულებამ ადამიანი აიძულა გონება კოლოსალურად დაეძაბა... დრო მიდიოდა... თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიდა პირველი დიდი წარმატებები. ყველაზე უწინ და არაჩვეულებრივად სწრაფად ქიმია და ფიზიკა განვითარდა. მეცნიერების ამ ორ დარგს რელიგია ღვთის მიერ ნაბოძებ მადლად თვლიდა და ამიტომ არ სდევნიდა. უკანასკნელი ათასი წლის მანძილზე ქიმიამ საოცარ წარმატებებს მიაღწია: გადაიჭრა ხელოვნური საკვების პრობლემა; ამასთან, გეოლოგიამ და მომპოვებელმა მრეწველობამაც ძალზე წაიწია წინ. აშენდა მიწისქვეშა ქარხნები, ფაბრიკები, მთელი ქალაქები... ორასი წლის წინათ მეირას მოსახლეობა სამასი მილიონი იყო, ახლა კი ორ მილიარდს აღემატება.

ადამიანები ძირითადად 50-100 მეტრის ჰორიზონტზე ცხოვრობენ. მეირას ზედაპირზე უმთავრესად, მხოლოდ მეცნიერული დაკვირვებებისათვის ან წყლის მარაგის შესავსებად ადიან. მიწისქვეშა ქალაქებში, მინდვრებსა და საძოვრებზე ახლა თეთრი სინათლის ნათურები ანთია. სოფლის მეურნეობა მთელი წლის მანძილზე სამ მოსავალს იძლევა. ატომური ელექტროსადგურები უხვ და იაფფასიან ენერგიას აწვდიან ადამიანებს. დიდი ხანია, დამუშავდა მეირას გავარვარებული ბირთვის ენერგიის გამოყენების პროექტი. ერთი სიტყვით, კაცობრიობა აყვავების პერიოდშია.

ასე რომ, ცუდად როდი ვცხოვრობთ...

მაგრამ ამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე იგრძნობა, რომ მეირას ზედაპირი ადამიანებს ანდამატივით იზიდავს. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, რომელიც ტექნიკის განვითარების თანამედროვე ტემპებს ითვალისწინებს, კაცობრიობა უახლოეს 30-50 წელიწადში შესძლებს შექმნას ხელოვნური მზე, რამდენიმე ათეული ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობზე ყინული გაალხოს და, ამრიგად, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სასაძოვრე და სახნავი მიწები გაათავისუფლოს. უკიდურესი სკეპტიკოსებიც კი აღიარებენ, რომ ამ პროექტის განხორციელება პრინციპულად რეალურია...

საინტერესოა, როგორ გამოეხმაურებიან უკიდურესი სკეპტიკოსები მეცნიერთა საბჭოს უკანასკნელ გა-



დაწყვეტილებას?.. ნუთუ შესაძლებელია, რომ...“ უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერები აქ წყდება...

3.

პრესა

გაზეთი „დინ დაინი“. 2016. 4. 8.

„მეცნიერთა საბჭოს გუშინდელ გადაწყვეტილებას სხვას ვერაფერს დაარქმევ, თუ არა უგუნურს. ნუთუ ადამიანის თავხედობას საზღვარი არა აქვს? **მეცნიერთა საბჭოში** ან სულით ავადმყოფნი სხედან, ან მავნებლები, რომელთაც პლანეტის დაღუპვა გადაუწყვეტიათ...“

გაზეთი „დავარა“. 2016. 4. 8.

„ოირას სააგენტო დეილ-სინტალიდან იუწყება: მეირას დასავლეთ ნახევარსფეროში სჯერათ, რომ **მეცნიერთა საბჭოს** ყველა წევრი პლანეტის ზედაპირზე უკომბინიზონოდ გასეირნებას იმსახურებს. ცნობილი ასტროფიზიკოსი სეივ მირი ფიქრობს, რომ რენანის დამოწმება უსაფუძვლოა და პროექტის განხორციელება შეუძლებელია, თუმცა რისკის გაწევა მაინც არა ღირს“.

გაზეთი „ნორ-ვანდა“. 2016.4.8.

„დასავლეთ ნახევარსფეროს სამეცნიერო წრეებში აჟიოტაჟია. მღელვარება მოსახლეობასაც გადაედო. ერთმა აბატმა, რომელმაც ტელევიზიის მორიგი გადაცემა მოისმინა, წუხელ თავი მოიკლა. ჭალაქ სტუონის სულით ავადმყოფთა სახლში თვრამეტი წლის ქალიშვილი მიიყვანეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ახლახან დაბრუნდა მარადიული სინათლის სამყაროდან და ჯიბეში **მეცნიერთა საბჭოსადმი** ღმერთისაგან გამოგზავნილი წერილი უდევს...“

გაზეთი „დავარა“. 2016. 5. 8.

ამბობენ, რომ ცნობილმა მწერალმა რაინ ვინერმა ასტროფიზიკაში ჩახედულმა კაცმა, კოსმოგონიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, განაცხადა: **პროექტი** საფუძველშივე მცდარია და მის განხორციელებაზე ფიქრი დროის ფუჭი დაკარგვაა.

საინტერესოა, რომ რაინ ვინერი მამაა ძმების — ზან და დარი ვინერებისა, რომლებიც **პროექტის** სული და გული, მისი წამომწყები და მთავარი შემოქმედნი არიან.

სიტყვამ მოიტანა და მკითხველს შევახსენებთ, რომ **პროექტის** იდეა ძმებს მეირას ზედაპირზე სეირნობისას დაბადებიათ... ხომ არ დამდგარა დრო, რომ აღიკვეთოს ყინულეთში განავარდების მავნე სურვილები, რომლებიც ზოგიერთებს ძალზე ხშირად უჩნდებათ ხოლმე?. გარდა წყლისა, რომლის მარაგიც ზედაპირზე დაულეველია, ყინულეთი სასიკეთოს ვერაფერს მოგვცემს. მე პირადად, ამ სტრიქონების ავტორს, არც პოეტების მიერ ასჯერ გადაღეჭილი ვარსკვლავები და არც მითიური ვარდისფერი აბლაბუდა არასოდეს მინახავს, მაგრამ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არც უცნაური პროექტები მაწუხებს... წარმოიდგინეთ, ყველამ ყინულეთში სეირნობა რომ მოინდომოს, ფაბრიკა-ქარხნებში და მინდვრებზე ვიღამ იმუშაოს? თანაც ვინ იცის, ამ სეირნობისას რამდენი მავნე, განუხორციელებელი იდეა და პროექტი დაიბადება...

ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნებოდა, **მეცნიერთა საბჭოს** მეთაური ხალხის წინაშე გამოსულიყო...“

ყოველკვირეული „ჰაროუ“. 2016. 5. 8.

„იმის თქმა, რომ **მეცნიერთა საბჭოს** იუმორის გრძნობა არ გააჩნია, უეჭველად მკრეხელობა იქნებოდა. მაგრამ მთელი პლანეტის მასხარადაგდება მეტისმეტია და აქ მეცნიერთა საბჭომ აშკარად თავისთავს გადააჭარბა. რა თქმა უნდა, სისულელე იქნება ვამტკიცოთ (როგორც ამას ზოგიერთები სჩადიან), რომ **მეცნიერთა საბჭოში კოსმოსური განდიტები სხედან**, მაგრამ იქ რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც მტკიცება აღარ სჭირდება“.

გაზეთი „რიული დასი“. 2016. 6. 8.

„დასავლეთ ნახევარსფეროს პრესის მესვეურები, რომელთაც, უწინარეს ყოვლისა, ტირაჟის გაზრდა აინტერესებთ, ათასგვარ ხრიკსა და ცილისწამებას მიმართავენ. გუშინდელმა „დავარამ“ აშკარა ცილი დასწამა დიდი მეცნიერების — ზან და დარი ვინერების მამას, სახელგანთქმულ მწერალს რაინ ვინერს... სხვათა შორის, ჩვენთვის ცნობილია, რომ რაინ ვინერი **პროექტს** სავსებით იწონებს და მისი განხორციელების შესაძლებლობა ოდნავადაც არ ეეჭვება.

საკმარისია თვალი გავადევნოთ უკანასკნელ ათწლეულში ტექნიკაში მომხდარ გიგანტურ ნახტომს და დავრწმუნდებით, რომ **პროექტში** განუხორციელებელი არაფერია. მეირას ვეებერთელა ენერგეტიკული საშუალებები მოეპოვება. თუ ორივე ნახევარსფეროს მოსახლეობა **პროექტს** მხარს დაუჭერს, გაისად, დაახლოებით ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, შეიძლება გამარჯვება ვიზეიმოთ. ჩვენ გვჯერა, რომ პროგრესული ძალები ამჯერადაც გაიმარჯვებენ და თითო-ოროლა ბნელეთის მოციქულს, რომლებიც მოსახლეობის სულიერ მოწამვლას უკვე შეუდგნენ, საკადრის პასუხს გასცემენ".

გაზეთი „მენახი". 2016. 7. 8.

აღმოსავლეთ ნახევარსფეროში მიაჩნიათ, რომ შესაძლო საფრთხეს დასავლეთში მეტისმეტად აზვიადებენ. ყოველ შემთხვევაში, პლანეტის სამხედრო საწყობებში ფაქიზად დალაგებული, ვინ იცის, რისთვის განკუთვნილი, ატომგულური ბომბები მეირას ამ პროექტზე ნაკლებ საფრთხეს როდი უქმნიან.

ჩვენი კორესპონდენტი გუშინ გვიან ღამით ესაუბრა **მეცნიერთა საბჭოს** წევრს ზან ვინერს (მკითხველმა იცის, რომ **პროექტის** არსებობას კაცობრიობა ზან ვინერსა და მის ძმას — დარი ვინერს უნდა უმადლოდეს). ქვემოთ ვბეჭდავთ ამ საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერის ერთ ნაწყვეტს".

ზან ვინერის განცხადებიდან:

„მინდა დაგარწმუნოთ — **მეცნიერთა საბჭოში** აბსოლუტური ერთსულოვნებაა და არავის ეეჭვება, რომ პროექტი **შეიძლება** განხორციელდეს, და იგი უნდა განხორციელდეს.

ნეიტრონიტის[1] ორი ათას ხუთასი რაკეტის აგება ერთი წლის საქმე მაინც არის. ძირითადი ტვირთი ხომ დიდი ხანია ხელთა გვაქვს — ორივე ნახევარსფეროს საჰხედრო საწყობები ავი გადმონაშთით — ტრილიონობით მეგატონის საერთო სიმძლავრის ატომგულური ბომბებით პირთამდეა სავსე!.. ხუთასი რაკეტა დიმენის პერიოდული სისტემის იმ ასმეოცე ელემენტით დაიტვირთება, რომელიც შარშანწინ მეირას სიღრმეებში აღმოაჩინეს. ნეიტრონიტის რაკეტათა ამ ქარავანს, რომელიც ჩვენი ბნელი მნათობის ზედაპირის შედარებით მცირე ფართობზე ერთდროულად იფეთქებს, უეჭველად მოჰ-

[1] ნეიტრონიტი — ჰიპოთეზური ლითონი, რომელიც ნეიტრონებისაგან — ატომის დაუმუხტავი ნაწილაკებისაგან არის აგებული.



11844

ყვება ჯაჰვური რეაქცია.. .ეს უკვე ზედმიწევნილ ანგარიშებული და დადგენილია...

ახლა მოკლედ რისკის შესახებ მოგახსენებთ.

რისკი, რა თქმა უნდა, არის. არ არის იმის საშიშროება, რომ კოლოსალური ძალის აფეთქების ტალღა ამოდენა მანძილზე მეირას მოსწვდება. სამაგიეროდ, რჩება მსოფლიო წარღვნის საშიშროება — აწთებული მზის სითბო ათასწლოვანი ყინულის ჯავშნის დნობას გამოიწვევს და მეირას ზედაპირი რამდენიმე ხნით, ალბათ, მთლიანად წყლით დაიტბორება (წყალი ვერ მისწვდება, რა თქმა უნდა, მაღალ ზეგნებსა და მთაგრეხილებს). წყლის დიდი ნაწილი აორთქლდება და მერე კოკისპირული წვიმების სახით ისევ მეირას დაუბრუნდება. შესაძლოა წყალმა ჩვენს მიწისქვეშა ქალაქებშიც ჩაიღწიოს. მაგრამ დრო საკმაოდ გვაქვს და წარღვნას მომზადებული უნდა შევხვდეთ. უნდა აიგოს რაც შეიძლება მეტი ტივი და ხომალდი... ნუ შეგვეშინდება, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეირას ზედაპირი ჩვეულებრივ მტრულად და გულცივად აღარ შეგვხვდება. ზევით შეგვეგებება სითბო და სინათლე, რომელსაც ანთებული მზე მოგვანიჭებს. ასე იქნება ორ-სამ ათას წელს, შეიძლება, უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზეც... ჩვენ საკმაო ხნით ნათლიებად გადავიქცევით: მოგვიხდება ბევრ ისეთ მოვლენას მოვუძებნოთ სახელი, მანამდე მასზე წარმოდგენაც რომ არ გვქონია, რადგან მეირას ზედაპირი ისევ მწვანე ტყეებითა და ნაირფერი ყვავილებით, მოჩუხჩუხე მდინარეებითა და ცისფერი ტბებით დაიფარება... და ამის შემოქმედი ჩვენ, ადამიანები ვიქნებით! ამით უნდა ვამაყობდეთ!.."

გაზეთი „მენარი" 2017. 25. 7.

„მეირას პროგრესულმა ძალებმა ახალი დიდი წარმატება მოიპოვეს — ნეიტრონიტის ორი ათას მეხუთასე რაკეტის აგება გუშინ დამთავრდა. **ტვირთის** ჩატვირთვა უკვე დაწყებულია და ფიქრობენ, რომ ეს საშუშაოც ვადაზე ადრე დასრულდება. დასავლეთ ნახევარსფეროში, რომელსაც ძირითადად საოკეანო ხომალდების აგება აკისრია, უკვე აგებულია და ზედაპირზე დგას ათასზე მეტი ხომალდი მიწისქვეშა ქალაქების ჰერმეტიზაციის სამუშაოებიც წარმატებით მიმდინარეობს. პლანეტის ათი უდიდესი ობსერვატორია, რომლებიც ჩამქრალ ვულკანთა კრატერებშია მოთავსებული და წყალი ვერ მისწვდება, წარღვნის დასასრულამდე **მეცნიერთა საბჭოს** და მისი ფილიალების თანამშრომელთა თავშესაფარი იქნება..."

გაზეთი „დავარა". 2017. 10. 8.

„**მეცნიერთა საბჭო** ისევ გაანგარიშებებშია ჩაფლული. შიშობენ, რომ გამომთვლელი მანქანები დანიშნულ დრომდე რაკეტების ტრაექტორიის დაზუსტებას ვერ მოასწრებენ. თუ ასე მოხდა, შეიძლება პროექტის განხორციელების დაწყება გაურკვეველი დროით გადაიდოს".

გაზეთი „ნორ-ვანდა". 2017. 21. 8.

„აბატი მადინა ამტკიცებს, თითქოს ძველისძველ წიგნებში სწერია, რომ 2017-ის შემოდგომაზე პლანეტა მეირაზე სიცოცხლე მოისპობა, რადგან ადამიანთა მიერ განრისხებული ღმერთი ფეხს დაჰკრავს ცას, [illegible] გააფართოებს და იქიდან გადმოღვრილი [illegible] ცეცხლი [illegible] სულიერს დაადგმევებს, მარადიული [illegible] მთელ პლანეტას გადაწვავს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ზღაპრებისა ახლა, ცხადია, არავის სჯერა, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ბნელ მნათობზე დაწყებული ჯაჭვური რეაქცია პირველ პლანეტასაც გადაედოს, რომელიც მისგან მხოლოდ 400 ათასი კილომეტრითაა დაშორებული?.. მერე, შეიძლება, იფეთქოს მეორე პლანეტამ, მესამემ, მეოთხემ... დადგება მეირას ჯერიც...“

გაზეთი „რიული დასი“. 2017. 14. 10.

მეცნიერთა საბჭო აცხადებს, რომ ხვალ, 2017. 15. 10. სტარტი მიეცემა ორი ათას ხუთას რაკეტას, რომლებიც ობიექტს ათ დღეში მიაღწევენ. მეირას ზედაპირს რაკეტები მოსწყდებიან ორი წუთის ინტერვალით, ერთ ჯერზე — 50 რაკეტა. მოსახლეობამ აბსოლუტური სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს. ნიადაგის რყევა ნაგებობებს არ დააზიანებს. რადიოთი და ტელევიზიით ყოველ საათს გადაიცემა პროექტის განხორციელების მიმდინარეობა...“

გაზეთი „მენარი“. 2017. 16. 10.

„...სახელდახელო მიტინგზე, რომელიც გუშინ საღამოს აღმოსავლეთ ნახევარსფეროს უდიდეს ქიმიურ ქარხანაში გაიმართა, ახალგაზრდა მუშამ ნაი სარომ თქვა:

— მე ბედნიერი ვარ, რომ ამ ეპოქაში ვცხოვრობ, ბედნიერი ვარ, რომ ბნელი მნათობის ანთებაში საკუთარი წვლილიც შევიტანე.. .მე მყვანან ამხანაგები, რომლებიც დღევანდელ სტარტს არც თუ დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ, მათ ჯერ კიდევ არ სჯერათ, ჯერ კიდევ რაღაცის ეშინიათ... არა, მეგობრებო, გათავდა, სიბნელეს ბოლო უნდა მოეღოს! (ტაში). სხვა რომ არა იყოს რა, იმას რა სჯობია, რომ წყეული ხელოვნური სინათლის გარეშე შეგვეძლება ერთმანეთს თვალებში შევხედოთ... მე სატრფო მყავს, და არც კი ვიცი, რა ფერის თვალები აქვს (სიცილი)... ეს ერთი წელია, სულ ტყეები და ყვავილები მესიზმრება (ტაში)... ვიღაცეები ამბობენ, ძალზე გაგვიჭირდებაო... მერე რა! ადამიანები იმიტომაც გვქვია, რომ გაჭირვება დავძლიოთ და წინ ვიაროთ... არა, მეგობრებო, ჩვენ გვინდა, ჩვენ გვჭირდება სითბო და სინათლე! გაუმარჯოს მზეს! დაე, ინათოს! (მძაუხარე ტაში)...“

4.
ხელჯოხიანი მოხუცი

მოხუცი მიდიოდა და ხელჯოხს მიაბაკუნებდა.

მოსეირნეთა დიდი ნაწილი ამ ტანმაღალ, ამაყად თავაწეულ, თეთრწვერა მამაკაცს, ჩანს, კარგად იცნობდა და მდაბალ სალამს ეუბნებოდა. სხვები, უცნობები, მორიდებით უთმობდნენ გზას — შეუძლებელი იყო, ამ კაცისთვის თვალი შეგევლო და მისი პიროვნებისადმი პატივისცემის გრძნობა არ დაგუფლებოდა.

მოხუცი აუჩქარებლად მიდიოდა.

ქუჩის ჭერიდან თეთრი სინათლე იღვრებოდა. მაღაზიათა ვიტრინებში ნაცრისფერი და ლურჯი ჭარბობდა. მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ გამოკრთებოდა წითელი ფერი, რომელიც, ის იყო, მოდაში მკვიდრდებოდა. მოხუცმა შენიშნა, რომ ქუჩაშიც წითელკაბიანი ქალიშვილები მომრავლებულიყვნენ, ბიჭებიც სხვა ფერს თეთრ-წითელ ზოლებიან სვიტრს ამჯობინებდნენ.

ქუჩის პარალელური გვირაბიდან ყრუ გუგუნი მოისმა და მაშინვე მისწყდა — ელექტროექსპრესმა ჩაიქროლა.

ხელჯოხიანმა გვერდით ქუჩაზე შეუხვია, მეცხრე ჰორიზონტის ექსკალატორი მოძებნა და ფრთხილად შედგა ზედ. ექსკალატორი ცარიელი იყო. მოხუცმა პარალელურ ჩქაროსნულ ექსკალატორზე გადასვლა დააპირა, მაგრამ მყისვე გადაიფიქრა. არსად მიეჩქარებოდა — ვაუები შინ არ იყვნენ, რძალი და შვილიშვილები ლურჯტბებზე ისვენებდნენ, ასე რომ, შინ ცარიელი კედლები ელოდა. კაცმა რომ თქვას, მოხუცი მარტოობას უჩვეული როდი იყო, მაგრამ, დღეს, რატომღაც, უთვისტომობისა და გარიყულობის გრძნობამ უცნაურად დარია ხელი.

უკანასკნელი რამდენიმე კვირის მანძილზე მოხუცის გონება ერთ თემას შეეპყრო და დღე არ გავიდოდა, რომ ამ თემაზე რამდენიმე საათს დაძაბულად არ ეფიქრა. მაგრამ არ იქნა და ხორცი ვერ შეასხა, ათასნაირად უტრიალა, ათასნაირად შეაბრუნა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა, ხელში ვერ მოიგდო... ჰოდა, კიდევ კარგი, დღეს სასეირნოდ რომ გამოვიდა! წელან მეგაზეთე რობოტმა „მენარის“ ახალი ნომერი მიაწოდა. ისე, სხვათა შორის, გადაავლო თვალი, ჭაბუკი მუშის, ნაი საროს სიტყვები წაიკითხა... მაშინვე საკუთარი ახალგაზრდობა, უდროოდ გარდაცვლილი მეუღლე მოაგონდა — არც მან იცოდა მეუღლის თვალების ფერი... ჰო და, სწორედ ნაი საროს სიტყვები რომ წაიკითხა, ის აბნეულ-დაბნეული თემა, თავი და ბოლო რომ არ უჩანდა, უცებ დალაგდა და გონებაში მწყობრ მოთხრობად ჩამოყალიბდა...

ამიტომაც გაუწია გულმა ცარიელი სახლისაკენ.

სადარბაზოს კარებს ხელჯოხით მიაწვა და შეაღო. ზღურბლთან, იატაკზე, ღია ბარათი შენიშნა, ბარათზე სტალაქტიტებიანი მღვიმე ეხატა. მღვიმეში თოკით სპელეოლოგი ეშვებოდა. ლამაზი იყო... მეორე მხარეს გაუწაფავი, ბავშვური ხელით რამდენიმე სტრიქონი ეწერა, ხვალ საუზმის შემდეგ, მეცხრე ჰორიზონტის მეორე სკოლის მოსწავლეები სტუმრად იწვევდნენ...

მოხუცს გაეღიმა და ღია ბარათი პიჯაკის გულისჯიბეში ჩაიდო. ბავშვები უყვარდა და მათ თხოვნას ყოველთვის სიამოვნებით ასრულებდა. უარი არც ახლა უფიქრია. რა თქმა უნდა, ეწვევა, უსათუოდ ეწვევა ხვალ...

თავის ძველებურ, დიდ საწერ მაგიდას რომ მიუჯდა, ოდნავ თავბრუხვევა იგრძნო. ალბათ გადავიღალეო, იფიქრა და თეთრ, ქათქათა ქაღალდის ფურცელს მისწვდა.

დაცდილი ჰქონდა — თუ ქაღალდი უხარისხო იყო, ხეირიანს ვერაფერს დაწერდა.

სათაური დაწერა და უცებ ის დღე მოაგონდა...





ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდისფერი აბლაბუდა



...აბლაბუდა... ვარდისფერი აბლაბუდა...

— ზან! სადა ხარ, ზან?!

მთის წვერზე ნაპერწკალმა გაიელვა და გაქრა. მერე იმ ნაპერწკალმა ოდნავ ქვევით დაკვესა, მერე კიდევ ჩამოინაცვლა. რაინ ვინერი მიხვდა, რომ მთის ციცაბო ფერდობზე ვიღაც თავბრუდამხვევი სისწრაფით მოსრიალებდა. გვერდით დარი აცმუკდა.

— მამი! ზანი მოსრიალებს!

— ნუ ყვირი, ყურები მეტკინა. აბა ერთი აქ ჩამობრძანდეს!.. დარი ხტოდა და ხელებს იქნევდა. მეირას ზედაპირზე იგი პირველად იყო და თავს ძლივს იკავებდა, რომ თოვლში არ ეკოტრიალა. კომბინეზონს ჯერ მთლად ვერ შეჩვეოდა, თავს ოდნავ შებოჭილად გრძნობდა, თუმცა ეს მამისთვის არ გაუმხელია.

გარშემო ყინულეთის სამეფო იყო გადაშლილი. ზედაპირზე ისე როდი ბნელოდა, დარის აქ ამოსვლამდე რომ წარმოედგინა. ათეული ათასი კაშკაშა ვარსკვლავის შუქი ყინულის კრისტალებში ტყდებოდა, ირეკლებოდა, ციალებდა და სიარულისას გეგონებოდა, ვარდისფერ აბლაბუდაზე დავაბიჯებო. „აუ, ნეტავ ახლა ჩემს თანაკლასელებს დაანახვა ჩემი თავი!“ — ფიქრობდა დარი. იცოდა, რომ თანაკლასელთაგან მას პირველს ერგო ყინულეთში გასეირნების ბედნიერება. ყველას მამას როდი აქვს მეირას ზედაპირზე ამოსვლის უფლება! რაინ ვინერის სახელი კი პლანეტაზე ყველამ კარგად იცის: ოცდაოდე წლის წინათ, როცა არამც თუ დარი, მასზე ხუთი წლით უფროსი ზანიც კი ჯერ არ გაჩენილიყო, რაინ ვინერის ერთმა რომანმა მთელი მეირა შემოიარა, შემდეგ კი პრემიაც დაიმსახურა, მამა ხშირად იმეორებდა, რომ ეს რომანი მან სწორედ ყინულეთში სეირნობისას მოიფიქრა...

— მამი, აი ზანი! ხედავ?

— ნუ ყვირი-მეთქი, ბიჭო! ვხედავ... ზან, სად დაიკარგე ამდენ ხანს?

რაინის მუზარადში რადიოფონი ხმადაბლა ატკაცუნდა. მერე ზანმა დაილაპარაკა:

— აქა ვარ, რა იყო, მეძახდი?

— გეძახდი.

— ხომ არ დავიკარგებოდი! ბავშვი ხომ აღარა ვარ, ჩემი ყოველი ნაბიჯი შენ და დედაჩემს გულს რომ გიხეთქავთ!

რაინმა კმაყოფილებით შენიშნა, რომ მთის წვერიდან სწრაფი დაშვების მიუხედავად, ზანს სუნთქვა ოდნავაც არ აჩქარებოდა. მოახლოებულ შვილს, რომელიც სიმაღლეში უკვე წამოსწეოდა, მხარზე ხელი დაჰკრა:

— ბავშვი აღარა ხარ. მაგრამ ჯერ არც დიდი ხარ.

— არა, ზანი უკვე დიდია! — ჩაერია დარი.

მამას გაეცინა:

— შენლა მაკლდი სწორედ!

— უკვე დიდია! — ჯიუტად გაიმეორა დარიმ. — ზანმა იმდენი საინტერესო რამ იცის, იმდენი, რომ... მართალია, შენ უფრო მეტი იცი, მაგრამ შენ ხომ მაგაზე უფრო დიდი ხარ...

ზანმა ძმას მხრებზე ხელი გადაჰხვია.

— კარგი, დარი, გოგოსავით ენად ნუ გაიკრიფე... მამი, შენ აკი შეგვპირდი, რომ იმ ლეგენდის დასასრულს გვიამბობდი.

—მართლა, მართლა! — მოაგონდა დარისაც.

— გიამბობთ. ოღონდ თან ვიაროთ. ერთ ადგილზე დგომა არ მიყვარს...

შავი, ჩახჩახა ვარსკვლავებიან ცის ფონზე მეირას მთების თეთრი მწვერვალები დიდ, დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა. მარცხნივ მთები იყო, მხარმარჯვნივ გადაჭიმული თეთრი მინდორი სიბნელეში იკარგებოდა. მთაგრეხილის გასწვრივ, ყინულოვანი თოვლით დაფარულ ველზე მიდიოდნენ. თხილამურები თოვლში იფლობოდა. ახალი კონსტრუქციის მუზარადის რადიოფონი ძალზე მგრძნობიარე აღმოჩნდა და მამასა და შვილებს ერთმანეთის სუნთქვაც ესმოდათ.

— ჰო და, გაჰყვა იმ ჯაჭვს ჭაბუკი. იარა ერთი თვე, ორი, ერთი წელი... ვარსკვლავთა სინათლე უფრო კაშკაშა ხდებოდა და ჭაბუკს სიარული უადვილდებოდა. სითბოც თანდათან მატულობდა, რადგან შავი მნათობი მთლად ჩამქრალი როდი იყო, მხოლოდ სქელი ქერქი ჰქონდა გადაკრული. ჭაბუკს უკვე ესმოდა შავი მნათობის გულისცემა და ამიტომ ფეხს აუჩქარა... ბოლოს, როგორც იქნა მიაღწია. ცოტა ხანს დაისვენა. მერე ბრძენი მოხუცის დარიგება გაიხსენა, ყველაზე დიდი ვარსკვლავისაკენ შებრუნდა და შეწევნა სთხოვა, მოეჩვენა, თითქოს ვარსკვლავი უფრო აციმციმდა, და ეს კარგ ნიშნად ჩათვალა. გახარებული მიბრუნდა. ხურჯინიდან სატები და ურო ამოიღო და საქმეს შეუდგა. ქერქი მაგარი იყო. მაგრამ სატეხი უფრო მაგარი გამოდგა, ურო — მძიმე და ჭაბუკი — ჯიუტი. ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მიიწევდა სიღრმეში. ქვევითკენ სიცხე მატულობდა. ჭაბუკს სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ გაქვავებულ ლავას უფრო მეტი გაავებით ებრძოდა. ასე გავიდნენ დღეები, თვეები, წლები...

— მერე? — მოუთმენლად იკითხა დარიმ, როცა მიხვდა, რომ მამა გაჩუმდა და გაგრძელებას აღარ აპირებდა.

რაინ ვინერმა ხელები გაშალა:

— მერე? მერე — არაფერი... ლეგენდა აქ წყდება. გამოდის, რომ ჭაბუკი ახლაც იქაა და შავი მნათობის ქერქს სატეხითა და ოროთი ებრძვის...

— აბა მარტო რას გახდებოდა. — მცირე დუმილის შემდეგ შენიშნა ზანმა.

დარი თხილამურის წვეტით ყინულის ლოდს წამოედო და წაიბორძიკა. უფროსმა ძმამ ხელი შეაშველა.

— მამი, მე/წელან, მთის წვერზე მესმოდა შენი ძახილი. კარგადაც მესმოდა. — თქვა ზანმა.

— მერე?

— ვარსკვლავებს ვუთვალთვალებდი და მგონი... — ზანს შეეტყო, რომ შეყოყმანდა. განა დაცინვისა შეეშინდა — არა, მამა მის ყოველ აზრს ყურადღებით ისმენდა ხოლმე და, თუ ცდებოდა, შეცდომაზე მიუთითებდა. დინ-

ჯადაც დაუსაბუთებდა. ჭაბუკი ყოყმანობდა — ბოლომდე ეთქვა თუ არა ყოველივე, როცა სათქმელი ჯერ თავადაც არ ჰქონდა დაზუსტებულ-ჩამოყალიბებული. მაინც განაგრძო: — წეღან მთის მწვერვალიდან დავინახე, როგორ აენთო ერთი პატარა ვარსკვლავი. შემთხვევით სწორედ იმ ვარსკვლავს ვუყურებდი. შემთხვევით კი არა, ზედაპირზე ყოველი ამოსვლისას იმ ვარსკვლავს ვაკვირდებოდი — უცნაური ვარსკვლავი იყო, ძალზე ხშირად იცვლიდა ფერს, ხან თეთრი იყო, ხან — ნაცრისფერი, ხან წითელი ფერი დაჰკრავდა... წეღან კი აინთო, უცებ გადიდდა, გაიზარდა. აი, შეხედე!

რაინ ვინერმა აიხედა, მაგრამ ცას ვერავითარი ცვლილება ვერ შეატყო. მაინც, ზანს გული რომ არ დასწყვეტოდა, თქვა:

— ჰო, მგონი მართალი ხარ....

უკან დაბრუნებისას, ჭაურს რომ მიუახლოვდნენ, დარისა თუ ზანის ჩურჩული მოესმა რაინს:

— მე ავანთებ შავ მნათობს... აი, ნახავთ, თუ არა...

რაინმა გაიღიმა, ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა და ვარდისფერი აბლაბუდით დაფარულ ყინულოვან ველს კიდევ ერთხელ მოავლო თვალი...

6.

რაინ ვინერი

იმ სამახსოვრო ღამის შემდეგ ოცდაათმა წელმა ჩაიარა.

მხცოვანი მწერალი რაინ ვინერი მოესწრო იმ დღეს, როცა **მეცნიერთა საბჭომ** მისი ვაუების ცნობილი ფიზიკოსების ოცწლიანი შრომის ნაყოფი — **პროექტის** თავდაპირველი ვარიანტი განიხილა.

მეცნიერთა საბჭომ, რომელიც ერთი კვირის მანძილზე ყოველდღიურად თვრამეტსაათიან სხდომებს მართავდა, პროექტი მოიწონა, მაგრამ დაზუსტებისა და ზედმიწევნით დამუშავების მიზნით, იგი საგანგებოდ შექმნილ კომისიას გადასცა. დაკისრებულ მოვალეობას კომისიამ თავი ორ თვეში გაართვა და, საქმეს მორჩა თუ არა, იმავე საღამოს პლანეტის ყველა რადიოსადგურმა მეირას ამცნო რომ დაიწყო ისტორიაში ყველაზე ფანტასტიკური პროექტის განხორციელების ერა...

რაინ ვინერი იმ დღესაც მოესწრო, როცა ორი ათას ხუთასი რაკეტის სტარტმა მეირას სხეული ორმოცდაათჯერ შეაზანზარა...

...დედაქალაქიდან დაბრუნებულ ზანსა და დარის მამა გარდაცვლილი დახვდათ. რაინ ვინერს თავის საყვარელ, ძველებურ საწერ მაგიდასთან, სავარძელში მჯდარს, სამუდამოდ ჩასძინებოდა. მაგიდაზე ქაღალდის ფურცლები და საწერკალამი ელაგა.

თეთრ ქათქათა ქაღალდზე მხოლოდ სამი სიტყვა ეწერა:

დაე, ინათოს!.. ხოლო ქვევით, ფრჩხილებში: **მოთხრობა...**

7.

მოლოდინი

მეირას ცაზე ვარსკვლავები კაშკაშებენ.

ყინულის სქელი ჯავშნით დაფარული პლანეტა გარინდული ელის სასწაულს. დგას 2017. 25. 10.

ილევა პლანეტის ყველაზე დიდი, ყველაზე ბნელი ღამე.

ახლოვდება დღე, რომელმაც სითბო და სინათლე უნდა მოიტანოს.

პლანეტის მთელი მოსახლეობა ფხიზლობს. რადიომ და ტელევიზიამ კაცობრიობას ამცნო, რომ შეირიდან გაგზავნილმა ორი ათას ხუთასმა რაკეტამ ბნელი მნათობის ზედაპირს უკვე მიაღწია.

მეირა სისტემის ცენტრს დაახლოებით 210 მილიონი კილომეტრითაა დაშორებული. მაშასადამე, დაახლოებით 11 წუთი გაივლის, ვიდრე ანთებული მნათობის პირველი სხივი მეირას ზედაპირზე აკიაფდებოდეს.

პლანეტის ყველა ობსერვატორიის ტელესკოპი უსიცოცხლო მნათობის ბნელი სილუეტისაკენ არის მიმართული. ბნელი დისკო კუპრისფერ ცაზე ნელა მიცოცავს და მის მიღმა მოკიაფე ვარსკვლავებს რიგრიგობით აქრობს...

დარჩა 8 წუთი...

აბატი მადინა გულმხურვალედ ლოცულობს და ღმერთს ევედრება, რომ ადამიანებს თავხედობა აპატიოს, მის მიერ შექმნილ სამყაროს ნუ დაღუპავს...

დარჩა 6 წუთი...

სახელგანთქმული მეცნიერები ზან ვინერი და დარი ვინერი პლანეტის მთავარი ობსერვატორიის სატელესკოპო დარბაზში სხედან. **მეცნიერთა საბჭოს** სხვა წევრებიც აქ არიან...

დარჩა 4 წუთი...

ახალგაზრდა მუშა ნაი სარო და მისი სატრფო ჩამქრალი ვულკანის კრატერის პირას დგანან. ორივეს ყინვაგაუმტარი კომბინეზონი აცვია. მალე ეს კომბინეზონები საჭირო აღარ იქნება. ნაი სარო მზის შუქზე დაინახავს, რა ფერის თვალები აქვს მის სატრფოს...

დარჩა 2 წუთი...

პლანეტა ელოდება. მაშველი ჯგუფები კარგა ხანია მზად არიან. ბავშვები საიმედო ადგილასაა გახიზნული. სკოლები ევაკუირებულია. ევაკუირებულია ფაბრიკა-ქარხნებიც. მხოლოდ ავტომატური ქარხნები და ატომური ელექტროსადგურები მუშაობენ — ენერგია ჯერ კიდევ საჭიროა.

დარჩა 1 წუთი... პლანეტა ფხიზლობს, პლანეტა ელის...

8.

„ლუხუმი" უკან ბრუნდებოდა.

მორიგე შტურმანი, რომელიც სავარძელში თვლემდა, ხმადაბალმა წყვეტილმა სიგნალმა გამოაფხიზლა. იმავ წამს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის ხმამ დარბაზი პირთამდე აავსო. ხმა ლითონისებურად ეღერდა, მაგრამ თითქოს ოდნავ თვითკმაყოფილების იერი დაჰკრავდა. შტურმანმა ფარს რომ შეხედა, მანქანა უკვე მახასიათებლებს გადმოსცემდა: „ჩავუარეთ **H-8-S** კლასის ახალი ვარსკვლავის ცხრაპლანეტიან სისტემას. უახლოესი პლანეტიდან სისტემის ცენტრამდე მანძილი 400 ათასი კილომეტრია, უშორესიდან — 6 მილიარდი. მეხუთე პლანეტაზე რადიაქტიური ფონი დასაშვებზე მეტია... მეხუთე პლანეტის ატმოსფერო დედამიწის ატმოსფეროს ანალოგიურია...

მორიგე შტურმანმა ილუმინატორიდან გაიხედა. შორს ცწორედ ის ახალანთებული დიდი ვარსკვლავი კაშკაშებდა, რომლის სისტემის მახასიათებლები „ლუხუმის" სახომალდო ჟურნალში ახლახან ავტომატურად ჩაიწერა...

ახალი ვარსკვლავის მეხუთე პლანეტას მეირა ერქვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეხსიერების ხანგრძლივობაში ცხოველთა შორის ძაღლი და კატა არიან რეკორდსმენები. გარემო სამყაროსაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს ისინი კვირებისა და თვეების განმავლობაში ინახავენ. ცნობილია შემთხვევა, როცა ძაღლმა იცნო ადამიანი, რომელიც მას 10 წლის წინათ ენახა. განა ეს ფაქტი არ ლაპარაკობს მათს არაჩვეულებრივ ნიჭიერებაზე?

პარიზში, სასტუმრო „ნიეერნეს" სადარბაზოსთან, ოდესღაც ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭუნა იჯდა. მას შავი სპანიელი ჰყავდა — დიდი ეშმაკის ფეხი. სპანიელი შოულობდა ბიჭისთვის სამუშაოს: იგი წუმპეში ისველებდა თავის ვეება ბანჯგვლიან თათებს და, თითქოსდა შემთხვევით, ამ სველ თათებს გამვლელებს ფეხსაცმელზე უსვამდა. ამას რომ შენიშნავდა, ბიჭუნაც იქვე გაჩნდებოდა და დასვრილი ფეხსაცმლის პატრონს თავის სამსახურს სთავაზობდა:

— აგერ მეც, მიმსახურეთ, მუსიე!

როცა პატრონს სამუშაო ბლომად ჰქონდა, სპანიელი იქვე, შორიახლოს თვლემდა. მაგრამ როგორც კი ბიჭუნას მუშტარი შემოაკლდებოდა, ოთხფეხა მეგობარი მაშინვე მოქმედებას იწყებდა.

სპანიელის ოინების ამბავი მალე გავრცელდა და სასტუმროს ყველა მდგმურამდე მიაღწია.

იმ ხანებში სასტუმროში ერთი მდიდარი ინგლისელი ცხოვრობდა. მან ისურვა ფეხსაცმლის მწმენდავისა და მისი ძაღლის ნახვა. სპანიელი მოეწონა და გადაწყვიტა ეყიდა. ბიჭს ჯერ 10, შემდეგ კი 15 ლუიდორი შეაძლია — დიდძალი ფული!

ამ თანხამ მოხიბლა ბიჭი. ძაღლი გაყიდა, შეაბეს ჯაჭვი და მეორე დღეს საფოსტო ეტლით კალეში გაგზავნეს. იქ ეტლი გემზე გადაიტანეს და რამდენიმე დღეში ძაღლი ლონდონში აღმოჩნდა.

ფეხსაცმლის მწმენდავს სინდისი ჰქონჯნიდა, მაგრამ უცებ, ოი, სიხარულო! — მეთხუთმეტე დღეს, არაქათგამოცლილი, ჭუჭყიანი სპანიელი დაბრუნდა. როგორ მოახერხა მან ეს, არავინ უწყის. იმისათვის, რომ ლონდონიდან პარიზში დაბრუნებულიყო, მას გზა უნდა დაეხსომებია, შეუმჩნევლად უნდა შეპარულიყო გემზე, რომლითაც პა-დე-კალე უნდა გადაეცურა.

ბუნებრივ პირობებში ცხოველთა ცხოვრება, ჩვეულებრივ, ერთფეროვნად მიმდინარეობს. მათი პოტენციური ნიჭი მხოლოდ უმნიშვნელოდ გამოიყენება. თავისი ნიჭის მაქსიმუმი მათ შეუძლიათ გამოამჟღავნონ მხოლოდ ლაბორატორიაში, ხელოვნურად შექმნილ პირობებში. სწორედ აქ ხდება მათი ინტელექტის მოულოდნელი თვისებების გამომჟღავნება. ახლა მოგიყვებით ამბავს მაიმუნებისას, რომლებმაც ფულის გარჩევა ისწავლეს.

ეს ცდები ჩაატარა ჯონ ვოლფმა იელიში, შედარებითი ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში. საცდელი ცხოველები სამი დედალი და სამი მამალი მაიმუნი (შიმპანზე) იყო.

მაიმუნებისათვის მოაწყეს სპეციალური ბაგა-ავტომატი. თუ ავტომატის ჭრილში თეთრ ჟეტონს ჩააგდებდი, მის ქვეშ დადგმულ ჯამში ჩავარდებოდა ჯილდო—ყურძნის მტევანი.

პირველი ამოცანა: ასწავლო შიმპანზეს ავტომატით სარგებლობა. ექსპერიმენტატორმა იატაკზე მოაბნია ჟეტონები, შემდეგ სათითაოდ იღებდა მათ და ავტომატში აგდებდა. მაიმუნები, რომლებიც მას თვალს ადევნებდნენ, დაუყოვნებლივ მიაშურებდნენ ხოლმე ჯამებს, რომ ყურძნით პირი ჩაეტკბარუნებინათ.

და აი, აქ უმალვე გამომჟღავნდა მაიმუნებს შორის ინდივიდუალური სხვაობა. ერთმა მაიმუნმა პირველი ცდა მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა, როცა მკვლევარმა ავტომატში 180 ჟეტონი ჩაჰყარა. მაგრამ მან ჟეტონი ჭრილში კი არ ჩააგდო, არამედ პირდაპირ ჯამში! მეორე მაიმუნი, მისგან განსხვავებით, უმალვე გაერკვა საქმეში, დაავლო ხელი თეთრ ჟეტონს და ჭრილში ჩააგდო, მერე თავისი ვეება თათი ჯამში ჩადო ჯილდოს მოლოდინში. ცდის დასაწყისში მაიმუნები თითქმის არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ ჟეტონების მიმართ, მაგრამ, როცა მიხვდნენ, რომ ჟეტონს შეუძლია ეს ჩინებული ხელსაწყო აიძულოს გადმოუყაროს მათ ტკბილი ნაყოფი, ჩხუბიც კი აუტყდათ!

თეთრი ჟეტონების გარდა მაიმუნებს მისცეს სპილენძის ხუთცენტიანები. მათი ჩაგდებაც შეიძლებოდა ბაგა-ავტომატში, მაგრამ მის ჩაგდებას სასურველი მტევნის გამოჩენა არ ახლდა. მაიმუნებმა უცებ აუღეს ალღო ამ ფულის გამოუსადეგარობას და როცა გალიაში ერთ მუჭა

ფულსა და ჟეტონს უყრიდნენ, ისინი მხოლოდ ჟეტონებს იტაცებდნენ.

მეცნიერმა გაართულა ექსპერიმენტი. ახლა მტევანი უმალვე კი არ გამოჩნდებოდა, არამედ ცოტა ხნის შემდეგ. აი, ერთ-ერთმა მაიმუნმა ჩააგდო ჟეტონი. მერე ხელი ჯამში ჩაყო და დაელოდა ,მაგრამ მტევანი არ ჩანდა. ერთ-ორ წამში მაიმუნმა მოთმინება დაკარგა და გულმოსული კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცით გაჯავრებით დაუწყო ბრახუნი ავტომატს.

მაშ ასე, შიმპანზეებმა გაიგეს ქეტონის ფასი. მაგრამ შესძლებენ თუ არა ისინი ამ ქეტონების მოპოვებას პატიოსანი შრომით? გალიაში დადგეს კიდევ ერთი დანადგარი — სამუშაო მანქანა. მაიმუნებს უჩვენეს: ასწიე ბერკეტი — მიიღებ მტევანს!

შიმპანზეებმა სწრაფად აითვისეს სამუშაო მანქანა. ამის შემდეგ მაიმუნებს კიდევ ახალი სიურპრიზი მოუმზადეს — მტევნის მაგივრად მანქანა იძლეოდა თეთრ ქეტონს. ამას რომ მიიღებდნენ, მაიმუნები მიდიოდნენ ბაგა-ავტომატთან და იქ „ყიდულობდნენ“ შრომით გამომუშავებულ ტკბილ ყურძნის მტევანს.

შრომა საკმაოდ მძიმე იყო. მაგრამ აქამდე ზარმაცნი და უსაქმურები, ადვილად დაეუფლნენ შრომითს პროფესიას და შრომის დაუოკებელი სურვილიც გამოამჟღავნეს. ზოგმა ქეტონები დიდი რაოდენობით დააგროვა და თავგანწირვით იცავდა მას დანარჩენებისაგან.

ზოგიერთი მომჭირნეობასაც კი იჩენდა — ქეტონებს იმარაგებდა. როცა ბაგა-ავტომატი გალიაში არ იდგა, ისინი მაინც შრომობდნენ სამუშაო მანქანაზე ქეტონების მოსაპოვებლად, თუმცა მათი დახარჯვა მხოლოდ მეორე დღეს შეეძლოთ.

როცა სამუშაო მანქანას ყველა მაიმუნი დაეუფლა, მეცნიერმა კიდევ უფრო გაართულა მაიმუნების ეკონომიკა. თეთრი ქეტონებისა და ხუთცენტიანის გარდა ფერადი მონეტებიც იხმარა. თეთრი ქეტონი ძველებურად ერთ მტევან ყურძენს იძლეოდა, ცისფერი კი — ორს. წითელით წყურვილის მოკვლა შეიძლებოდა — მიიღებდი ერთ ულუფა უბრალო წყალს, ყვითელი ქეტონი კი სრულიად განსხვავებული იყო — ჩააგდებდი მას ავტომატის ჭრილში თუ არა, უცებ იღებოდა გალიის კარი და შემოდიოდა ექსპერიმენტატორი. აქ უკვე სრულიად უცერემონიოდ შეგიძლია შეახტე მას მხრებზე, მოხერხებულად მოკალათდე და შენ, ექსპერიმენტული გალიიდან, წაგაბრძანებენ საცხოვრებელ ბინაში (აი, რას ნიშნავს ყვითელი ქეტონი!). ამ ამოცანას, — თუმცა მისი შესრულება მაღალ ინტელექტუალურ დონეს მოითხოვს, — მაიმუნებმა ჩინებულად გაართვეს თავი.

შიმპანზე ბიულას ერთხელ ასეთი ამბავი შეემთხვა: ბაგა-ავტომატში ცისფერი ქეტონი ჩაუშვა. ამ დროს ექსპერიმენტატორმა გააღო კარი და გალიაში თეთრი თაგვი შემოსვა. დედალ შიმპანზეებს კატასტროფულად ეშინიათ თაგვებისა.

შიშისაგან ბიულა მთლად გაშეშდა. რა ქნას? საით გაიქცეს? მან შიშით მოავლო თვალი გალიას და ამ დროს უცებ ყვითელი ქეტონებით სავსე ჯამი შენიშნა. დააკლო ხელი ერთ-ერთ მათგანს, ჩააგდო ავტომატში, ექსპერიმენტატორს მხარზე შეაცოცდა და დაუწყო ქაჩვა — ჩქარა გამიყვანე გალიიდანო.

ჯონ ვოლფის ეს ცდა იმას მეტყველებს, რომ შიმპანზეს აბსტრაგირების საკმაოდ დიდი უნარი აქვს.

ექსპერიმენტატორმა შიმპანზე ბიმბა საცხოვრებელი გალიიდან მაშინ გამოიყვანა, როცა მაიმუნებს საუზმეს უმზადებდნენ. მაიმუნმა სასტიკი წინააღმდეგობა გასწია და, როგორც კი საცდელ გალიაში აღმოჩნდა, უმალვე მოძებნა ყვითელი ქეტონი, ჩააგდო ავტომატში და ექსპერიმენტატორი იძულებული გახდა (ყვითელი ქეტონი!) იგი უკანვე წაეყვანა.

გავრცელებულია აზრი, რომ შიმპანზეები მაიმუნებს შორის ყველაზე გონიერნი არიან, მაგრამ ჩიკაგოელი ზოოფსიქოლოგის ჰენრიხ კლუვერის ლაბორატორიაში ჰყავდათ მაიმუნი — კაპუცინი, რომელიც ხშირად ისეთ მექანიკურ პრობლემებს ართმევდა თავს, რომლებსაც შიმპანზეებიც ვერ სძლევდნენ. იგი მეტისმეტად ვოკალური იყო. ჩვეულება ჰქონდა „ელაპარაკნა“ იმ ურიცხვ ინსტრუმენტთან, რომლებითაც მას სხვადასხვა ცდების დროს ეკონომიზაციას ... ნენ.

ამ კაპუცინზე 207 ცდა იყო დაყენებული. გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს: ოთახის შუაგულში ლითონის სვეტზე დამაგრებული ჯაჭვით დააბამდნენ კაპუცინს. ბანანს დებდნენ იატაკზე ანდა ჭერზე ჰკიდებდნენ — ოღონდ ისე, რომ კაპუცინს არ შეეძლო მიწვდომოდა რაიმე გარეშე საგნის დაუხმარებლად. ეს საგნები იყო: T ფორმის ჯოხი, მავთულის ან თოკის ნაჭერი. კაპუცინი ყველა შემთხვევაში ახერხებდა ამ საგნების დახმარებით სანუკვარი ბანანის ხელში ჩაგდებას. გასაოცარი იყო ის მონდომება, რომლითაც მაიმუნი ეკიდებოდა მორიგ პრობლემას. თუ ამოცანა ძალიან ძნელი იყო, მაიმუნი მთელი საათი და ხშირად უფრო მეტი ხნის განმავლობაშიც ცდილობდა მის გადაწყვეტას. ხშირად ჭამაც კი ავიწყდებოდა. მაგრამ ყველაზე გასაოცარი იყო მისი სიყვარული ხატვისადმი. საკუთარი თაოსნობით, ვისიმე ჩაურევლად მან ხატვა დაიწყო. პირველად ლაბორატორიის ცემენტის იატაკზე ხატავდა. ფუნჯის ნაცვლად მავთულის ნაგლეჯს, საკუთარ ფრჩხილებს ანდა რაიმე ნაფოტს ხმარობდა, ე. ი. იმას, რაც ხელში მოხვდებოდა. ერთ „სურათს“ რომ დახატავდა, ადგილს მოინაცვლებდა, თანაც მორიგ „შედევრზე“ ისეთი გულმოდგინებით მუშაობდა, თითქოს იცოდა რის დახატვა სურდა.

როცა კაპუცინს ფერადი ცარცები მისცეს, მან ასეთი „სურათების“ ხატვა დაიწყო: იღებდა წითელ ცარცს და ცენტრში წითელ ლაქას ხატავდა. მის ირგვლივ კი მწვანე, ცისფერი და ყვითელი ცარცით ფიგურებისაგან ორნამენტი გამოჰყავდა.

მეტისმეტი აღტაცება კაპუცინის მხატვრობით, რასაკვირველია, არ ღირს, მაგრამ აქ აღსანიშნავია ორი გარემოება: ჯერ ერთი, საყურადღებოა ის, რომ შიმპანზე კი არა, კაპუცინი ხატავდა, ე. ი. უფრო დაბალი განვითარების მაიმუნი. მეორეც: მნიშვნელოვანია ის გატაცება, რომლითაც კაპუცინი ხატავდა. თუ ამ მაიმუნს შეიყვანდნენ ლაბორატორიაში, სადაც მისი წინადღის ნახატები წაშლილი არ იყო, იგი ხარბად ათვალიერებდა მათ, ხელს უსვამდა, სუნავდა, ლოკავდა. არავითარი სხვა საგანი ლაბორატორიაში არ იქცევდა ამ დროს მის ყურადღებას. იგრძნობოდა, რომ სწორედ ის იყო ამ ჩანახატების შემოქმედი.

ი. ჩირიკოვი.

ჟურნალი „იუნი ნატურალისტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ო ღ ა რ ნ ა რ ს ი ა



ნავსაყუდელში ტორტმანობს გემი,
ვეება სახლი ზვირთებზე ცურავს...
და ფიქრში აღსდგა
სურათი ძველი
და ვუბრუნდები ადრინდელ სურათს...

...მეზღვაურები გემბანზე იდგნენ,
მეზდვაურები ტოვებდნენ ხმელეთს —
ბავშვი ვიყავ და...
ვიდექი იქვე
და სხვებთან ერთად ვიქნევდი ხელებს.
დღესაც არ ვიცი,
რატომ და რისთვის,
რომელს ვუქნევდი ხელებს და რატომ?
— ტკივილად დამრჩა ტკივილი სხვისი,
საიდან აღსდექ წარსულის ხატო!
ზოგთა ისედაც დაბინდულ სახეს,
ვიღაც გარმონის ჭყვიტინით შლიდა...
და ზრიალებდა ნაპირთან ხალხი,
მათგან არავინ არ იყო მშვიდად.
ზოგიც მდუმარედ,
ამაყად იდგა
და მღელვარებას ფარავდა ამით,
ზოგი კი...
ჩიბუხს კბილებით ღრღნიდა
და გაჰყურებდა მოქუფრულ ამინდს.
ვგრძნობდი რაღაცას, —
ძნელსა და დამღლელს,
გულზე ნაღველი ლოდივით მედო...
და დედის კვნესა
მიჰქონდა ტალღებს:
„სად მომისწარი, დამწვარო ბედო?“

და როცა გემი გაშორდა ხმელეთს,
ზღვა და ჰაერი დამძიმდა თითქოს...
კვლავ გაშმაგებით ვიქნევდი ხელებს,
ხელების ქნევას ვატანდი სითბოს,
ყველა ტყვედ ჰყავდა
საკუთარ ფიქრებს,
იმ გემს უმზერდა ათასი თვალი,
შემოვტრიალდი,
და ჩემოან, იქვე,
მწარედ ტიროდა მოხუცი ქალი,
დამჭკნარ თითებზე წვეთავდა ცრემლი,
თვითონ ვერავის ამჩნევდა ირგვლივ...
თითქოს ვიღაცამ გაუსვა ცელი,
ნაპირთან უხმოდ დაემხო იგი.

ის ღრუბელივით გაშლილი თმები,
თვალწინ მიდგას და...
წარსულში ვცურავ,
მოგონებებო,
რას მემართლებით,
რისთვის მიბრუნებთ გარდასულ სურათს?
...თითქოს არც ვიცი,
რატომ და რისთვის,
რად გავიხსენე ის დრო და რატომ?
— თუ არ შემეძლო გაგება სხვისი,
სად მომაგენი, წარსულის ხატო?

სახლის პატრონი და მდგმური

კამგოჯური ზღაპარი

ერთმა კაცმა სახლი ააშენა. მივიდა უცნობი და თავშესაფარი სთხოვა. სახლის პატრონმა შეიკედლა იგი. თურმე მდგმურმა ჩუმად ჩაიწერა სახლის კოჭებისა და იატაკის ფიცრების რაოდენობა, რამდენი ფოთოლი ეფარა სახურავს.

გავიდა ერთი თვე, სახლის პატრონმა მდგმურს უთხრა:

— ხომ შეგიფარე, ძმობილო, ახლა წადი, ოჯახობას ველოდებიო.

— როგორ? — შეიცხადა მდგმურმა — ჩემი საკუთარი სახლიდან მაგდებ? ეს ჩემი სახლია!

დიდი კამათის შემდეგ სახლის პატრონი და მდგმური მოსამართლესთან წავიდნენ. სახლის პატრონმა შესჩივლა:

— სახლი ავაშენე, ეს კაცი ერთი თვე ჩემთან ცხოვრობდა, თავშესაფარი მივეცი. ახლა აღარ მიდის, სახლი ჩემიაო.

მდგმურმა უთხრა:

— პირიქით, სახლი მე ავაშენე, ამ კაცს მე მივეცი თავშესაფარი. თუ მართლა ეს სახლი ამისია, აბა თქვას სახლს რამდენი კოჭი აქვს, იატაკზე რამდენი ფიცარი აგია და სახურავს რამდენი ფოთოლი აფარია?

— მე არ დამითვლია. — აღიარა სახლის პატრონმა — მაგრამ სახლი ხომ ჩემია!

მოსამართლემ უთხრა მდგმურს:

— თუ მართლა შენი სახლია, აბა დაასახელე რამდენი კოჭი დაუდე, იატაკზე რამდენი ფიცარი დააგე? ან სახურავს რამდენი ფოთოლი აფარიაო.

მდგმურმა დაასახელა: კოჭი ამდენი, ფიცარი ამდენი, ფოთოლი ამდენიო.

მოსამართლემ გაიფიქრა: „ეს კაცი უმიზეზოდ ასეთ წვრილმანებს არ დაიხსომებდაო და შეეკითხა:

— აბა, ერთი ისიც მითხარი: ბოძების ქვეშ რაღა ალაგიაო?

— არაფერი. — უპასუხა მდგმურმა.

— როგორ თუ არაფერი, სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე ძალიან ნოტიო იყო, და ბოძებს ძირში კუნძები ჩავულაგე. — სიტყვა ჩამოართვა სახლის პატრონმა.

მოსამართლემ კაცები გაგზავნა, აბა, მართალს ამბობს თუ არა სახლის პატრონიო.

ბოძების ძირში მართლაც, კუნძები აღმოჩნდა.

მოსამართლემ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა:

— სახლის პატრონი მართლა შენ ყოფილხარ! ეს კაცი კი, სახურავზე ფოთლებიც კი რომ გადათვალა, აშკარა მატყუარაა და კანონის ძალით უნდა დაისაჯოსო!

თარგმანი თინათინ ჯავახიშვილისა.

დააკვირდით ამ სურათს და მოგვწერეთ: სად მდებარეობს ეს ძეგლი, რა ისტორიულ მოვლენებთან არის დაკავშირებული, როდის არის აგებული და საერთოდ რა იცით მის შესახებ.

ნეკრესი (პასუხი № 4-ში დასმულ კითხვებზე)

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი ერთ-ერთი უძველესია მსგავს ხუროთმოძღვრულ ანსამბლებს შორის საქართველოში. იგი კახეთში, ყვარლის ახლოს, ალაზანს გაღმა, კავკასიონის ქედის ერთ-ერთ (ნეკრესის ცერად წოდებულ) ფერდობზეა აგებული.

ძველ საისტორიო თხზულებებში დაცული ცნობებით, ნეკრესი თავდაპირველად ქალაქი ყოფილა, მშენებლობა ფარნაჯომ მეფეს 112-93 წლებში, ესე იგი ქრისტიანობის წინარე ხანაში დაუწყია. ძველი წელთაღრიცხვის პირველსავე საუკუნეში მშენებლობა განუგრძია მეფე არშაკ მირვანის ძეს. აღსანიშნავია, რომ ქალაქ ნეკრესის შესახებ ცნობები მატიანეებს ძომდევნო ხანებისათვისაც შემოუნახავს. მირიან მეფის დროს (ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნე) მის მამამძუძეს — მირვანოზს გაუმაგრებია ზღუდენი ქალაქ ნეკრესისა, ხოლო საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ, „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობით, უმალვე აუგიათ ეკლესია თრდატ მეფის ბრძანებით. როგორც წერილობითი წყაროებით ჩანს, ნეკრესში ეკლესია IV საუკუნის მესამე მეოთხედში აუშენებიათ.

დღეისათვის აქ, მონასტრის სხვა ნაგებობათა გარდა (მაგალითად: საოსტიგნე, ეპისკოპოსის დარბაზი, მარანი, კოშკი და სხვ.), სამი ეკლესია შემორჩენილა, ორი ბაზილიკურია, ერთი კი — გუმბათიანი, აღნიშნულ ნაგებობათაგან უძველესია ძალიან მცირე ზომის შენობა, რომელიც შემდგომში საცხოვრებელ სენაკად გამოუყენებიათ და გადაუკეთებიათ კიდეც. იგი რიყის ქვის წყობით არის აშენებული ზედ ხევის თავზე, რის გამოც, საფუძვლის გასამაგრებლად, დასავლეთის მხრიდან ქვის წყობა ამოუყვება, შიგ აკლდამაა მოქცეული. ეს ეკლესია ძლიერ თავისებური ხუროთმოძღვრული ფორმებით ხასიათდება: შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან აქვს, იქ, სადაც, ჩვეულებრივ, ეკლესიის საკურთხევლის აფსიდაა ხოლმე მოთავსებული. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ეკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიის მშენებლობის დროს ჯერ კიდევ არ იყო დაკანონებული ტაძრების დამხრობის წესი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. თვალში საცემია ნაგებობის ძალიან მცირე მოცულობა და მასშტაბები, გარე კედლების ნალის ფორმის ფართო ღიობებით გახსნა და სხვა...

ამ ხუროთმოძღვრული ფორმების თავისებურება, მათი სხვა ძეგლებთან შედარებით შესწავლა, სავსებით ერწყმის წერილობითი წყაროების მონაცემებს და ამ ეკლესიის აშენების ზემოთ ხსენებულ თარიღს უეჭველს ხდის. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ქრისტიანობის გავრცელების პირველ წლებში ახლად მოქცეულ მორწმუნეთ ეშინოდათ ეკლესიაში შესვლა. იქ მხოლოდ მღვდლები სწირავდნენ, მრევლი გარეთ იდგა და ისე ისმენდა ლოცვა-ქადაგებას. აქედან კი ნათელი ხდება, თუ რატომ არის ეს ეკლესია ასეთი მცირე ზომისა, ხოლო მისი გარე კედლები — ნალის ფორმის, განიერი ღიობებით გახსნილი.

ძლიერ საინტერესოა ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის მეორე, ეგრეთ წოდებული სამეკლესიანი ბაზილიკა. უნდა შევნიშნოთ, რომ კონსტრუქციულად, არც ზემოთ უკვე ხსენებული და არც ეს ტაძარი ბაზილიკა არ არის. აღნიშნული ნაგებობები მხოლოდ გარეგნულად არიან ბაზილიკის იერსახეობისა და ხუროთმოძღვრული ფორმებით მისგან გამომდინარეობენ. ეს ძეგლიც ბევრი რამით არის თავისებური, მაგალითად: ნალის ფორმის საკურთხევლის აფსიდა, ასეთივე მოხაზულობის მქონე თაღები და კამარები, ჩრდილოეთის და სამხრეთის სამყოფელოების ყრუ აფსიდებით დამთავრება. ერთ მთლიან ნაგებობაში სამი დამოუკიდებელი ეკლესიის შექმნა ამ ძეგლის VI საუკუნის მიწურულით და VII საუკუნის დასაწყისით დათარიღების საშუალებას იძლევა.

უაღრესად მნიშვნელოვანია ხუროთმოძღვრული ფორმების განვითარების თვალსაზრისით მონასტრის გუმბათოვანი ტაძარიც.

აქაც, მცირე გამონაკლისის გარდა, ისეთივე გეგმის ნაგებობასთან გვაქვს საქმე, როგორიც ზემოთ ხსენებული სამეკლესიანი ტაძარი იყო. საგანგებოდ უნდა იქნას შენიშნული რვაწახნაგა გუმბათის აგების თავისებურება, რომელიც გაბატონებულია მთელ ნაგებობაზე. გარედან მისი ყოველი წახნაგი შემსუბუქებულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ბრტყელი ნიშებით, რის გამოც მათ უფრო კონსტრუქციული დანიშნულება აქვთ, ვიდრე დეკორაციული. აქაც თვალში გვხვდება თაღებისა და კამარების ნალისებური ფორმები, ხუროთმოძღვრული მასების ურთიერთშეთანხმების თავისებური პროპორციები, რომელთა მხატვრულ-სტილისტური ანალიზი და სხვა ძეგლებთან მათი შედარება საშუალებას იძლევა იგი IX საუკუნის შუა ხანებით იქნას დათარიღებული.

ნეკრესის მონასტერი დაარსების დღიდანვე უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ ძველთა-ძველ სავანესთან არის დაკავშირებული ერთ-ერთი ცამეტ ასურელ მამათაგანის — აბიბოს ნეკრესელის მოღვაწეობა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაგანმტკიცებას, რის გამოც იგი, სპარსეთის მარზპანის ბრძანებით, ქვით ჩაქოლეს 590 წელს, როგორც მაზდეანური რელიგიის მტერი და სპარსეთის იდეოლოგიური მოწინააღმდეგე.

მომდევნო საუკუნეებში ნეკრესის საეპისკოპოსო ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური ერთეული იყო საქართველოში. მისი ეპისკოპოსები საუკუნეთა მანძილზე სათავეში ედგნენ კახეთის ერთ-ერთ სადროშოს. იქ იქმნებოდა მრავალი ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულება, რომლებიც მინიატურებით და მდიდრული ორნამენტული სამკაულით იყო ხოლმე შემკული. ასეთი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა მეტ-ნაკლები ინტენსიურობით არ შეწყვეტილა აქ თვით 1811 წლამდე, როდესაც საბოლოოდ იქნა გაუქმებული ნეკრესის ეპარქია. სამწუხაროდ, ამ კულტურული კერის ნაშრომ-ნაღვაწის უმეტესი ნაწილი ყამთაცვლამ და ავბედობამ შთანთქა. მაგრამ ის, რაც გადარჩა, ან რამაც სხვა ცნობებით მოაღწია ჩვენამდე, ნათელს ხდის ძველი ქართული მატერიალური თუ სულიერი კულტურის ისტორიაში ნეკრესის სავანის თვალსაჩინო ადგილს და მნიშვნელობას.

ი. ჯანდიერი.



ᲓᲘᲒᲚᲔᲯᲘ

ᲡᲐᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ეს კალენდარი არც კედელზე დასამაგრებელია, არც მაგიდაზე დასადები. წიგნად არის შეკონილი და „მთიები“ ეწოდება.

ალბათ გაგიგონიათ, რომ მთიები იმ კაშკაშა ვარსკვლავის სახელია, რომელიც მზის ამოსვლამდე ამოდის. ყდის შიგნითა მხარეს პატარა ბარათია თქვენს სახელზე

ჩაბეჭდილი, რომელიც გაუწყებთ, რომ ეს კალენდარი თქვენთვის ჟურნალ „დილის“ რედაქტორმა, პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა შეადგინა. როგორც ყველა კალენდარი, ესეც იანვრით იწყება, მერე კი თვე თვეს მიჰყვება და ამბავი-ამბავს!

რაღას არ მოგვითხრობს, რაღას არ გვამცნობს!

თურმე იანვარს ძველი ქართულით აპანი ერქვა, ხალხურად — თებერვალი, ახლანდელ თებერვალს კი განცხადების თვედ მოიხსენიებდნენ, ძველი ქართულით — ნურწყუნისად. მირკანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგრიკა, მარიალისა... ესენიც თვეთა ძველი ქართული სახელწოდებებია და თუ რომელი რა თვეა, ეს თქვენ თვითონ ამოიკითხეთ.

ახლანდელ მეშვიდე თვეს კი ძველი ქართულით თიბისა ერქვა, ხალხურად — კვირიკვობის თვე და მკათათვე. ივლისი რომაელი იმპერატორის იულიუს კეისარის პატივსაცემად დაურქმევიათ, დღეებსაც ჰქონიათ ძველი ქართული სახელები. კვირას — მზისა; ორშაბათს მთოვრისა; სამშაბათს — არეოსი; ოთხშაბათს...?

შეიძინეთ ეს პატარა წიგნი — კალენდარი, თუ გინდათ, რომ ცოდნა განიმტკიცოთ და ბევრი რამ ახალი ისწავლოთ!

გივი ჭიჭინაძე

ჯადოსნური გურთი

პოეტმა გივი ჭიჭინაძემ ამ წიგნში პიესა — ზღაპარი შემოგთავაზათ. ბევრს ალბათ ეს პიესა ნანახი გექნებათ მოზარდმაყურებელთა თეატრში. ვისაც არ გინახავთ — წაკითხვით ისიამოვნებთ, ზოგმა კი იქნებ გათამაშებაც მოიხალისოს და სკოლის სცენაზე განახახიეროს! სიბავშვო მწერლებს ხშირად სმენიათ თქვენგან საყვედური პიესების ნაკლებობის გამო. პოეტმა სცადა თავისწილად თქვენი სურვილი შეესრულებინა.

აი, ამ პიესის მოქმედი პირები: უცნაური ბიჭი, ბურძგლა, კოხტა-პრუწა, ხანძარა, მეხთამპყრობელი ელამ ბეი, ტანლერწამხათუნი... კარგი სპექტაკლი კი თქვენზე იყოს!

გურამ ბახტაძე

ასე იწყება ცხოვრების გზა

ამ წიგნის ავტორს კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის პიონერები. გ. ბახტაძემ თითქმის მთელი საქართველო შემოიარა, გაეცნო სხვადასხვა თაობის პიონერთა საქმეებს, შეხვდა და ესაუბრა პირველ პიონერებს.

ამ კრებულში თავმოყრილი ნარკვევები, ამ მოგზაურობისა და შეხვედრების შედეგად არის დაწერილი. ისინი მოგვითხრობენ ჩვენი ნორჩი თაობის საინტერესო და მრავალფეროვან საქმეებზე, მკითხველის თვალწინ გააცოცხლებენ საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის ისტორიის ბევრ საგულისხმო მომენტს.

ვანო ცერცვაძე

მამულო, გწამდეს ჩვენი!

ეს წიგნი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის 50 წლისთავს ეძღვნება. იგი ეხება ჩვენი რესპუბლიკის ყველა თაობის პიონერებს, ვინც საბჭოთა საქართველოს გარიჟრაჟზე პირველ პიონერთა რაზმებს ჰქმნიდა და უფროსებთან ერთად ახალ ცხოვრებას აშენებდა; ვინც ჩვენი ქვეყნის განსაცდელის ჟამს არ უშინდებოდა, არც უამინდობას, არც დაღლას, კომკავშირელებთან და კომუნისტებთან მხარდამხარ ხელებდაკაპიწებული შრომობდა და სჯედდა გამარჯვებას; ვინც იარაღით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ.

მათ ყმაწვილურ გატაცებასა და ოცნებებზე, სიხარულსა და მეგობრობაზე, შრომისმოყვარეობაზე და კეთილ საქმეებზე, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებაზე მოგვითხრობს ეს წიგნი.

ბოლო „წყლული ჯვაღე"

სიმონ სხირტლაძე,
საქართველოს დამსახურებული
მასწავლებელი

შენ არც ისე პატარა ხარ, ხელის ჩაჭიდებას ითხოვდე. ვიცი, კარგახანია მერხს უზიხარ და სკოლაში მიღებული ცოდნით ჩვენს სამყაროს შორი-ახლოდან აკვირდები, დღე-დღეზე ჯეჯილივით მუხლს იყრი და ეს-ეს არის დაპურებასაც გვპირდები.

მაგრამ შენს ხარბ ცნობისმოყვარეობას მარტო სასკოლო სახელმძღვანელოები და აღმზრდელი მასწავლებლები ვერ დააკმაყოფილებენ. რაც დრო გავა, მით უფრო ახალ-ახალი და მრავალფერადი ინტერესები აგედევნება, ისინი ერთიმეორეს გადაეკონება, ხოლო ორივე ერთად ფრთაშესხმული ბედაურებივით სადღაც გაგაქროლებენ, საოცნებო ნავსაყუდელს მოგანატრებენ. და აი, შენც უკვე ცხადად განიცდი და ხედავ, რომ სკოლის სარკმლიდან რაღაც წარმტაცი ჰორიზონტები მოჩანს, რომ მასთან მისვლა, მისი გაცნობა-შესწავლა მთელ შენს არსებას სწადია, სასიამოვნო ჟრუანტელსა გგვრის.

რა უნდა ჰქნა, სად უნდა მოიკლა ეს წყურვილი, რომელ მთაზე უნდა ახვიდე, რომ მთელ ქვეყანას თვალი მოავლო, საზოგადოებრივი მოვლენების რთულ დინებაში ჩაიხედო. ამ სანუკვარ საწადელს შენ ვერ დაიკმაყოფილებ, თუნდაც ალაზანს დაეწაფო, ანდა მარად თოვლიანი კავკასიონის მაღალი ქედებიდან გადმოხედო ქვეყანას! ვერ დაიკმაყოფილებ იმიტომ, რომ ეს გონების წყურვილია, და გონებას ხომ იცი რა უყვარს? გონება მარტო ესთეტიკური ჭვრეტით როდი კმაყოფილდება, იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



უმეტესად ისეთ საშუალებებს ეძიებს და ეტანება, რომელიც ცხოვრებას გაგიადვილებს, გარემყარის გარდაქმნაში დაგეხმარება.

რაკი ასეა, მოდი, სხვა გზას დავადგეთ, მოვძებნოთ ისეთი ადგილი, სადაც კაცობრიობის გონებრივი ნაჭირნახულევია თავმოყრილი და საიდანაც გამოტყორცნილი სხივები არნახულ ელვარებას გამოსცემენ, სიძნელეებით აღსავსე გზას გვინათებენ, წინსვლას გვიადვილებენ.

თუ შევძელი, გულითა მწადია ეს შენთვის ახალი ადგილი (თუნდაც პირობითად „ქალაქი" ვუწოდოთ მას) მოგაწონო, შეგაყვარო და შენ „დაგისაკუთრო", დაგისაკუთრო იმიტომ, რომ იქიდან გამოტანილი ცოდნით, რომელიც ყოველგვარ ნივთიერ საუნჯეზე ძვირფასია, უძლეველი შეიქნები და ნ. ბარათაშვილის თქმისა არ იყოს, მთელ ქვეყანას „მეფურად გადახედავ"...

ეს საღერღელი მე მინდა აგიშალო, პირველი ჭაშნიკი მე უნდა შეგასვა! ამიტომ ნუღარ ყოყმანობ, შენზე გამოცდილი კაცის რჩევა ყურად იღე და საითკენაც წაგიძღვე — მომყევი...

მოდი, ტკბილ-ქართული მუსაიფით სულმნათი რუსთაველის გამზირს გავყვეთ, გული ვაამოთ ილიასა და აკაკის სკულპტურული ხატების ხილვით, თვალი შევავლოთ ყოფილი ქართული გიმნაზიის შენობას, სადაც ტატო ბარათაშვილი ჯერ კიდევ გაუხედნელი კვიცით პოეტურ კამარას აკეთებდა, დინჯი ილია სამშობლოს ბედზე ოხრავდა, ბობოქარი კოტე მარჯანიშვილი ოცნებათა ლურჯ იალქნებს შლიდა.

ახლა ქართული ხუროთმოძღვრების მშვენებას — ქაშვეთის ტაძარს ჩავუაროთ, გეზი კეცხოველის ქუჩისაკენ ავიღოთ და კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მიმზიდველ შენობასთან შევჩერდეთ. მაგრამ აქ მარტო შეჩერება რა ბედენა იქნება, რა სარგებელს მოგვიტანს! მთავარია შიგ შევიდეთ, მის ჭერქვეშ ხანგრძლივი დრო დავყოთ. მერწმუნე, როცა კარს შეაღებ და გაჩირაღდნებულ დარბაზებს იხილავ, გამოსვლა დაგეზარება, ოცნებათა სამყაროში გადასახლდები. აი, აქ კი ღირს შენი „ღალატი", არ გვეძრახება შენი მიტოვება... თუ აქამდე მარტო ჩემი ხმა გესმოდა, ახლა ათასობით წიგნი ამოიდგამს ენას, რა საკითხზეც გნებავს, იმაზე გაგიმართავს გონივრულ საუბარს, მრავალ საიდუმლოებას გადაგიხსნის. ეს საუბარი კი ფრიად სასარგებლო იქნება, რადგან ამ წიგნებში ცხოვრების სინამდვილე, მეცნიერული აზრი და პრაქტიკით შემოწმებული ჭეშმარიტება ღაღადებს.

ვიდრე რომელიმე წიგნს გადაშლიდე და ფიქრთა ოკეანეში შესცურავდე, მინდა აქედანვე მოგაგონო, რომ ცოდნის შეძენა-დაუფლება ხანგრძლივი შრომისა და მტკიცე ნებისყოფის პირმშოა...

შენს გონებრივ წარმოსახვაში მარადის უნდა მიმოდიოდნენ აზროვნების საკაცობრიო ტიტანები, გაქეზებდეს მათი ბუმბერაზული შრომა და მოქმედება. სამაგალითოდ მინდა გაიხადო თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩერნიშევსკიმ, მონდომების წყალობით, სპარსული ენა ლიმონებით მოვაჭრე სპარსელისაგან შეისწავლა!

ჩვენმა სასიქადულო პროზაიკოსმა, მ. ჯავახიშვილმა ალავერდის სპილენძის მადნებში მომუშავე ფრანგებისაგან შეიტკბო ბალზაკისა და ჰიუგოს ენა. გახსოვდეს, მტკიცე სურვილსა და ნებისყოფას წინ ვერაფერი გადაეღობება, და თუ გადაეღობა, ხმელი ღობესავით ჩაიფშვნევა.

ახლა კი შევთანხმდეთ იმაზე, რომ შენ ამიერიდან ამ დიადი შენობის (რომელსაც პირობით „ქალაქი" ვუწოდე) ღირსეული მოქალაქე გახდები, რომ შენ იქ, გარდა სუფთა რვეულებისა გარედან არაფერს შეიტან, გამოტანით კი, აუწონელ გონებრივ საუნჯეს გამოიტან.

და თუ ოდესმე სინდისი შეგაწუხებს და წიგნის განუზომელი ამაგი საგონებელში ჩაგაგდებს, მოდი, დროთა განმავლობაში შენს სათაყვანო ბიბლიოთეკას შეძლებისამებრ საკუთარ კალმით შეეწიე, ვაზივით მსხმოიარე მის თაროებს შენი წიგნებიც შემატე. ვაშა, ასეთ მოვალესაც და გამსესხებელსაც.

რაკი ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან შენ კარგად იცი ამ „ქალაქის" ისტორია, მე აღარაფერს გეუბნები იმაზე, თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი ამ ბუმბერაზს, დროთა განმავლობაში როგორ ატორტმანდა იგი „წყნარ ოკეანედ".

მოდი, შენც დატკბი მისი ტალღების სასიამოვნო დინებით, შენც მოისმინე მისი წყნარი ხმაური. ნუ დაგავიწყდება, რომ შენ საშუალო სკოლის მოსწავლე ხარ და დადგენილი წესით, მერვე კლასიდან უფლება გეძლევა ბიბლიოთეკაში იარო, მკითხველის უფლებით ისარგებლო.

ახლა ისევ ჩემსკენ შემობრუნდი, მე მომმენდე და მომყევი...

მე ისევ და ისევ შენობის შიგნით გეწევი, იქ მინდა „შეგიტყუო" და წიგნების ხანგრძლივ ტყვეობაში დაგტოვო; არ შედრკე, უკან არ დაიხიო... პირობა პირობაა! აკი გითხარი, აქ სულიერ შიმშილსა თუ წყურვილს ვერ იგრძნობ, ბუმბერაზ მთებად შემდგარი წიგნების მაღალი თაროებიდან დაქანებული ჩანჩქერები წყურვილს დაგიოკებენ, უკვდავების წყაროს შეგასმევენ; ყოველივე ამაზე ჯერ სიტყვიერად მინდა გესაუბრო, ხოლო როცა თვითონ შენ ჩაუჯდები მას, რაღა შეედრება იმ წუთებს, იმ სულიერ ნეტარებას.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ ინახება აქ კაცობრიობის გონებრივი ჭირნახული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან, რას არ მისწვდება მის თაროებზე ცოდნის შეძენით აბორგებული ადამიანის ხელი. ამ ბიბლიოთეკაში არიან როგორც ხნიერი, ისე ახალგაზრდა წიგნები. მდიდარ ხელნაწერთა ფონდში მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს ეტრატზე შესრულებული IX საუკუნის „იერუსალიმის განჩინება", ტყავგადაკრულ ხის ყდაში მზრუნველი ხელით ყვითლად ჩასვენებული XI საუკუნის ხელნაწერი — ქართული „ოთხთავისა". აღარაფერს გეუბნები საბას, გურამიშვილის და სხვათა ავტოგრაფიულ ქმნილებებზე.

ახლა თუ თვალს შევავლებთ ბეჭდური სახის პროდუქციას, სად მივწვდე, ასე ნაჩქარევად რომელი ერთი ჩამოვთვალო თორმეტ მილიონამდე ეგზემპლარიდან. აქ შენ შეხვდები 1629 წელს რომში გამოცემულ „ქართულ-იტალიურ ლექსიკონს" და „ქართულ ანბანს ლოცვებითურთ"; მზერას ვერ მოაშორებ მოსკოვისა და თბილისის ქართულ სტამბებში არჩილ მეფისა და ვახტანგ მეექვსის მიერ საუცხოოდ გამოცემულ საეკლესიო წიგნებს. ვიცი, მარტო შეხედვით ვერ მოიკლავ სიყვარულს და ხელში რამდენჯერმე შეატრიალებ უკვდავი შოთას პოემას, რომელიც 1712 წელს გამოიცა ვახტანგ VI წინასიტყვაობითა და მეცნიერული კომენტარებით. კიდევ უფრო მაღალი პოლიგრაფიული ოსტატობითაა დამშვენებული იგივე „ვეფხისტყაოსნის" 1888 წლის, ე. წ. ქართველიშვილის გამოცემა, რომელმაც სტოკჰოლმში ორიენტალისტთა კონგრესზე, დიდი მოწონება დაიმსახურა.

რამდენადაც ეს უზარმაზარი „ქალაქი" უნივერსალური პროფილის ცენტრალური დაწესებულებაა, იგი მარტო რესპუბლიკის ეროვნულ წიგნთსაცავს როდი წარმოადგენს. მის უთვალავ თაროებზე მრავალი ქვეყნის გონებრივი პროდუქციის ანარეკლს ნახავთ და შეხვდებით.

რამდენის მთქმელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენი ბიბლიოთეკა 18 ქვეყნის 34 ორგანიზაციასთან აწარმოებს საერთაშორისო წიგნთგაცვლას. როგორც დემოკრატიული, ასევე კაპიტალისტური ქვეყნებიდან მრავალი სახის მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა ამდიდრებს მის ფონდებს. ამ მხრივ დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობისათვის ზრუნვას. ბიბლიოთეკის სპეციალური განყოფილება სისტემატურად იღებს ევროპულ ენებზე გამოცემულ ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებს. ამჯერად ჩვენ მოგვეპოვება გერმანულ ენაზე 1967 წელს გამოცემული ლექსიკონის ორტომეული, რომელსაც თავისუფლად იყენებენ ამ ენით დაინტერესებული ახალგაზრდები. დიდი მოწონებით სარგებლობს ინგლისურ ენაზე შედგენილი საბავშვო ენციკლოპედია.

უცხო ენების შემსწავლელთათვის სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოწერილია დამხმარე ლიტერატურა. ბიბლიოთეკას დიდძალი რაოდენობით მოეპოვება მსოფლიო კლასიკოსთა მხატვრული შედევრები, დაწერილი მათთვის მშობლიურ ენაზე. (მაგ. მარკ ტვენი, ანდერსენი და სხვ.).

თავის მხრივ ჩვენი ბიბლიოთეკაც არ რჩება ვალში განათლებულ სამყაროს. დემოკრატიული თუ კაპიტალისტური სახელმწიფოების წინასწარი დაკვეთით ჩვენგანაც მიაქვთ დიდძალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მხატვრული ლიტერატურა. ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალისტებს ძალზე აინტერესებთ ამ სახეობის ლიტერატურა, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალური ძეგლების შესწავლა. ასე რომ ჩვენს ბიბლიოთეკას მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობა აქვს გაჩაღებული სხვადასხვა ქვეყნებთან, რაც ხალხთა მშვიდობისა და საყოველთაო პატივისცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა.

ბიბლიოთეკაში დაცული ფონდებიდან ცხოველ ინტერესს იწვევენ საზღვარგარეთის ქვეყნებში სხვადასხვა დროს გამოცემული ის წიგნები, რომელნიც ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფასა და სამწიგნობრო თუ პოეტურ კულტურას შეეხებიან. ასე მაგალითად, იშვიათ გამოცემათა ფონდში მოკრძალებით ინახება 1912 წელს ლონდონში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" უორდროპისეული თარგმანი, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის მომხიბლავი ქართული ავტოგრაფით უსახსოვრებია მთარგმნელის ძმას ცნობილ ქართველოლოგს — ოლივერ უორდროპს.

აქვეა დაცული ილიას „განდეგილის" უორდროპისეული თარგმანი ინგლისურად, გამოცემული ლონდონში, 1895 წელს.

იშვიათ გამოცემათა ფონდშია დაცული ძველი სამყაროს დიდი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის სენეკას თხზულებანი, გამოცემული 1506 წელს. მაღალი პოლიგრაფიული ხელოვნებით არის დამშვენებული ფრანგულ ენაზე შარდენის „მოგზაურობა", გამოცემული 1686 წელს. აქვე ინახება ქართული კულტურისათვის ცნობილი არქანჯელო ლამბერტის საქვეყნოდ გახმაურებული ეთნოგრაფიული ნაშრომი საქართველოზე, რომელიც გამოცემულია 1654 წელს.

მაგრამ ამჯერად უკეთესია იმ წიგნებზე გესაუბრო, რომელიც შენი გონებისა და ასაკისათვის უფრო მისადგომია, რაც უფრო შეგერგება. ასეთი კი უთვალავია... ისინი ცოდნის სხვადასხვა სფეროდან დიდძალ მასალას მოგაწვდიან. რად ღირს თუნდაც სერიული სახის მონოგრაფიები გამოჩენილ ადამიანებზე! ჩვენ ხომ ქართულ ენაზე მოგვეპოვება პოპულარული ენით დაწერილი წიგნები ისეთ ადამიანებზე, როგორიც იყვნენ: ანდერსენი, მაინრიდი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბესიკი, ბაგრატიონი (ბოროდინოს გმირი), გ. სააკა-

ორ ადგილას გახვრეტილი ხის ღერძულა, კარგად არეგულირებს ჩანგალზე გამოდებულ გასაჭიმ ბაწარს.

აგურის ან ბეტონის კედელში ვიდრე ნახვრეტს გააკეთებდე, ლეიკოპლასტირის საშუალებით იქვე, მუყაოს გაკეცილი ნაჭერი მიაკარი და ოთახი მტვერსა და დანაგვიანებას გადარჩება.

რეზინის ფურცელზე წებო ძნელი წასასმელია, რადგან რეზინი წამში იგრიხება ხოლმე, ამიტომ კარგი იქნება თუ წინდაწინ ქვეშ ლეიკოპლასტირს ამოაკრავ.

თუ კედელზე ბზარი გაჩნდა, ასე მოიქეცი: შეადგინე და პოლიეთილენის ტომსიკაში ჩაასხი საგანგებო სამშენებლო ხსნარი. ტომსიკას კუთხე მოაჭერი, ხელი მოუჭირე და გამოუონილი სითხე ბზარს გააყოლე.

ნაყოფით დახუნძლული ბოსტნეული თუ ხენდროს ბუჩქი მიწაზე გაწვება ხოლმე, ნაყოფს მზე და ჰაერი ვერ ხვდება და კარგად არ მწიფდება. გააკეთე მავთულისაგან ასეთი საყრდენები და ულორტები ზედ გადააწ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე, სერვანტესი, მიკლუხო-მაკლაი, მარკ ტვენი, მაიაკოვსკი და მრავალი სხვა. ანდა ვის შეუძლია გულგრილად შეათვალიეროს საქვეყნოდ აღიარებულ მოგზაურთა წიგნები ჩვენი მატერიკის სხვადასხვა ქვეყნებსა და შორეულ მხარეებზე, უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაზე; ვინ მოსწყვეტს თვალს 12 ტომად წარმოდგენილ ნაშრომთა სერიას სახელწოდებით: „ნადირობა, მოგზაურობა, თავგადასავალი". რას არ ამოიკითხავთ მათში ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ქვეყნებისა და ტომების შესახებ!

ბიბლიოთეკის მაღალი თაროებიდან შენ გაგიღიმებს საუცხოო წიგნი — „ცისფერი პლანეტის შვილები", რომელშიც მოთხრობილია ჩვენი ქვეყნის მამაც მფრინავებსა და კოსმონავტებზე. თუ რუსულ ენას დაუფლებული ხარ, შეგიძლია გაეცნო ცნობილი ოკეანოგრაფების მიერ სამაგალითოდ შედგენილ კრებულს — „ზღვა".

დიდძალი და საინტერესო ლიტერატურა შეგიძლია გადაიკითხო ხელოვნების დარგის გამოჩენილ წარმომადგენლებზე, გაეცნო და დატკბე მათი შედევრების რეპროდუქციებით.

თუ რევოლუციამდელი საბავშვო ლიტერატურით დაინტერესდები, თუ მოგივლის კეთილშობილი სურვილი ჩაიხედო იმ ჟურნალ-გაზეთებში, რომლითაც შენი წინაპრები თავის გულსა და გონებას ასაზრდოებდნენ, შეიარე ამავე შენობის მხარეთმცოდნეობის განყოფილებაში, მოითხოვე უკვდავი გოგებაშვილის „დედა ენა" და „ბუნებისკარი", ანდა, ამავე ავტორის მიერ უბადლო პედაგოგიური ოსტატობით შედგენილი საკითხავი წიგნები. აქვე ნახავ თავისდროისათვის სამაგალითოდ დასურათებულ საბავშვო ჟურნალებს: „ჯეჯილსა" და „ნაკადულს".

რამდენ რამეზე გელაპარაკო, რა ენა ჩამოთვლის იმ გონებრივ საუნჯეს, რაც ამ „ქალაქის" ფონდებშია დაცული? დიდძალი ლიტერატურა ამძიმებს ბიბლიოთეკის თაროებს წარსულიდან. მეოცე საუკუნემ ხომ ყველას გადააჭარბა! ეს საუკუნე ხომ მეცნიერების ტრიუმფის საუკუნეა, მან ხომ მთელი სამყარო შესძრა და აალაპარაკა.

რაც ამ „ქალაქში" ერთდროულად შემოდის, მარტო იმის წაკითხვას ერთი კაცი რამდენიმე წლის თავაუღებელი შრომითაც კი ვერ მოერევა. თბილისის კარლ-მარქსის სახ. ბიბლიოთეკაში შენ შეხვდები ისეთ წიგნსაც, რომელიც არც ერთი ქვეყნის წიგნთსაცავში არ მოიპოვება. ბიბლიოთეკის თავაზიანი თანამშრომლები და გაჩირაღდნებული დარბაზები გულუხვ მასპინძლობას არ მოგაკლებენ. ბიბლიოთეკაში დაცულ საუნჯეს გულმოდგინედ იცავენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ცეცხლგამძლე ბალონები. ასე გასინჯეთ, წიგნის „ჯანმრთელობაზეც" კი ზრუნავენ აქ, სამაგალითო სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს უქმნიან, რათა ადამიანებივით თავისუფლად ისუნთქონ მათაც. თუ რომელიმე წიგნის სათუთ ფურცელს რაიმე სახის ავადმყოფობა შეეყარა, ყველანი ფეხზე დგებიან, ძალ-ღონეს არ იშურებენ მის გადასარჩენად. მართლაც, ერთ უბრალო წიგნს, რომელსაც მიკრობი მოერევა, შეუძლია ეპიდემია სხვებზედაც გადაიტანოს, გენიალურ ავტორთა ტომეულები ნაკარ-ტუტად აქციოს. მაგრამ წიგნის ყველაზე საშიში მტერი ჩემო კარგო, ისევ და ისევ ადამიანია. მხედველობაში გვაქვს გარეწარი და უსინდისო ადამიანი, რომელიც წიგნს არ ინდობს და ხშირად მჭრელი იარაღითაც კი ფატრავს მის ფურცლებს. ასეთ ბარბაროსზე არც კი ღირს ლაპარაკი, მის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს. ცხადია შენ მათ რიცხვში ვერ გაგრევ, მაგრამ მინდა აქედანვე მტკიცედ დაიწერო გულის ფიცარზე სამახსოვრო შეგონება, ბიბლიოთეკის წესდებიდან: „ზუსტად შევასრულო ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები. ფაქიზად მოვექცე ჩემს მიერ მიღებულ წიგნებს, ჟურნალებს და გაზეთებს. არ დავუშვა ტექსტში არავითარი აღნიშვნა, დახაზვა, გვერდის გადაკეცვა და, სხვ".

გავა დრო და ახალი სანახაობის მოწმე გახდები. სულ მალე მეცნიერება შექმნის უმაღლესი ტიპის ბიბლიოთეკა-ავტომატს.

ახლა ხომ საკუთარი თვალით ხედავ რა წალკოტში შემოგადგმევინე ფეხი, რა „ქალაქი" გაგაცანი.

ვიდრე წიგნებს ჩაუჯდებოდე და ცოდნით გამდიდრებას შეუდგებოდე, თუ ერთ სურვილსაც შემისრულებ, კიდევ უფრო მადლობელი დაგრჩები: რასაც ხელს მოჰკიდებ, რომელ წიგნსაც ხელში აიღებ, იცოდე გააზრებულად წაიკითხე, მასში გატარებულ აზრებზე შენი შეხედულება და მსჯავრი იქონიე; მიზანში ამოღებულ იდეალს ნუ უღალატებ, ყოველი კარგი საქმე ხალისიანი მხნეობით დაიწყე და ხალისითვე დაამთავრე.

ფუჭად გატარებული დრო დამღუპველია.

მაშ ასე, მე მივდივარ — შენ კი საიმედო „ქალაქში" გტოვებ. ჩემდა სახსოვრად მხოლოდ კონებად შეკრულ სუფთა რვეულებს გთავაზობ, რათა მის უთვალავ ფურცლებზე ფოლადის კალმით ბარაქიანი ხვნა-თესვა გააჩაღო. აბა, მოწყენილობა არ შეგნიშნო... ჩვენ რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს და იმედია გამარჯვებულს გიხილავ. რაც მე გამომრჩა, ანდა რისი წაკითხვაც ვერ მოვასწარი, ნუ დამამადლი, ჭკუადამჯდარი საუბრით გამიზიარე, ცოდნის მასშტაბით და ლოგიკური მსჯელობით დამჯაბნე.

მაშინ მეც აღტაცებული გადაგეხვევი და დიდი ილიას სიტყვებით ხმამაღლა შემოგძახებ: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა".

ვინე. (სხვათა შორის, ეს არც პამიდორის ბუჩქისათვის არის ურიგო).

ბანაკში ან სოფლად, სკამსა თუ მაგიდას ეზოში გამოიტანენ, მაგრამ სკამისა და მაგიდის ფეხები მიწაში ეფლობა ხოლმე, დახედე ამ ნახატს და სცადე, იქნებ შენც შესძლო ჩვეულებრივი ფეხების ასეთით შეცვლა.

თუ სათვალეს გლიცერინიანი ჩვრით გაწმენდ იგი აღარ დაიორთქლება.

ოქროსვარაყიან თეფშებს და ფინჯნებს სოდით ნუ გარეცხავ — ვარაყი მალე გადაუვა. სოდისაგან რუხ ფერს მიიღებს ალუმინის ჭურჭელი.

ახლად ნაყიდ ტაფასა და ქვაბს მაშინვე ნუ იხმარ, ახალ ქვაბში წყალი წინასწარ წამოადუღე, ხოლო ტაფაზე ცოტა ზეთი დაასხი და აადუღე. ბოლოს ზეთი გადმოღვარე და ტაფა თეთრი ქაღალდით გაწმინდე.





ბოცმან ალექსანდრე სელკირკის თავგადასავალი უკაცრიელ კუნძულ მაცა-ტერაზე.

1704 წელს, ოქტომბერში, ხუან-ფერნანდესის არქიპელაგთან (იგი აღმოჩენილია XVI საუკუნეში ესპანეთის გემის შტურმან ხუან ფერნანდესის მიერ) ინგლისის გემმა „ხუთმა პორტმა“ მოულოდნელად სვლას უკლო. რაღაცაზე განრისხებულმა კაპიტანმა ბრძანა წყალში ჩაეშვათ ნავი და შიგ ურჩი ბოცმანი ალექსანდრე სელკირკი ჩაესვათ. მას ჯაზაირი (თოფი) და სურსათით სავსე ტომარა მისცეს.

ტალღებზე მოლივლივე ნავი გემს დაშორდა და რწევა-რწევით გაემართა დაუსახლებელ კუნძულ მას-ატერასაკენ. კუნძული გაუვალი ტყეებით იყო დაბურული, უზარმაზარ ხეებს ლიანები შემოხვეოდა. ბევრი ნადირ-ფრინველი ბინადრობდა. ჰაერში აბეზრად ბზუოდნენ მწერები.

სელკირკს ამ კუნძულზე მარტოდმარტო მოუხდა ცხოვრება. სიცოცხლის შესანარჩუნებლად დიდი სიძნელეები გადალახა. იგი ნადირობდა გარეულ თხებზე, რომლებიც პირატებმა შემოიყვანეს და გაავრცელეს ამ კუნძულზე, ფრინველებზე, იჭერდა თევზებს, აგროვებდა მცენარეთა ნაყოფს. ერთი სიტყვით, საკვები არ აკლდა.

სელკირკმა ზოგიერთი ცხოველი და ფრინველი მოიშინაურა, მათ შორის ერთი მაიმუნიც, რომელიც თვითონ გაზარდა. ის მისი განუყრელი და საყვარელი არსება იყო, „მარიმონდას“ ეძახდა. თან დაჰყავდა სანადიროდ, ხმამაღლა ელაპარაკებოდა, რომ მეტყველებას არ გადაჩვეულიყო.

სელკირკმა სამეთვალყუროდ ერთი მაღალი კლდე ამოარჩია, საიდანაც მთელი კუნძული ჩანდა. ორჯერ ჩაუშვეს ღუზა კამბერლენდის ყურეში ესპანეთის გემებმა, მაგრამ სელკირკს თავი არ გაუმჟღავნებია, რადგანაც იცოდა ესპანელები მას უთუოდ მეკობრედ მიიჩნევდნენ და ჩამოახრჩობდნენ.

მარტოობით გაოგნებულმა ბევრჯერ სცადა დაბრუნება, ბევრჯერ დაანთო კოცონი, როცა ინგლისის გემებს მოჰკრა თვალი, მაგრამ მათ ვერ შეამჩნიეს მისი ნიშანი და სურვილი განუხორციელებელი დარჩა.

4 წელი და 4 თვე დაჰყო სელკირკმა ამ კუნძულზე და დიდი სულიერი სიმხნევე გამოიჩინა.

1709 წლის 31 იანვარს მას-ატერას ნაპირთან ახლოს დადგა ბრიტანეთის გემი „დიუკი“. გემიდან კუნძულზე მეზღვაურები გაგზავნეს, რომლებმაც სელკირკი წამოიყვანეს. ამ ამბის შესახებ „დიუკის“ კაპიტანი ტომას დავერი ასე წერდა:

„1709 წლის 31 იანვარს ბინდბუნდში ჩვენ დავინახეთ არქიპელაგი ხუან-ფერნანდესი. ცეცხლის აალებამ აიძულა უფროსი როჯერსი ფრთხილად ყოფილიყო, ეგონა კუნძულზე ესპანელები იყვნენ, სტვენით გამოუძახეს მოხალისეებს. მეც ჩავჯექი ერთ-ერთ ნავში და მივადექით ნაპირის ვიწრო ზოლს. მე დავბრუნდი უზარმაზარი ასთაკვების ტვირთით. ჩვენ წარმოვადგინეთ აგრეთვე ტყვედ ჩავარდნილი კაცი, რომელსაც თხის ტყავი ემოსა. ის ისეთივე შესახედავი იყო, როგორიც ის ცხოველები, რომლებზეც თვითონ ნადირობდა. ვინ იქნებოდა ეს კაცი თუ არა ალექსანდრე სელკირკი, რომელიც აქ 4 წლის წინათ და-

ხუან-ფერნანდესის არქიპელაგი, რობინზონ კრუზოს კუნძული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვა კაპიტანმა სტარდლინმა გემზე ბუნტის ატეხვის გამო. მე მაშინ არ შემეძლო წარმომედგინა, რომ დავეხმარებოდი ჟურნალისტსა და მწერალს დანიელ დეფოს რობინზონ კრუზოს უკვდავყოფაში!

დეფომ როცა დაწვრილებით მოისმინა სელკირკის თავგადასავალი, 1719 წ. დაწერა უკვდავი ნაწარმოები „რობინზონ კრუზო", რომელიც ახალგაზრდობის საყვარელ წიგნად იქცა.

„დიუკი" ლონდონში დაბრუნდა 1711 წელს. სელკირკს მიეძღვნა მრავალი სტატია და წიგნი.

კუნძულ მას-ატერაზე, იმ ადგილას სადაც სელკირკი ცხოვრობდა, კლდეზე, ალმართულია თუჯის ფირფიტა ასეთი წარწერით: „ალექსანდრე სელკირკის სამახსოვროდ! მეზღვაური, წარმოშობით ლარკოდან, ფაივის საგრაფო, შოტლანდია. მან ამ კუნძულზე სრულ მარტოობაში იცხოვრა 4 წელი და 4 თვე, გადმოსმული იყო 1704 წელს თექვსმეტზარბაზნიანი, 96-ტონიანი გემიდან „ხუთი პორტიდან", აქედან წაყვანილია 1709 წლის 12 თებერვალს კაპერ „დიუკის" მიერ. სელკირკი 47 წლის ასაკში ლეიტენანტის ჩინის მიღების შემდეგ, სულ მალე გარდაიცვალა. ეს ჩინი მას იმპერატორის უდიდებულესობამ მიანიჭა.

ეს დაფა სელკირკის სათვალთვალოსთან ალმართა 1886 წელს მისი საიმპერატორო უდიდებულესობის გემის „ტოპაზის" კომანდორმა რაველმა და გემის ოფიცრებმა; სელკირკს სამშობლოშიც აუგეს ძეგლი და უკვდავჰყვეს!

1962 წელს კუნძულ მას-ატერას, ჩილეს შინაგან საქმეთა მინისტრის დეკრეტით ეწოდა რობინზონ კრუზოს კუნძული. ჩილეს სამინისტროს ჩინოვნიკებმა, როცა დეკრეტს წერდნენ ვერ გაარჩიეს ლიტერატურული გმირი და პროტოტიპი, ამიტომაც დაუშვეს ეს შეცდომა. მათ სელკირკის სახელი უწოდეს არქიპელაგ მასაფუერას სხვა კუნძულს, სადაც სელკირკი არასოდეს ყოფილა.

კუნძულ რობინზონ კრუზოზე ახლა მრავალი ტურისტი ჩადის, ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი 800-მდე აღწევს.

გრიგორი სკოვოროდას დაბადების 250 წლისთავი

მოძმე უკრაინელი ხალხი სიყვაულრით აღნიშნავს თავისი დიდი მწერლისა და მოაზროვნის გრიგორი სკოვოროდას დაბადებიდან 250 წლის იუბილეს. სკოვოროდა წერდა ლექსებს, სიმღერებს, იგავებს, ფილოსოფიურ ნაწარმოებებს... მთელი ცხოვრება საყვარელ სამშობლოზე, მშობლიურ ერზე ფიქრში და წუხილში გალია. სიცოცხლის ბოლო 25 წელი კი სოფელ-სოფელ დადიოდა, ძალ-ღონესა და ცოდნას არ იშურებდა მშობელი ხალხის გასანათლებლად. სწორედ ეს პერიოდი ყოფილა მწერლისთვის ყველაზე ნაყოფიერი. მაშინ შეუქმნია „ხარკოვური იგავების" დიდებული წიგნიც, ზეპირად რომ იციან თქვენმა თანატოლმა უკრაინელმა ბავშვებმა.

ამბობენ, ახლო ნაცნობობა ჰქონიათ გრიგოლ სკოვოროდასა და ჩვენს დიდ პოეტს დავით გურამიშვილს, რომელმაც თავისი მგზავრე სამშობლო უკრაინის მიწაზე ჰპოვა.

ბავშვებო, გთავაზობთ მწერლის სამ იგავს „ხარკოვური იგავების" წიგნიდან.

ბუ და უკუვი

როგორც კი ფრთოსნებმა თვალი მოჰკრეს ბუს, თავს დაესხნენ — და კორტნა დაუწყეს.

— ქალბატონო, არ გეწყინათ უდანაშაულოს ასე უდიერად რომ მოგექცნენ? — ჰკითხა მერე შაშვმა ბუს, — არ გიკვირთ?

— არ მიკვირს, — მიუგო ბუმ. — ისინი ერთმანეთსაც ასე ეექცევიან. წყენით კი მწყინს, მაგრამ რა გაეწყობა, ვითმენ. თუმცა კაჭკაჭები, ყორნები და ჭილყვავები კი მკორტნიან, მაგრამ არწივსა და ჭოტს ჩემთვის ხელი არასოდეს უსლიათ, ათენელებიც[1] დიდი პატივით მეპყრობიან.

ის გირჩევნია, ერთ გონიერსა და გულკეთილს უყვარდე და პატივს გცემდეს, ვიდრე ათას ბრიყვსაო, — გვეუბნება იგავი.

[1] ძველ საბერძნეთში ბუ ქალაქ ათენის სიმბოლოდ ითვლებოდა.

თევი და ტანი

საუცხოო, ძვირფას სამოსში გამოწყობილი ტანი თავის წინაშე ყოყოჩობდა ამუნათებდა, ჩემი ქონებიდან შენს წილად მეათედიც კი არ მოდისო.

— მომისმინე, ბრიყვო! მუცელი თუ ჭკუის მაგივრობას გაგიწევს, მაშინ კარგად დაიხსომე, შენი დიდი ღირსების გამო კი არ გმოსავენ ასე, არამედ იმიტომ, რომ ჩემსავით მცირედით არ კმაყოფილდებიო, — მიუგო თავმა.

ეს იგავი იმათზეა ნათქვამი, ღირსებას მარტოოდენ გარეგან ბრწყინვალეებაზე რომ აფუძნებენ.

ლომი და კაიმუნი

ლომი გულაღმა იწვა და მკვდარივით ეძინა. ნამდვილად მკვდარიაო, — ირწმუნა სხვადასხვა ჯურის მაიმუნთა ხროვამ, მიუახლოვდნენ და ლანძღვა-გინებასა და ხტუნვას მოჰყვნენ. სულ გაუქრათ შიში და რიდი ნადირთ მეფისა. ლომი, გამოღვიძების დრომ რომ მოატანა, შეირხა. აქეთ-იქით მიმოიფანტნენ ერთი გზით მოსული მაიმუნები. ყველაზე ხნოვანმა, გონს რომ მოეგო, თქვა:

— ჩვენს წინაპრებსაც სძულდათ ლომი, მაგრამ იგი დღეის დღესაც ლომია და საუკუნოდაც ლომად დარჩებაო...

უკრაინულიდან თარგმნა
ჯაბა ასათიანმა.

სოფლად თუ ბანაკად, ეზოსა თუ ველად სხვა თამაშობებთან ერთად კარგი იქნება თუ მიზანში სროლაში შეეჯიბრებით ერთმანეთს. ტყორცნა შეიძლება ქვის, ბურთის, ჯოხის, გირჩის... ეს მოძრაობა ძალიან ანვითარებს მკერდს, ამაგრებს მხრებს, მოქნილსა და დამჯერეს ხდის მკლავს...

გოგონებს ბიჭებზე არანაკლებ ზუსტად შეუძლიათ მიზანში ტყორცნა.

უპირველეს ყოვლისა მოძებნე მყუდრო ადგილი. სამიზნე ათასნაირი შეიძლება გამოძებნო, ან შენ თვითონ გააკეთო, (მაგალითად, თავის სიმაღლეზე, კედელთან ან ხის ღობესთან ჩამოკიდე ქვაბი ან ვარცლი).

აიღე ხუთი კენჭი, გადაზომე ათი ნაბიჯი და სამიზნეს სათითაოდ ესროლე. ხელი გვერდიდან, მხრის სიმაღლეზე მოიქნიე, ასე უფრო მოარტყამ მიზანს. ახლა სხვამ სცადოს, გამარჯვებული ცხადია ის იქნება, ვინც მეტს მოახვედრებს.

თუ ხმაურა სამიზნემ ვინმე შეაწუხა, უხმაურო სამიზნეც შეიძლება გააკეთო. ფირფიცრისაგან ბრტყელი ყუთი

შეჰკარი, შიგ თიხა ჩატკეპნე. გარედან სამი რგოლი მიახატე (ერთი თეთრი, მეორე შავი, მესამე წითელი). სამიზნე კედელზე დაკიდე. ზუსტად ნატყორცნი კენჭი სამიზნეს მიამაგრდება. ვინც შუაში მოარტყამს — ხუთი ქულა დაუწერე, მეორე წრეში მოხვედრისათვის სამი, მესამეს ვინც სტყორცნის ის ერთ ქულას მიიღებს.

ითამაშეთ, შეეჯიბრეთ ერთმანეთს, ამით დროსაც მხიარულად გაატარებთ, სხეულსაც გაიკაუებთ და დიდი სპორტისათვისაც მოემზადებით.

საძიებელი

ხერგიანი მ. — რომ იყვავილოს სამშობლოს ზვრებმა (ნარკვევი) . . . 1
ბექიშვილი თ. — ტყე, გახსენება (ლექსები) . . . 3
გოგოლაშვილი ვ. — უკვდავების წყაროსთვალი— (მოთხრობა) . . . 4
დოკვაძე ა. — სიმხნევის წყარო — (წერილი) . . . 12
კაჭახიძე გ. — არ გაგიკვირდეს თხუნელავ! (ლექსი). . . . 13
აფხაზავა ნ. — დაე, ინათოს! (ფანტასტიკური მოთხრობა) . . . 14
ჩირიკოვი ი. — გენიალური ცხოველები — (წერილი) . . . 21
ნარსია ნ. — ომის დროინდელი სურათი — (ლექსი) 23
კამბოჯური ზღაპარი . . . 23
ჯანდიერი ი. — ნეკრესის მონასტერი (წერილი) . 24
ახალი წიგნები . . . 25
სხირტლაძე ს. — ცოდნის „წყნარი ოკეანე“ . . . 26
გამოგადგები . . . 28
ნამდვილი **რობინზონი** — (წერილი) . . . 30
გრიგორი სკოვოროდას დაბადების 250 წლის თავი (არაკები — თარგმნა ჯ. ასათიანმა) . . . 31
თამაშობები . . . 32
ცხრაკლიტული — გარეკანის 3

გარეკანის პირველ გვერდზე მხატვარ **რევაზ ცუცქირიძის** ნახატი: **„ნახირი დაბრუნდა“**

მთავარი რედაქტორი ბაბულია ფელია.

სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, თენგიზ სამხოლაძე, გაიოზ ფოცხიშვილი** (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ჩაბეჭდილია 20/VI-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/VII-72 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19. შეკვ. № 2181. ტირაჟი 129.700. უე 01983.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კროსვორდი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. მდინარე გერმანიაში; 2. თმის საღებავი; 3. ᲨᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქი; 4. ანცი, ანუ? 6. ადამიანის სხეულის ნაწილი; 9. სიმდიდრე, ანუ?... 10. რკინიგზის სადგური კახეთში; 13. გემზე ამართული მაღალი ძელი; 14. ᲭᲣᲠᲩᲔᲚᲘᲡ სახეობა; 16. ძველი საქართველოს სახელწოდება; 17. ღვინის შესანახი ᲭᲣᲠᲩᲔᲚᲘ; 21. საფოსტო გზავნილობა; 22. რუსეთის მდინარე; 23. თვე; 25. რაიმე საბუთის პირი; 26. სრუტე ევროპაში; 29. მცენარე; 30. ფრინველი.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 2. მინდვრის ყვავილი; 3. საკრავი ინსტრუმენტი; 5. ვაჟიშვილი, ანუ?; 7. ციხე-სიმაგრე მესხეთში; 8. თაღი, ანუ? 11. გადასაწადი, ჯარიმა დაწესებული ვადის შეუსრულებლობის შემთხვევაში; 12. ყვავილი; 16. ქართული საკრავი ინსტრუმენტი; 17. პირველი ქართველი მფრინავი; 18. სამკურნალო მცენარე; 19. ციური მოვლენა; 20. ᲭᲣᲠᲩᲔᲚᲘ; 24. აღორძინების ხანის იტალიელი მხატვარი; 27. ძველი ქართული მონასტერი საბერძნეთში; 28. ქალაქი გერმანიაში; 31. საციგურაოთი განთქმული ქალაქი დასავლეთ გერმანიაში; 32. მდინარე ციმბირში.

ᲛᲐᲘᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ,
მახარაძის რაიონის სოფ. მაკვანეთის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე.

ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

1.

თუ შემოდგომის იმ თვიდან,
რომელსაც მოსდევს ზამთარი.
დასაწყის მარცვალს აიღებ,
წინა ნაწილი მზად არი;
მეორე სიტყვა — დაფაა,
გამოფენილი საგნების. —
ექვსი ბგერიდან სამია
ბოლოში გამოსაკლები; —
სოფელი გახლავს პატარა,
არწივთა ბუდის სადარი,
მან აღუზარდა სამშობლოს
ლეგენდარული სარდალი.

2.

სუსხსა და ძლიერ სიცივეს
რა ეწოდება, მითხარ, —
მეორე მარცვლის მოწყვეტას
ნუ დააყოვნებ დიდხანს.
ფეხის მუხლსა და კოჭს შუა
ნაწილიც იცი ალბათ,
ბოლო თანხმოვანს სისინა
ბგერით შეუცვლი სწრაფად,
შეკრებ და... მონასტერია,
თქვი, რომელია აბა?

Შ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ

ერთი შეხედვით ეს ორი სურათი ტყუპის ცალებივით ჰგავს ერთმანეთს. მაგრამ თუ ყარადღებით დააკვირდები, მათში თხუთმეტ განსხვავებას აღმოაჩენ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ № 7-ᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ „ᲪᲮᲠᲐᲙᲚᲘᲯᲕᲚᲖᲔ"

კროსვორდი

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ამუდარია; 2. ციცერონი; 3. ერერა; 4. არმია; 5. იადონი; 6. ინგირი; 11. ლექსიკა; 13. რაფსოდი; 14. ხეობა; 15. ალამი; 17. გოდოლი; 18. დუმილი; 20. კლაიპედა; 21. დრიადი; 23. ირემა; 24 ბომბილი.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. ერუდიცია; 7. სახარება; 8. „რამაიანა"; 9. როჭო; 10. გორილა; 12. არაბია; 14. ხათაია; 16. კოსმოდემიანსკაია; 19. აკორდი; 22. ადონაი; 24. ბინომი; 25. აისი; 26. კლარნეტი; 27. ადმირალი; 28. ანეროიდი.

6159/97

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამეჩები

ლალი კოტიაშვილი,
კასპის რაიონის მესამე სკოლის
მე-5 კლასის მოსწავლე.

ეტლი